დავით ჩოჩიშვილი

# ისტორიული და გეოგრაფიული სახელების განმარტებითი ლექსიკონი

2008
თბილისი

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა ითვალისწინებს საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება) ინტეგრირებულ სწავლებას. სახელმძღვანელოები შედგენილია კოორდინირებულად და ზოგჯერ არ ახლავს სახელთა და ტერმინთა საძიებელი. წინამდებარე წიგნში მოცემულია ისტორიული და გეოგრაფიული სახელების მოკლე განმარტებები, რაც დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის გაღრმავებასა და განვლილი მასალის გამეორებაში.

წიგნი გამოადგება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ე. მამისთვალიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ჯოლბორდი
გეოგრაფიის მასწავლებელი ნ. ბერძენი

ISBN 978-9941-0-0917-4

ძვირფასო მეგობარო!
ეს წიგნი შენთვის და შენი მეგობრებისთვის დაიწერა. მასში ის ისტორიული და გეოგრაფიული სახელები და ტერმინებია განმარტებული, რომლებიც ისტორიისა და გეოგრაფიის კურსის ათვისებაში, აგრეთვე, შენთვის საინტერესო სამყაროს უკეთ გაცნობაში დაგეხმარება. წიგნი დახმარებას გაუწევს საზოგადოებრივი მეცნიერებებით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანსაც.

# ა

**აბაზგები** – ძველი აფხაზური ტომი

**აბაზგია** – აბაზგებით დასახლებული მხარე აფხაზეთში

**აბასიდები** – არაბი ხალიფების დინასტია (750 – 1258 წწ.)

**აბატი** – კათოლიკური ეკლესიის მამათა მონასტრის წინამძღვარი

**აბდილა მუმნი** – არაბი ხალიფა (786–833 წწ.)

**„აბდულმესიანი"–** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლი

**აბიბოს ნეკრესელი** – ერთ-ერთი ასურელი მამა VI ს. II ნახ.

**აბისინია** – ეთიოპიის ძველი სახელწოდება

**აბლაცია** – მყინვარის ან თოვლის საფარის შემცირება

**აბო თბილელი** – არაბი ჭაბუკი, ქართული ეკლესიის მოწამე (დაახ. 757 წ. – 6. 01. 786 წ.)

**აბოლიციონიზმი** – საზოგადოებრივი მოძრაობა აშშ-ში XVIII-XIX ს–ში. მიზნად ისახავდა მონობის გაუქმებას

**აბრაამი** – ებრაელთა მითიური მამამთავარი

**აბრაგი** – მეფის რუსეთის დროს: მთავრობასთან მებრძოლი პირი

**აბსოლუტიზმი** – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება მთლიანად ეკუთვნის ერთ პირს, მონარქს

**აბსტრაქცია** – რაიმე საგნის ან მოვლენის არაარსებითი ნიშნების უგულვებელყოფა და არსებითი ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში. განზოგადება

**აბსურდი** – შეუსაბამობა, უაზრობა

**აბულ კასიმი** – სამხრეთ აზერბაიჯანის არაბი ამირა, რომელმაც 914 წელს დალაშქრა საქართველო

**აგათანგელოსი** – სომეხი ისტორიკოსი (IV ს)

**აგამემნონი** – ძველი ბერძნული ეპოსის „ილიადას" გმირი, მიკენის მეფე, ბერძენთა გაერთიანებული ჯარების სარდალი ტროას ომში

**აგენტი** – ა. სახელმწიფოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმომადგენელი

ბ. ამა თუ იმ სახელმწიფოს დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი

**აგორა** – ა. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში

ბ. მოედანი, სადაც ასეთი კრება იმართებოდა

**აგრარული** – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული

**აგრესია** – ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე მისი დაპყრობის მიზნით

**ადამი** – ბიბლიური პერსონაჟი, პირველი ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა

**ადმინისტრაცია** – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები

**ადმირალი** – უმაღლესი სამხედრო წოდება სამხედრო – საზღვაო ფლოტში

**ავგაროზი** – რაიმე პატარა ნივთი, თილისმა, რომელსაც მაგიურ მნიშვნელობას მიაწერენ

**ავგეას თავლა** – ელიდის მეფის პირუტყვთა სადგომი, რომელიც 30 წლის მანძილზე არ დასუფთავებულა

**ავგუსტუსი** – რომის იმპერატორების ტიტული

**„ავინიონის ტყვეობა"** – რომის პაპების დამოკიდებულება საფრანგეთის მეფეებზე 1309 – 1377 წლებში. წარმოდგება ქალაქ ავინიონის სახელწოდებიდან

**ავრორა** – განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**ავტოკეფალია** – მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა

**ავტოკრატია** – ერთპიროვნული მმართველობის ფორმა

**ავტონომია** – დამოუკიდებლობა, მართვა-გამგეობის თვითმმართველობა

**„ავქსინუს პონტოს"** – არასტუმართმოყვარე ზღვა (შავი ზღვის სახელწოდება არგონავტებამდე)

**აზატი** – თავისუფალი

**აზატ-ხანი** – ნადირ შაჰის სარდალი, რომელიც ერეკლე II სასტიკად დაამარცხა

**აზნაური** – საზოგადოების ზედაფენის წარმომადგენელი შუა საუკუნეების საქართველოში

**აზია** – ერთ-ერთი კონტინენტი

**აზიმუტი** – კუთხე, რომელსაც ქმნის დედამიწის წერტილის მერიდიანის ჰორიზონტალური სიბრტყე და ამ წერტილსა და
ცის მნათობზე გამავალი ვერტიკალური სიბრტყე

**ათაბაგი** – ა. სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდება

ბ. უფლისწულის აღმზრდელი თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში

**ათათურქი** – თურქეთის სახელმწიფოს დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი

**ათასისთავი** – ათასეულის მეთაური

**ათეიზმი** – ღვთის არსებობის უარყოფა

**ათენა** – სიბრძნის, ხელოვნებისა და ომის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**ათონის ივერთა მონასტერი** – ძველი ქართული კულტურის ცენტრი საბერძნეთში. დაარსდა 980-983 წწ. იოანე მთაწმინდელისა და თორნიკე ერისთავის თაოსნობით

**ათრაქა შარაღანის ძე** – ყივჩაღების მთავარი, რომლის ასული ცოლად ჰყავდა დავით IV-ს

**აია** – კოლხეთის ძველი სახელწოდება

**აიათოლა** – მუსლიმი შიიტების უმაღლესი სასულიერო პირი

**აიეტი** – კოლხეთის მითოლოგიური მეფე, ჰელიოსის ვაჟი, მედეას მამა, რომელსაც არგონავტებმა ოქროს საწმისი მოპარეს

**აინინა** – ძველქართული წარმართული ღვთაება

**აისბერგი** – ოკეანეში მცურავი ყინულის მთა

**აკადემია** – ათენის ახლოს მდებარე ბაღი, სადაც ასწავლიდა ფილოსოფოსი პლატონი

**აკვატორია** – შემოსაზღვრული წყლის სივრცე

**აკვედუკი** – ხიდი, რომელზეც წყალსადენი გადის

**აკლდამა** – ქვისგან ნაშენი სამარხი, საგვარეულო ნაგებობა სამარხზე

**აკროპოლისი** – ქალაქის გამაგრებული ცენტრალური ნაწილი საბერძნეთში

**„აქტი გონიერი"** – ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულების წესდება 1832 წ.

**ალავერდი** – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი კახეთში XI ს.

**ალაზანი** – მდინარე კახეთში

**ალამუთი** – ციხე –სიმაგრე სპარსეთში

**ალანები** – ოსთა წინაპრები

**ალანთა კარი** – დარიალის ხეობის ძველი სახელწოდება

**ალაფი** – სამხედრო ნადავლი

**ალაჰი** – მუსლიმთა ღმერთი

**ალბა-ლონგა** – ლეგენდარული ქალაქი ლაციუმში

**ალბანეთი** – ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძველესი სამეფო თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე

**ალგეთის ხეობა** – ხეობა ისტორიულ ქვემო ქართლში

**ალდე დედოფალი** – გიორგი I–ის პირველი ცოლი, ოვსთა მეფის ასული

**ალექსანდრე მაკედონელი** – ძველი სამყაროს უდიდესი მხედართმთავარი (ძვ. წ. 356 – 323 წწ.), რომელმაც შექმნა მსოფლიო იმპერია

**ალექსანდრია** – ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებული ქალაქი ეგვიპტეში

**ალ-იდრისი** – (დაახ. 1100-1165 წწ) არაბი გეოგრაფი და მწერალი. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი რუკის შემდგენელი

**ალუვიური** – წყლისგან მონატანი მიწა

**ალტამირა** – გამოქვაბული ესპანეთში, სადაც არის უძველესი მხატვრობა

**ალფ არსლანი** – სელჩუკთა სულთანი, რომელმაც ორჯერ (1064 და 1068 წლებში) დალაშქრა საქართველო

**ამაზონი** – ა. ყველაზე წყალუხვი მდინარე სამხრეთ ამერიკაში

ბ. ბერძნულ მითოლოგიაში – მეომარი ქალი

**ამალთეა** – მითიური თხა, რომელმაც გამოკვება ზევსი კუნძულ კრეტაზე

**ამაშუკელი ვასილ** – პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის ავტორი (1908 წ)

**ამბროსი ხელაია** – (7.09.1861 – 29.03.1927 წწ) საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი 1921 – 1927 წწ.

**ამიერკავკასიის კომისარიატი** – ამიერკავკასიის ხელისუფლების ორგანო 1917 წლის 15 ნოემბრიდან

**ამიერკავკასიის სეიმი** – რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატთაგან არჩეული საკანონმდებლო ორგანო (1917 წ. 10 ნოემბერი)

**ამილახვრები** – ცნობილი ქართული ფეოდალური გვარი

**ამინდი** – ატმოსფეროს ქვედა ფენების მდგომარეობა

**ამირა** – არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი, პროვინციის მმართველი

**ამირანი** – ქართული ხალხური ეპოსის გმირი

**ამირსპასალარი** – მხედართმთავარი

**ამნისტია** – სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება

**ამონი** – მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში, ქალაქ თებეს მფარველი

**ამულეტი** – იგივეა, რაც ავგაროზი

**ამური** – სიყვარულის ქალღმერთ ვენერას ვაჟი რომაულ მითოლოგიაში, კუპიდონი

**ამფითეატრი** – წრიული ან ნახევრადწრიული უსახურავო შენობა ძველ საბერძნეთსა და რომში

**ამფორა** – ბერძნული ვიწროძირიანი თიხის ჭურჭელი სითხის შესანახად

**ამქარი** – ერთნაირი საქმიანობის ხელოსნების გაერთიანება

**ანაბასისი** – ა. ქსენოფონტეს (ძვ. წ. IV ს.) თხზულება
ბ. არიანეს (ძვ.წ. II ს.) თხზულება ალექსანდრე მაკედონელის შესახებ

**ანათემა** – ეკლესიიდან განდევნა, განკვეთა

**ანაკრეონტი** – ძველი ბერძენი პოეტი

**ანალები** – ისტორიული ხასიათის თხზულებები

**ანანური** – სოფელი დუშეთის რაიონში. ერისთავთა რეზიდენცია ფეოდალურ საქართველოში

**ანარქია** – უმთავრობობა, გადატანითი მნიშვნელობით
ქაოსი, არეულობა

**ანაფორა** – მღვდლის სამოსი

**ანგლიკანური ეკლესია** – ინგლისის სახელმწიფო ეკლესია

**ანდრია პირველწოდებული** – ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე, რომელმაც იქადაგა ქრისტიანობა საქართველოში

**ანდრონიკაშვილები** – თავადთა საგვარეულო ფეოდალურ საქართველოში

**ანემომეტრი** – ქარის ძალის საზომი ხელსაწყო

**ანექსია** – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიის ძალით შეერთება

**ანთიმოზ ივერიელი** – რუმინეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე XVII–XVIII ს.

**ანთროპოგენეზი** – ადამიანის წარმოშობის პროცესი

**ანთროპოლოგია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის წარმოშობას

**ანთროპომორფული** - ადამიანის მსგავსი

**ანიკეტის აჯანყება** – პონტოსა და კოლხეთის მოსახლეობის აჯანყება რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ 69 წ.

**ანიმიზმი** – უძველესი რელიგიური ფორმა, რომელიც აღიარებს ყველა საგნისთვის სულის არსებობას

**ანისი** – ციხესიმაგრე და ქალაქი შუასაუკუნეების სომხეთში

**ანონიმი** – უცნობი

**ანტანტა** – სამხედრო კავშირი ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ჩამოყალიბდა 1904 – 1907 წლებში

**ანტარქტიდა** – კონტინენტი სამხრეთ პოლუსზე

**ანტარქტიკა** – დედამიწის სამხრეთ პოლარული მხარე

**ანტიკური** – ძველი ბერძნებისა და რომაელების ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებული

**ანტისემიტიზმი** – ეროვნული და რელიგიური შუღლის ნაირსახეობა, მიმართული ებრაელთა იურიდიული და სოციალური დისკრიმინაციისკენ

**ანტონინე პიუსი** – (138 – 161 წწ) რომის იმპერატორი

**ანტონ მარტყომყოფელი** –ერთ-ერთი ცამეტ ასურელ მამათაგან

**ანუბისი** – ძველი ეგვიპტური ტურისთავიანი სიკვდილის ღვთაება

**ანჩი** – მხარე ისტორიულ კლარჯეთში

**ანჩისხატი** – VI საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში

**აპარტეიდი** – რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა

**აპისი** – ძველეგვიპტური წმინდა ხარი

**აპოგეა** – მთვარის ორბიტის ყველაზე დაშორებული წერტილი დედამიწიდან

**აპოკალიფსი** – მისტიკური წინასწარმეტყველება სამყაროს დასასრულზე

**აპოკრიფი** – არაკანონიკური ბიბლიური ტექსტი

**აპოლონი** – ზევსის ვაჟი. მუსიკის, ხელოვნების, მოგზაურთა და ახალდაარსებულ ქალაქთა მფარველი ღვთაება

**არამეული ენა** – ერთ-ერთი სემიტური ენა, რომელიც გავრცელებული იყო სირიაში, შუამდინარეთში, პალესტინასა და ფინიკიაში ძვ. წ. IX-VIII სს.

**არგვეთი** – საერისთავო იმერეთში, მდინარე წყალწითელას ხეობაში

**არგო** – ხომალდი, რომლითაც ბერძნები მოცურდნენ კოლხეთში

**არგონავტები** – „არგოს" მგზავრები, რომლებმაც კოლხეთიდან გაიტაცეს ოქროს საწმისი

**არენა** – ძველი რომის ცირკსა თუ ამფითეატრში სილამოყრილი ადგილი წარმოდგენის გასამართად

**არეოპაგი** – უმაღლესი სასამართლო ძველ საბერძნეთში

**არესი** – ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

**არიადნე** – კრეტის მეფე მინოსის ქალიშვილი. დაეხმარა თეზევსს ლაბირინთიდან თავის დაღწევაში ძაფის გორგლის საშუალებით

**არიელები** – ინდო-ირანულ ენაზე მოლაპარაკე ტომთა და ხალხთა საერთო სახელწოდება

**არიერგარდი** – ჯარის ან ფლოტის ნაწილი, რომელიც იცავს ზურგს

**არიოზელობა** – მიმდინარეობა ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც აღიარებს ქრისტეს მხოლოდ ადამიანურ ბუნებას. 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გამოცხადდა მწვალებლობად

**არისტარქე** – კოლხეთის მმართველი ძვ. წ. I ს-ის I ნახ.

**არისტოკრატია** – სოციალური იერარქიის უმაღლესი საფეხური, დიდგვაროვნები

**არისტოტელე** – (ძვ. წ. 384 - 322 წწ) ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც აცხადებდა რომ დედამიწა მრგვალია

**არმაზი** – ძველი ქართული წარმართული ღვთაება, რომლის კულტი მეფე ფარნავაზმა გამოაცხადა სახელმწიფო რელიგიად

**არმაზის ბილინგვა** – მცხეთის ორენოვანი წარწერა, რომელიც შესრულებულია ე. წ. არმაზული დამწერლობით

**არმაზის ციხე** – ანტიკური მცხეთის აკროპოლისი

**არმადა** – სამხედრო გემების, თვითმფრინავების ან ტანკების დიდი შენაერთი

**არმავირი** – აირარატის სამეფოს დედაქალაქი და რელიგიური ცენტრი ძვ. წ. IV – II სს.

**არსენ იყალთოელი** – XI – XII სს. ქართველი სასულიერო მოღვაწე, იყალთოს აკადემიის რექტორი

**არსენალი** – სამხედრო იარაღის საწყობი

**არმენისტიკა** – არმენოლოგია – სომხური ენისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერება

**არტაანი** – ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში

**არტანუჯი** – შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი კლარჯეთში

**არტეზიული ჭა** – მიწისქვეშა წყლის სადინარი ჭაბურღილი

**არტემიდე** – ნადირობის მფარველი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**არტეფაქტი** – ადამიანის მიერ დამზადებული ნივთი, რომელსაც გააჩნია გარკვეული ფორმა

**არტილერია** – სხვადასხვა კონსტრუქციისა და ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღი

**არშაკიდები** – პართიული სამეფო დინასტია ძვ. წ. 250 – 224 წწ.

**არშაკუნიანები** – პართიის არშაკიდების გვერდითი შტო (62 – 428 წწ.)

**არქაული** – ძველი, ძველებური

**არქაული ერა** – დედამიწის გეოლოგიური ისტორიის ხანა. გრძელდებოდა დაახლოებით მილიარდი წელი

**არქანტროპი** – უძველესი ადამიანი

**არქეოგრაფია** – ისტორიის დამხმარე დარგი, რომელიც გამოსაცემად ამზადებს ისტორიულ ძეგლებს

**არქეოლოგია** – მეცნიერება სიძველის შესახებ. სწავლობს ნივთიერ ძეგლებს

**არქეოპტერიქსი** – უძველესი განათხარი ფრინველი

**არქეოპოლისი** – ძველი ქალაქი (ციხე გოჯი, ნოქალაქევი), დღევანდელი სენაკის რაიონი, მდინარე ტეხურის ნაპირზე

**არქიდიაკონი** – უფროსი დიაკონი

**არქიმანდრიტი** – დიდი მონასტრის წინამძღვარი

**არქიპელაგი** – ერთმანეთთან ახლოს განლაგებული კუნძულების ჯგუფი

**არქონტი** – უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში, ათენში

**არქტიკა** – დედამიწის ჩრდილოეთ პოლარული ოლქი

**ასიგნაცია** – ქაღალდის ფული

**ასირიოლოგია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ძველი აღმოსავლეთის ხალხების (ასურეთის, ბაბილონი, ურარტუ, ხეთები. . .) ისტორიას და კულტურას

**ასკლეპიოსი** – მკურნალობის მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში

**ასკეტი** – განდეგილი

**ასტეროიდები** – მცირე პლანეტები, რომლებიც ბრუნავენ მზის ირგვლივ

**ასურბანიფალი** – ასურეთის მეფე (ძვ. წ. – 669 – დაახლ. 633 წწ)

**ასურეთი** – ძველაღმოსავლური სახელმწიფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე ძვ. წ. III ათასწ. – ძვ. წ VII ს.

**ასურელი მამები** – საეკლესიო მოღვაწეთა დასი, რომელიც VI ს–ში მოვიდა საქართველოში ქრისტიანობის გასამტკიცებლად

**ატაპუერკა** – მღვიმოვანი კომპლექსი ესპანეთში, სადაც 800 000 წლის წინანდელი ჰომინიდის ნაშთებია აღმოჩენილი

**ატაშე** – დიპლომატიური პირი საელჩოში ან საკონსულოში

**ატენი** – ქალაქი ფეოდალურ საქართველოში. ამჟამად სოფელი გორის რაიონში

**ატენის სიონი** – VII საუკუნის I ნახ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი

**ატლასი** – რუკების კრებული

**ატიკა** – მხარე ცენტრალურ საბერძნეთში

**ატლანტი** – ტიტანი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც უკავია ცის თაღი

**ატლანტიდა** – მითიური კუნძული ატლანტის ოკეანეში, რომელმაც კატასტროფა განიცადა

**ატმოსფერო** – დედამიწის აირისებური გარსი

**ატონი** – მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში

**ატრევსი** – მიკენის ლეგენდარული მეფე

**ატრიუმი** – დახურული ეზო ძველ რომაულ საცხოვრებელში

**ატროპატენა** – სამხრეთ აზერბაიჯანის ძველი ბერძნული სახელი

**აული** – მთიელთა სოფელი ჩრდილოეთ კავკასიაში

**აუტოდაფე** – ინკვიზიციის დროს მწვალებელთა და მათ თხზულებათა საჯარო დაწვა

**აფროდიტე** – სიყვარულის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**აფსიდა** – თაღი, ნახევარი წრის სახით გამოწეული ნაწილი ბაზილიკის ნაგებობაში, რომელშიც საკურთხეველია მოთავსებული

**აფშილები** – ერთ-ერთი აფხაზური ტომი

**აფხაზეთის სამეფო** – ერთ-ერთი ადრინდელი ფეოდალური ქართული სახელმწიფო. იგივე ეგრის-აფხაზეთის სამეფო (VIIIს–ის 80-90 –იანი – Xს-ის 80 –იანი წწ. )

**აქადი** – უძველესი ქალაქ-სახელმწიფო შუამდინარეთში ძვ. წ. XXIV–XXII სს–ში

**აქილევსი** – ბერძენთა უმამაცესი გმირი, ტროას ომის მონაწილე

**აქემენიდები** – ძველი ირანის სამეფო დინასტია ძვ. წ.VI ს-დან ძვ.წ. IV ს-მდე (ძვ.წ. 558 – 330 წწ.)

**აღაპი** – ა. წიგნი, სადაც აღნიშნულია შემომწირველთა სახელები

ბ. ქელეხი

**აღორძინება** – შუა საუკუნეების უდიდესი კულტურული მოვლენა. იგივე რენესანსი

**აშოტ კურაპალატი** – VIII-IX სს.–ის ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი, ტაო-კლარჯეთის სახელმწიფოს ფუძემდებელი

**აშელის კულტურა** – ქვედა პალეოლითის ხანის კულტურა დასავლეთ ევროპასა და კავკასიაში

**აშუღი** – სახალხო მომღერალი აღმოსავლეთის ქვეყნებში

**აშქელონი** – ქალაქი ისრაელში, სავაჭრო ქალაქი ეგვიპტესა და სირიის დამაკავშირებელ გზაზე

**აშქენაზი** – ევროპელი ებრაელი

**აცტეკები** – მექსიკის ძველი მოსახლეობა

**აწყური** – ისტორიული სოფელი და ციხე–სიმაგრე სამხრეთ საქართველოში

**ახალი ათონი** – ერთ-ერთი უდიდესი კარსტული მღვიმე აფხაზეთში

**ახალი ისტორია** – მსოფლიოს ისტორია XV საუკუნის ბოლოდან 1918 წლამდე

**ახუნდი** – მაჰმადიანებში: სჯულის მცოდნე, მასწავლებელი

**აჰურა-მაზდა** – ძველი სპარსული ღვთაება

# ბ

**ბაალი** – ნაყოფიერების ფინიკიური ღვთაება

**ბაბილონი** – ისტორიული ქალაქი შუამდინარეთში, დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე, მესოპოტამიის კულტურის ცენტრი, ითვლებოდა სამყაროს ცენტრადაც

**ბაბილონის გოდოლი** – ბიბლიური შენობა, რომლის წვერი ადამიანებს ღმერთამდე უნდა მიეწვდინათ. ამით განრისხებულმა უფალმა აურია მათ ენები და ერთმანეთის აღარა გაეგებოდათ. ითქმის არეულ-დარეულობაზე, აურზაურზე

**ბაბილონის დაკიდებული ბაღები** – ძველი მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი, რომლებიც ძვ. წ. VI ს-ში მეფე ნაბუქოდონოსორმა აუშენა მეუღლეს, ლიდიის მეფის ასულს

**ბაგაუდები** – რომაელთა წინააღმდეგ მებრძოლი ღატაკები გალიასა და ჩრდ. ესპანეთში III-V საუკუნეებში

**ბაგრატიონები** – ქართული სამეფო დინასტია (IX ს. – 1810 წ.)

**ბაზალეთი** – ა. სოფელი დუშეთის რაიონში

ბ. ტბა ამავე რაიონში

**ბაზალტი** – ვულკანური ქანი

**ბაზიერი** – მეფის კარზე ქორ–შევარდნის მწვრთნელი

**ბაზილიკა** – წაგრძელებული სწორკუთხა უგუმბათო ტაძარი

**ბაზისი** – საყრდენი, საფუძველი

**ბაირამი** – მუსლიმთა დღესასწაული

**ბაქქი** – ღვინისა და გართობის მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში

**ბალი** – ბუნების რაიმე მოვლენის საზომი ერთეული

**ბანა** – საქართველოს ერთ–ერთი კულტურული და სახელმწიფოებრივი ცენტრი ტაოში. X–XI სს–ში აქ აშენდა დიდი ტაძარი

**ბალზამირება** – გვამის დაჟღენთვა ნივთიერებით, რომელიც მას გახრწნისგან იცავს. განსაკუთრებით გამოიყენებოდა ძველ ეგვიპტეში

**ბალკანეთი** – ნახევარკუნძული სამხრეთ ევროპაში, რომელსაც ეკვრის ადრიატიკის, იონიის, მარმარილოს და ეგეოსის ზღვები

**ბაპტიზმი** – პროტესტანტიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა

**ბარათაშვილები** – თავადთა საგვარეულო ფეოდალურ საქართველოში

**ბარბაროსი** – ა. არაბერძნულად მოლაპარაკე ადამიანი ძველ საბერძნეთსა და რომში

ბ. უკულტურო, ველური ადამიანი

**ბარდაველიძე ვერა** – (17. 09. 1899წ. – 23. 10. 1970წ. ) ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი

**ბარდავი** – ისტორიული ქალაქი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ყარაბაღის ვაკეზე. VII ს–ში ალბანეთის დედაქალაქი

**ბარომეტრი** – ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო

**ბარონი** – ევროპელი დიდგვაროვანის ტიტული

**ბარელიეფი** – ამობურცული სკულპტურული გამოსახულება

**ბართლომეს ღამე** – ჰუგენოტების მასობრივი ხოცვა-ჟლეტვა პარიზში 1572 წლის 23 აგვისტოს

**ბაროკო** – მხატვრული სტილი ხელოვნებაში XVI-XVIII საუკუნეების ევროპაში

**ბარომეტრი** – ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო

**ბარძიმი** – მაღალფეხიანი სასმისი ზიარებისთვის

**ბარხანი** – ქარის მოქმედების შედეგად წარმოშობილი ქვიშის ბორცვი

**ბასიანი** – პროვინცია ისტორიულ სამხრეთ საქართველოში

**ბასილევსი** – ტომის ბელადი ძველ საბერძნეთში, ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში –მეფე

**ბასილი** დიდი (ბულგართმმუსვრელი) – ბიზანტიის იმპერატორი XI ს

**ბასკაკი** – გადასახადის მონღოლი ამკრეფი

**ბასტილია** – ციხე –სიმაგრე და საპყრობილე პარიზში. ჯანყებულებმა აიღეს 1789 წლის 14 ივლისს

**ბასტიონი** – ციხე –სიმაგრის წინ გამოწეული ნაწილი

**ბატალია** – დიდი ბრძოლა

**ბატალიონი** – რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი სამხედრო შენაერთი

**ბაღვაშები** – თავადთა საგვარეულო ფეოდალურ საქართველოში (IX – XIII სს.)

**ბაქო** – თანამედროვე აზერბაიჯანის დედაქალაქი. მდებარეობს აფშერონის ნახევარკუნძულზე

**ბაქტრია** – ისტორიული ოლქი შუა აზიაში

**ბახუსი** – ღვინისა და მხიარულების ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**ბახტრიონი** – ისტორიული ციხე – სიმაგრე კახეთში, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს

**ბაღდადი** – შუა საუკუნეებში არაბთა სახელმწიფოს დედაქალაქი. ამჟამად ერაყის დედაქალაქი

**ბებრისციხე** – ციხე–სიმაგრე მცხეთასთან

**ბეგი** – ფეოდალი, მემამულე, ბატონი აღმოსავლეთის ქვეყნებში

**ბედუინი** – მომთაბარე არაბი

**ბედენური კულტურა** – ბრინჯაოს კულტურა ქვემო ქართლში

**ბენედიქტელები** – კათოლიკე ბერების ორდენი. დაარსდა VI საუკუნეში

**ბენეფიციუმი** – მიწათმფლობელობის ფორმა ადრინდელ შუა საუკუნეებში

**„ბერგმანის ბატალიონი“** – გერმანელების მიერ ქართველი ტყვეებისაგან და ემიგრანტებისაგან დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთი II მსოფლიო ომის დროს

**ბერძენიშვილი ნიკო** – (1895–1965 წწ.) ცნობილი ქართველი ისტორიკოსი

**ბესა** – ბაქტრიის მმართველი ძვ. წ. IV ს–ის II ნახევარში. დარიოს III –ის მკვლელი

**ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი)** – (1750 – 1791 წწ) – ქართველი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე

**ბექა–აღბუღას სამართალი** – XIII-XIV საუკუნეების ქართული სამართლის წიგნი

**ბეჰაიმი მარტინ** – ( XV ს) გერმანელი მეცნიერი, პირველი გლობუსის ავტორი. ეს გლობუსი ინახება ქალაქ ნიურბერგში

**ბიბლია** – ქრისტიანული საღვთო წმინდა წიგნების კრებული

**ბიბლიოგრაფია** – წიგნებისა და სხვა გამოცემების მეცნიერული აღწერა

**ბიბლიოთეკა** – ა. დაწესებულება, სადაც ინახება ყოველგვარი ლიტერატურა, წიგნთსაცავი

ბ. კერძო პირის კუთვნილი წიგნთსაცავი

**ბიბლიოფილი** – წიგნების მოყვარული

**ბიზანტია** – აღმოსავლეთ რომის იმპერიის სახელწოდება

**ბიზანტიონი** – ბერძნული ახალშენი მცირე აზიის სანაპიროზე, დღევანდელ სტამბოლთან ახლოს

**ბიზანტიოლოგია** – ბიზანტიის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერება

**ბილინგვა** – ერთი და იგივე შინაარსის შემცველი ორენოვანი ტექსტი

**ბიოგეოგრაფია** – მეცნიერება ცხოველთა და მცენარეთა გეოგრაფიული გავრცელების შესახებ

**ბიოგრაფია** – ვისიმე ცხოვრების აღწერა

**ბიოსტრატიგრაფია** – ნამარხი ცხოველების მონაცემებზე დაფუძნებული შრეების კულტურული დანაწევრების მეთოდი

**ბიოსფერო** – დედამიწაზე სიცოცხლის გავრცელების არე

**ბირთვისი** – ციხესიმაგრე ისტორიულ ქვემო ქართლში

**„ბისეკი“** – შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცის აბრევიატურა

**ბიოსფერო** – სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე

**ბიოცენოზი** – იმ მცენარეთა და ცხოველთა ერთობლიობა, რომლებიც არსებობენ ერთგვარ პირობებში

**ბირჟა** – დაწესებულება, სადაც ხდება მსხვილი ფინანსური გარიგებები

**ბიურგერი** – მოქალაქე გერმანულენოვან ქვეყნებში

**ბიურაკრიტიზმი** – მმართველობის სისტემა, როცა ქვეყანას მართავენ არა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად

**ბიუსტი** – ქანდაკება, რომელიც გამოსახავს ადამიანის სხეულის ზედა ნაწილს

**ბიუჯეტი** – სახელმწიფოს, დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა

**ბლინდაჟი** – ნაგებობა, რომელიც მეომრებს იცავს არტილერიის ცეცხლისგან

**„ბლიცკრიგი“** – ფაშისტური გერმანიის „ელვისებური ომის გეგმა“

**ბლოკადა** – ქალაქის, ციხე-სიმაგრის ალყა ომის დროს

**ბოგდიხანი** – ჩინეთის იმპერატორების ტიტული

**ბოემუნდი** – (1056–1111 წწ.) ჯვაროსნების ერთ-ერთი მეთაური ჯვაროსანთა I ლაშქრობის დროს

**ბოიარი** – მსხვილი მიწათმფლობელი მეფის რუსეთში

**ბოიკოტი** – პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის ხერხი

**ბოლივარი სიმონ** – კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული გმირი ლათინურ ამერიკაში

**ბოლნისის სიონი** – V საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი

**ბოლნისის წარწერა** – ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლი საქართველოს ტერიტორიაზე V ს. დასასრული

**ბოლონიის პროცესი** – ევროპული საგანმანათლებლო სისტემა

**ბოლშევიზმი** – რუსეთის სოციალ–დემოკრატიული პარტიის ფრაქცია, რომელიც 1917 წლიდან დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბდა

**ბომბი** – ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილი სასროლი ყუმბარა

**ბომონი** – კერპი

**ბომონდი** – ნაღები საზოგადოება

**ბონაპარტე ნაპოლეონი** – საფრანგეთის იმპერატორი XVIII–XIX სს.

**ბონისტიკა** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ქაღალდის ფულის ნიშნებს

**ბორა** – ძლიერი და ცივი ქარი

**ბორჯომის ხეობა** – მტკვრის ხეობა სოფ. აწყურიდან სოფ. ტაშისკარამდე

**ბოსფორის სრუტე** – შავი და მარმარილოს ზღვების შემაერთებელი სრუტე

**ბოფორტის სკალა** – ქარის სიძლიერის საზომი 12 ბალიანი სკალა

**ბოქაული** – საპოლიციო – ადმინისტრაციული აპარატის დაბალი ჩინის მოხელე

**ბრაჰმა** – ინდუიზმის უმაღლესი ღვთაება

**ბრაჰმანები** – უმაღლესი კასტა ინდოეთში

**ბრიზი** – დღეღამური ქარი, რომელიც დღისით ზღვიდან ხმელეთისკენ ქრის, ღამით– ხმელეთიდან ზღვისკენ

**ბრიტები** – კელტური ტომი. ბრიტანეთის კუნძულების უძველესი მოსახლეობა

**ბრიფინგი** – ხანმოკლე თათბირი

**ბრონტოზავრი** – უძველესი განათხარი ქვეწარმავალი დინოზავრების ოჯახიდან

**ბროსე მარი** – ( 1802 – 1880 წწ) ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი

**ბუდა** – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიის–ბუდიზმის ფუძემდებელი

**ბუდიზმი** – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიათაგანი, წარმოიშვა ძვ. წთ. VI ს-ში

**ბუკეფალი** – ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელი

**ბუკინისტი** – ნახმარი წიგნებით მოვაჭრე

**ბულა** – რომის პაპის ბრძანებულება, სიგელი

**ბულე** – სახელმწიფო საბჭო საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოში

**ბუნდესვერი** – გერმანიის შეიარაღებული ძალები

**ბუნდესტაგი**– გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატა

**ბუნებრივი პირობები** – გეოგრაფიული გარემოს თვისებათა ერთობლიობა

**ბუნებრივი რესურსები** – საზოგადოების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საჭირო ბუნებრივი ელემენტები

**ბუნიობა** – დღისა და ღამის ხანგრძლივობის ტოლობა (ფიქსირდება 21 მარტს და 23 სექტემბერს)

**ბურგი** – შუა საუკუნეების ევროპული სიმაგრე

**ბურგომისტრი** – ქალაქის მმართველი გერმანულენოვან ქვეყნებში

**ბურები** – ჰოლანდიელი კოლონისტების სამხრეთ აფრიკელი შთამომავლები

**ბურჟუაზია** – გაბატონებული სოციალური ფენა კაპიტალისტურ საზოგადოებაში

**ბუფერული სახელმწიფო** – პატარა სახელმწიფო, რომელიც მოქცეულია ორ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ქვეყანას შორის და ცდილობენ მის გამოყენებას ერთმანეთის წინააღმდეგ

**ბუქარესტის ზავი** – რუსეთ– ოსმალეთის ზავი 1812 წ. რომლითაც იურიდიულად შეუერთდა დასავლეთი საქართველო რუსეთს

**ბუღა თურქი** – არაბთა სარდალი, რომელმაც 853 – 854 წწ. ილაშქრა საქართველოში. 853 წ. 5 აგვისტოს გადაწვა თბილისი

**ბუშმენები** – სამხრეთ აფრიკის უძველესი მოსახლეობა

# გ

**გაბაშვილი ტიმოთე** – (გარდაიცვალა 1764წ.) ქართველი მწერალი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, კარტოგრაფი და მხატვარი

**გაგელები** – თავადთა საგვარეულო ფეოდალურ საქართველოში (XII – XIII სს.)

**გაერო** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აბრევიატურა

**გავგამელა** – დასახლება მესოპოტამიაში, სადაც დარიოს III დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა 331 წ.

**გაიოზ რექტორი** – (1746 – 1821 წწ.) ქართველი მეცნიერი, ლიტერატორი და მთარგმნელი

**გალაქტიკა** – ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა

**გალები** – კელტთა ტომები, რომლებიც ცხოვრობდნენ გალიაში

**გალავანი** – ციხე-სიმაგრის ან ქალაქის დამცავი კედელი

**გამოფიტვა** – ქანების დაშლისა და შეცვლის პროცესი

**გამყინვარება** – ისტორიული დრო დედამიწაზე, როცა ყინული იკავებდა უზარმაზარ ფართობს

**განდი მაჰათმა** – (1869–1948 წწ.) ინდოელი ხალხის გამანთავისუფლებელი მოძრაობის ეროვნული გმირი

**განედი** – მანძილი ეკვატორიდან ჩრდილოეთით ან სამხრეთით დედამიწის ზედაპირის რომელიმე წერტილამდე გამოხატული გრადუსებით 0 -დან 90 -მდე

**გარნიზონი** – დასახლებულ პუნქტში გამაგრებული სამხედრო ნაწილი

**გეა** – მიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**გეგუთის სასახლე** – ფეოდალური საქართველოს საერო არქიტექტურის ძეგლი ქუთაისთან ახლოს

**გეიზერი** – ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო

**გეიშა** – იაპონიაში ქალი, რომელიც ართობს მაყურებელს

**გელათი** – XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუში დასავლეთ საქართველოში

**გელათის აკადემია** – ქართული საგანმანათლებლო ცენტრი შუა საუკუნეების საქართველოში

**გემა** – სამკაულში ჩასმული რელიეფიანი ქვა

**გენეალოგია** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს გვარების ისტორიას

**გენეზისი** – წარმოშობა, წარმოქმნა

**გენერალი** – უმაღლესი სამხედრო წოდება

**გენერალიტეტი** – არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა

**გენოციდი** – მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიზანმიმართული გაჟლეტა

**გეოგრაფია** – მეცნიერება დედამიწის აღწერის შესახებ

**გეოგრაფიული გარემო** – გარემო, სადაც ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობები და ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა

**გეოგრაფიული გარსი** – ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს და ბიოსფეროს ერთობლიობა

**გეოგრაფიული კოორდინატები** – დედამიწის რომელიმე წერტილის გეოგრაფიული განედი და გეოგრაფიული გრძედი

**გეოგრაფიული ლანდშაფტი** – ქანების, რელიეფის, ჰავის, ნიადაგების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ერთობლიობა

**გეოგრაფიული პოლუსები** – დედამიწის ღერძის წერტილები, სადაც დედამიწის დღეღამური ბრუნვის დრო უძრავია. არსებობს ორი – ჩრდილოეთი და სამხრეთი პოლუსები

**გეოდეზია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს დედამიწის ფორმებსა და ზომებს

**გეოიდი** – დედამიწის რეალური ფორმა

**გეოლოგია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს დედამიწის აგებულებას, დედამიწის ორგანული სიცოცხლის ისტორიას და სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს

**გეოლოგიური დრო** – დედამიწის ქერქის წარმოშობის ხანგრძლივი პერიოდი. იყოფა 5 ერად: არქაული, პროტეროზეული, პალეოზოური, მეზოზოური და კაინოზოური და 12 პერიოდად: კამბრიული, ორდოვიციული, სილურული, დევონური, ქვანახშირის, პერმული, ტრიასული, იურული, ცარცული, პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ანუ ანთროპოგენური

**გეომაგნიტიზმი** – დედამიწის სფეროს მაგნიტური თვისებები

**გეომორფოლოგია** – ფიზიკური გეოგრაფიის დარგი, რომელიც სწავლობს დედამიწის ზედაპირის რელიეფს და მის განვითარებას

**გეორგიევსკი** – ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დაიდო მფარველობის ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის 1783 წელს

**გეოსფეროები** – სხვადასხვა სიმკვრივისა და შემადგენლობის კონცენტრირებული გარსები, რომელთაგანაც შედგება დედამიწის სფერო

**გეოტექტურა** – დედამიწის ზედაპირის ყველაზე მსხვილი ფორმები: მატერიკები და ოკეანური ღრმულები

**გეოქრონოლოგია** – გეოლოგიური წელთაღრიცხვა

**გერბი** – ემბლემა

**გერგეტი** – სოფელი და ტაძარი ყაზბეგის რაიონში

**გერუსია** – უხუცესთა საბჭო სპარტაში

**გერონტი** – გერუსიის წევრი ძველ საბერძნეთში

**გვალვა** – დროის ხანგრძლივი უნალექო პერიოდი

**გვარდია** – ჯარის რჩეული ნაწილი

**გიდი** – ექსკურსიამძღოლი

**გიენოსი** – ანტიკური ხანის ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე ( ახლანდელი ოჩამჩირის მახლობლად)

**გილდია** – შუა საუკუნეებში ვაჭართა და ხელოსანთა გაერთიანება

**გილიოტინა** – თავის მოსაკვეთი მოწყობილობა საფრანგეთში

**გიმნაზია** – საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი

**გინეა** – ძველებური ინგლისური ოქროს ფული

**გინეკეია** – ქალების განყოფილება საცხოვრებელში ძველ საბერძნეთში. საქალებო

**გიორგი მერჩულე** – X საუკუნის ქართველი აგიოგრაფი მწერალი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ავტორი

**გიორგი მთაწმინდელი** – (1009 – 1065 წწ.) ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე

**გიორგი მწიგნობართუხეცესი** – ჭყონდიდელი – (XI – XII სს.) საქართველოს სამეფო კარის ვეზირი. დავით IV –ის აღმზრდელი

**გლადიატორი** – სპეციალურად გაწვრთნილი მონა მებრძოლი ძველ რომში

**გლაციოლოგია** – მეცნიერება მყინვარების შესახებ

**გლიპტიკა** – ძვირფას ქვაზე მხატვრული ჭრის ხელოვნება

**გლობალური** – მსოფლიოს მომცველი

**გლობუსი** – დედამიწის მოდელი

**გნომი** – ქონდრისკაცი ევროპულ მითოლოგიაში

**გოგებაშვილი იაკობ** – (1840 – 1912 წწ.) ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი

**გოლგოთა** – გორაკი პალესტინაში, სადაც ჯვარს აცვეს ქრისტე

**გოლფსტრიმი** – თბილი დინება ატლანტის ოკეანეში

**გომინდანი** – ჩინეთის პოლიტიკური პარტია, შეიქმნა 1912 წელს

**გოთები** – ძველი გერმანელი ტომები

**გოთიკა** – ხუროთმოძღვრული სტილი შუა საუკუნეების ევროპაში

**გონდვანა და ლავრაზია** – უძველესი კონტინენტები. დაყოფის შედეგად გონდვანასგან წარმოიშვა აფრიკა, ავსტრალია, სამხრეთ ამერიკა და ანტარქტიდა, ლავრაზიისგან – ევრაზია და ჩრდილოეთი ამერიკა

**გონდოლა** – ერთნიჩბიანი გრძელი ვენეციური ნავი

**გონიო** – ისტორიული სოფელი და ციხესიმაგრე აჭარაში, მდინარე ჭოროხის შესართავთან

**გორგონა მედუზა** – საზარელი შესახედაობის ფრთოსანი ურჩხული ქალი ბერძნულ მითოლოგიაში

**გორდიასის კვანძი** – ლეგენდარული კვანძი მცირე აზიის სანაპიროზე, რომლის გამხსნელი მსოფლიო ბატონობას შესძლებდა. ალ. მაკედონელმა მახვილით გაკვეთა იგი

**გორის ციხე** – ისტორიული ციხე-სიმაგრე ქართლში, ქ. გორის ცენტრში

**გოტფრიდ ბულონელი** – I ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მეთაური

**გრადუსთა ბადე** – მერიდიანებისა და პარალელების გადაკვეთით მიღებული ბადე რუკაზე ან გლობუსზე

**გრავირება** – ნახატის ან წარწერის ამოჭრა მყარ ზედაპირზე

**გრაფი** – თავადაზნაურული წოდება ევროპაში

**გრაციები** – ახალგაზრდობისა და სილამაზის მფარველი სამი ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**გრიგოლ განმანათლებელი** – (239 – 326 წწ.) სომხეთის ქრისტიანული ეკლესიის ფუძემდებელი. ტრადიცია მას მიაწერს სომხეთის გაქრისტიანებას

**გრიგოლ ხანძთელი** – ქართული სასულიერო მოღვაწე და მწერალი, ტაო კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი ( 759–861 წწ.)

**გრიგორიანული კალენდარი** – ახალი წელთაღრიცხვა, რომელიც რომის პაპმა გრიგოლ XIII შემოიღო 1582 წელს

**გრიგორიანელობა** – სომხური სამოციქულო ეკლესიის სახელი

**გრუნტი** – ქანი, რომელიც ნიადაგის ქვეშ დევს

**გრუნტის წყალი** – გრუნტში მოთავსებული წყლები, რომელთა წარმოშობა სხვადასხვაგვარია – ნალექები, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების ინფილტრაცია

**გრძედი** – მანძილი საწყისი მერიდიანიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით დედამიწის ზედაპირის რომელიმე წერტილამდე 0-დან 180 გრადუსამდე

**გუბერნატორი** – გუბერნიის მმართველი

**გუვერნანტი** – ბავშვების აღმზრდელი

**გულდენი** – ოქროს ფული შუა საუკუნეების ევროპაში

**გურამიშვილი დავით** – (1705 – 1792 წწ.) ქართველი პოეტი, „დავითიანის“ ავტორი

**გურანდუხტი** – დავით აღმაშენებლის მეუღლე. ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანიძის ასული

**გურიელი** – გურიის მთავრის ზედწოდება

**გურჯისტანის ვილაიეთი** – სამხრეთ საქართველოს ადმინისტრაციული სტატუსი ოსმალეთის იმპერიაში

**გუტენბერგი იოჰან** – XV ს–ის ბოლო 1468წ. წიგნის ბეჭდვის გამომგონებელი

## დ

**დაბალმთიანი რელიეფი** – ქედების რელიეფი, რომელთა სიმაღლე არ აღემატება 1000 მ-ს

**დაბლობი** – დედამიწის ზედაპირი, რომელიც არ აღემატება 200 მ-ს ზღვის დონიდან

**დადეშქელიანები** – სვანეთის მმართველი საგვარეულო

**დადიანები** – ფეოდალური საგვარეულო საქართველოში

**დადიანი** – სამეგრელოს მთავარი

**დავით გარეჯა** – ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ – კულტურული ცენტრი

**დავით გარეჯელი** – ერთ-ერთი ასურელი მამა, დავით ჯარეჯის მონასტრის დამაარსებელი

**დავით სოსლანი** – ოსეთის უფლისწული, თამარ მეფის მეუღლე

დ**ავლა** – სამხედრო ალაფი

**დავრიში** – მოხეტიალე მუსლიმი ბერი

**დაზიმეტრიული რუკა** – მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკა

**დალაი ლამა** – ტიბეტის უმაღლესი სასულიერო მმართველი

**დალი** – ქართული მითოლოგიური პერსონაჟი, ნადირობის ქალღმერთი

**დამიეტა** – ისტორიული საპორტო ქალაქი ეგვიპტეში

**დამღა** – ა. მონღოლური სავაჭრო გადასახადი

ბ. სპეციალური ნიშანი

**დამფუძნებელი კრება** – მოსახლეობის წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომლის მოწვევას აპირებდა დროებითი მთავრობა

**დაოიზმი** – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება ჩინეთში

**დარდანელის სრუტე** – ევროპისა და მცირე აზიის დამაკავშირებელი სრუტე

**დარვინი ჩარლზ** – (1809-1882 წწ) ინგლისელი მეცნიერი. ბუნებრივი გადარჩევის თეორიის ავტორი

**დარვინიზმი** –მოძღვრება ცოცხალი სამყაროს განვითარების ბუნებრივი შერჩევის გზით

**დარიალი** – „ოვსთა კარი", ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი უღელტეხილი კავკასიონზე

**დარიოს III კოდომანი** – სპარსეთის იმპერიის უკანაკნელი მეფე (ძვ. წ. 381–330 წწ.)

**დასტურლამალი** – ვახტანგ VI –ის დროინდელი საკანონმდებლო ძეგლი ქვეყნის მართვა-გამგეობასა და სამეფო კარის ეტიკეტის შესახებ

**დასავლეთის ქარი** – ქარი, რომელიც ქრის ზომიერ განედში

**„დაცვის სიგელი"** – საზავო დოკუმენტი, რომელიც არაბმა სარდალმა ჰაბიბნ იბნ მასლამამ VII ს. შუახანებში უბოძა ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ II

**დაცული ტერიტორიები** – რეგიონის ბუნებრივი ლანდშაფტის თავდაპირველ მდგომარეობაში შენარჩუნება

**დაშნაკი** – სომხეთის ბურჟუაზიულ–ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენელი

**დეა რომა** – რომის მფარველი ქალღმერთი

**დედალოსი** – ხუროთმოძღვარი და მოქანდაკე ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც ააგო ლეგენდარული ლაბირინთი კუნძულ კრეტაზე, იკაროსის მამა

**დედამიწა** – მზის სისტემის მესამე პლანეტა, რომელიც მზიდან 149597870 კმ-თაა დაშორებული. დედამიწის ზედაპირის ფართობია 510 მლნ. 2/კმ..მოცულობა

– 1083 მლრდ. 3/კმ. დედამიწის ეკვატორის რადიუსია – 6378,2 კმ.

**დედამიწის ბირთვი** – დედამიწის შიგნითა ნაწილი 3450 კმ. რადიუსის ფარგლებში. მისი ტემპერატურაა 3000 ჩ

**დედამიწის ქერქი** – დედამიწის გარე მყარი გარსი

**დედული** – (დედულეთი ) დედის მზითევი ფეოდალურ საქართველოში. იხმარება დედის სამშობლოს აღსანიშნავად

**დევისი უილიამ** – (1850-1934 წწ) ამერიკელი გეოლოგი, გეომორფოლოგიის ფუძემდებელი

**დევისხვრელი** – ზედა პალეოლითის მღვიმე-ნამოსახლარი დასავლეთ საქართველოში მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირას

**დეზერტირი** – პირი, რომელმაც თვითნებურად მიატოვა სამხედრო სამსახური

**დეკაბრისტები** – 1825 წ. დეკემბრის აჯანყების მონაწილე რუსი თავად-აზნაურობის წარმომადგენელი

**დეკადენსი** – კულტურის დაცემა

**დეკანოზი** – საეკლესიო იერარქიაში უფროსი მღვდელი

**დეკლარაცია** – რაიმე აქტის ან კანონის საზეიმო გამოცხადება

**დეკრეტი** – ხელისუფლების დადგენილება

**დელეგაცია** – არჩეულ ან დანიშნულ წარმომადგენელთა ჯგუფი

**დელტა** – მდინარის მიერ შესართავთან წარმოქმნილი მყარი არე

**დელფო** – ქალაქი, სადაც მდებარეობდა საერთო ბერძნული სამისნო

**დემილიტარიზაცია** – სახელმწიფოს განიარაღება

**დემონსტრაცია** – მასობრივი მსვლელობა

**დემოგრაფია** – მოსახლეობის შობადობის, სიკვდილიანობის, გადაადგილების და სხვა შესწავლა

**დემოგრაფიული ექსპანსია** – სახელმწიფოში უცხოტომელების მასობრივი ჩასახლება

**დემეტრა** – მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**დემოსი** – ხალხი ბერძნულად

**დემოკრატია** – ხალხის მმართველობა

**დემოკრიტე** – (დაახ. ძვ. წ. 460-370წწ) ბერძენი ფილოსოფოსი. იკვლევდა ვულკანებს, მიწისძვრებს

**დემოტური დამწერლობა** – სახალხო დამწერლობა

**დენდოქრონოლოგია** – დათარიღება ხის ასაკობრივი რგოლების მიხედვით

**დეპორტაცია** – პიროვნების გაძევება საცხოვრებელი ადგილიდან

**დესეტინა** – მიწის საზომი ერთეული (1,09 ჰექტარი)

**დესპანი** – დიპლომატიური მისიით წარგზავნილი პირი

**დესპოტი** – განუსაზღვრელი უფლებების მქონე პირი

**დესპოტია** – მმართველობის ფორმა, როცა ქვეყანას დესპოტი მართავს

**დეციმაცია** – ყოველი მეათის სიკვდილით დასჯა

**დეჰკანი** – გლეხი შუა აზიასა და ირანში

**დვალები** – იბერიულ – კავკასიური ტომი ძველ საქართველოში. სახლობდნენ დარიალის ხეობასა და მამისონის გადასასვლელს შორის

**დიადემა** – ძვირფასი თავსამკაული

**დიადოხოსები** – ალექსანდრე მაკედონელის სარდლები, რომლებმაც გაინაწილეს მისი იმპერია

**დიალექტი** – საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელზედაც ლაპარაკობენ ამა თუ იმ კუთხეში

**დიანა** – ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**დიასპორა** – ეთნიკური ჯგუფის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ

**დიგესტები** – იმპერატორ იუსტინიანეს დროის სამოქალაქო სამართლის კრებული. გამოქვეყნდა 533წ.

**„დიდი თურქობა"** – თურქ-სელჩუკთა მასობრივი ლაშქრობები საქართველოში 1080 წლიდან

**დივერსია** – მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მწყობრიდან გამოყვანა

**დინარი** – არაბული ფულის ერთეული

**დინასტია** – საგვარეულო, რომლის წარმომადგენლები მემკვიდრეობით ადიან ტახტზე

**დინოზავრი** – გიგანტური გადაშენებული ქვეწარმავალი

**დიოსკურია** – ანტიკური ქალაქი დღევანდელ სოხუმთან

**დიოსკურები** – ზევსის ვაჟები

**დიონისე** – ღვინისა და დროსტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**დიოფიზიტობა** – ქრისტიანული მიმდინარეობა, რომელიც აღიარებს ქრისტეს როგორც ღვთაებრივ, ისე ადამიანურ ბუნებას (მართლმადიდებლობა)

**დიპლომატი** –– თანამდებობის პირი, რომელსაც ავალია სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარება

**დირექტორია** – 5 კაცისგან შემდგარი აღმასრულებელი ხელისუფლება საფრანგეთში (1798წ.)

**დისიდენტი** – ა. პირი, რომელიც არ აღიარებს ქვეყანაში გაბატონებულ რელიგიას

ბ. პირი საბჭოთა კავშირში, რომელიც არ ურიგდებოდა არსებულ წყობას

**დისკრიმინაცია** – უფლებების დამცირება

**დისპუტი** – საჯარო მეცნიერული კამათი

**დიუნი** – ქარის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ქვიშის ბორცვი

**დიქტატორი** – განუსაზღვრელი უფლებების მქონე ხელისუფლების პირი

**დმანისი** – სოფელი საქართველოს სამხრეთ მთიანეთში. შუასაუკუნეების ქალაქი

**დმანისის ადამიანი** – უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენა ისტორიულ ქვემო ქართლში, რომლის ასაკი 1 მლ. 800 000 წელია

**დოლმენი** – დიდი ლოდებისგან აგებული უძველესი სამარხი

**დომენი** – მეფის და დიდგვაროვნების პირად საკუთრებაში არსებული მამული შუა საუკუნეებში

**დომესტიკოსი** – სარდლის ტიტული ბიზანტიაში

**დომინატი** – რომის იმპერიის გვიანდელი ხანა. დაიწყო იმპერატორმა დიოკლეტიანემ

**დომინიკანელები**–კათოლიკური ბერ-მონაზვნური ორდენი, რომელიც შეიქმნა XIII საუკუნეში

**დოჟი** – ვენეციის რესპუბლიკის მმართველი შუა საუკუნეებში

**დორიული ორდერი** – სვეტების უბრალო არქიტექტურული ფორმა

**დოფინი** – ტახტის მემკვიდრის ტიტული საფრანგეთში

**დოქტრინა** – მეცნიერული თეორია რაიმეს შესახებ

**დრაგუნი** – ოფიცერი ან ჯარისკაცი მეფის რუსეთში

**„დრაკონტის კანონები"** – ბერძენი კანონმდებლის დრაკონტის მიერ შედგენილი უმკაცრესი კანონების სისტემა

**დრაქმა** – ფულისა და წონის ერთეული ძველ საბერძნეთში (4,366გრ.)

**დრაჰკანი** – მონღოლური ფულის ერთეული

**დრეიფი** – ყინულის ან ხომალდის ჰორიზონტალური მოძრაობა ქარის ან დინების ზეგავლენით

**დრენაჟი** – დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობისათვის განკუთვნილი არხების სისტემა

**დრიადი** – ტყის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში

**დრიოპითეკი** – ადამიანის მსგავსი უძველესი მაიმუნი (12-8,5 მლ. წელი). ნაპოვნია მხოლოდ ევრაზიაში

**დროებითი მთავრობა** – სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანო რუსეთში, რომელიც შეიქმნა 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. იარსება 1917 წლის 25 ოქტომბრამდე

**დრუზები** – მუსლიმანური რელიგიური სექტის მიმდევარი არაბები

**დრუიდი** – ძველი კელტების ქურუმი

**დუალიზმი** – ა. ფილოსოფიური მიმდინარეობა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის დაპირისპირების შესახებ

ბ. გაორება

**დუბლონი** – ძველი ოქროს ფული ესპანეთსა და საფრანგეთში

**დუელი** – ორთაბრძოლა

**დუკატი** – ევროპული ოქროს ან ვერცხლის ფული შუა საუკუნეებში

**დუმანი** – მონღოლური სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული : ევალებოდა 10 ათასი მეომრის გამოყვანა

**დუნიტი** – ქანი, რომელსაც იყენებენ ცეცხლგამძლე მასალის დასამზადებლად

**დუჟინი** – თორმეტი ერთნაირი საგანი

**დურძუკები** – ჩრდილო კავკასიური ტომი

**„დუჩე“** – მუსოლინის ზედსახელი

**დუხობორები** – ერთ-ერთი რუსული სექტა

# ე

**ებერი –** ებრაელთა პატრიარქი

**ებერისტები** – იაკობინელთა მემარცხენე პოლიტიკური დაჯგუფება საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს

**ეგეოსი** – ათენის ლეგენდარული მეფე, თეზევსის მამა

**ეგეოსის ზღვა** – ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი შიდა ზღვა

**ეგვიპტოლოგია** – აღმოსავლეთმცოდნეობის დარგი, რომელიც შეისწავლის ძველი ეგვიპტის ენას, ისტორიას და კულტურას

**ეგვტერი** – ეკლესიიდან მოშორებით აგებული ან ეკლესიას მიშენებული მცირე ნაგებობა

**ეგზალტირებული** – აღგზნებული ან აღფრთოვანებული

**ეგზარქატი** – ეგზარქოსის გამგებლობაში მყოფი საეკლესიო ოლქი

**ეგზარქოსი** – მართლმადიდებელთა ცალკე საეკლესიო ოლქის მღვდელმთავარი

**ეგზეკუცია** – ა. მთავრობის ჯარების ჩაყენება მთავრობის საწინააღმდეგოდ განწყობილ დასახლებულ პუნქტში

ბ. ფიზიკური ან სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანა

**ეგზოგამია** – ქორწინების აკრძალვა ერთსა და იმავე გვარის ან თემის წარმომადგენლებს შორის

**ეგზოგენური** – დედამიწის ზედაპირზე გარეშე ძალებით წარმოშობილი ნიადაგები

**ეგზოტიკა** – უცხოური, უცნაური, უჩვეულო

**ეგიდა** – ა. ვინმეს მფარველობის ქვეშ ან ხელმძღვანელობით

ბ. ზევსის ფარი

**ეგისთე** – მიკენის მეფის, აგამემნონის მკვლელი. მოკლა აგამემნონის ვაჟმა ორესტემ

**ეგრისი** – დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელი

**ეგრისის სამეფო** – (ლაზიკის სამეფო ) – ძველი ქართული სამეფო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე

**ედესა** – ისტორიული ქალაქი თანამედროვე თურქეთში (ურფა)

**ედილი** – სახალხო ტრიბუნის თანაშემწე ძველ რომში

**ედიქტი** – განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ბრძანებულება

**ევა** – ბიბლიური პერსონაჟი, პირველი ქალი, რომელიც ღმერთმა შექმნა ადამის ნეკნიდან

**ევაკუაცია** – ადამიანების მასობრივი გამოყვანა სახიფათო ზონიდან

**ევანგელე** – სახარება

**ევანგელისტური** – სახარებისეული

**ევოლუცია** – განვითარების პროცესი

**ევლია ჩელები** – (1611 – 1683 წწ )ოსმალო გეოგრაფი და მოგზაური, ისტორიკოსი

**ევპატრიდი** – არისტოკრატი ძველ საბერძნეთში

**ევრიკა** – აღტაცების გამოხატვა რაიმეს აღმოჩენის შემთხვევაში

**ევრიდიკე** – ლეგენდარული მომღერლის ორფევსის ცოლი

**ევროპეიდი** – ევროპეიდული რასის წარმომადგენელი

**ევროპე** – ფინიკიის მეფის ასული. მისგან მოდის კონტინენტ ევროპის სახელწოდება

**ევსტათი მცხეთელი** – ქრისტიანობისთვის წამებული სპარსელი, ქართული ეკლესიის წმინდანი

**ევტერპე** – მუსიკისა და ლირიკული პოეზიის მფარველი მუზა ბერძნულ მითოლოგიაში

**„ევქსინუს პონტოს“** – სტუმართმოყვარე ზღვა

**ეზოპე** – ძველი ბერძენი მეიგავე

**ეზოსმოძღვარი** – მეფის სასახლის სამეურნეო-საფინანსო სამსახურის გამგებელი ანტიკურ საქართველოში

**ეთერი** – ჰაერის ზედა ფენა, ზევსის საცხოვრებელი ბერძნულ მითოლოგიაში

**ეთიკა** – მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ

**ეთნარქი** – გვარის, ტომის, ეთნოსის მამამთავარი, პატრიარქი

**ეთნოგენეზი** – ხალხის, ტომის, ეთნოსის წარმოშობა

**ეთნოგრაფია** – ისტორიული მეცნიერება, რომელიც სწავლობს ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, მათ სულიერ და ნივთიერ კულტურას

**ეთნოსი** – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული დიდი ან მცირე ჯგუფი, ერთმანეთთან ტერიტორიულად, ენითა და კულტურული ერთობით დაკავშირებული

**ეკატერინე დადიანი** – (1816 – 1882 წწ) სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი

**ეკბატანა** – ისტორიული ქალაქი სპარსეთში. შაჰების ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია

**ეკვატორი** – წარმოსახვითი ხაზი, რომელიც გარს უვლის დედამიწას და ყოფს მას ორ ნახევარსფეროდ

**ეკიუ** – ძველი ფრანგული ოქროს ან ვერცხლის ფული

**ეკლესია** – ა. მორწმუნეთა საკრებულო

ბ. ქრისტიანთა საკულტო ნაგებობა

**ეკლიპტიკა** – ცის სფეროს დიდი წრე, რომელზეც წარმოებს მზის ხილული მოძრაობა წლის განმავლობაში

**ეკოლოგია** – ბუნების რაციონალური გამოყენება და დაცვა

**ეკოსისტემა** – ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი გარემომცველი ბუნების ერთობლიობა

**ეკონომიკური ექსპანსია** – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ განხორციელებული ეკონომიკური ინტერესები

**ელადა** – ძველი საბერძნეთი

**ელდორადო** – ოქროთი მდიდარი უტოპიური ქვეყანა

ელეგია – სევდიანი ლირიკული ლექსი

**ელენე** – სპარტის მეფის მენელაოსის ულამაზესი მეუღლე. გაიტაცა პარისმა. ტროას ომის მიზეზი

**ელი** – მომთაბარე თურქულენოვანი ტომი

**ელია** – ერთ-ერთი ასურელი მამა, იოანე ზედაზნელის მოწაფე

**ელიაობა** – ამინდის ღვთაების – ელიას სახელობის დღესასწაული

**ელია წინასწარმეტყველი** – ბიბლიური პერსონაჟი

**ელიოზ მცხეთელი** – მცხეთელი ებრაელი, რომელმაც ქრისტეს კვართი ჩამოიტანა მცხეთაში

**ელინები** – ძველი ბერძნების საერთო სახელწოდება

**ელინიზმი** – ძვ. წ. IV ს. შუახანებიდან დაწყებული უდიდესი კულტურული ეპოქა, როდესაც აყვავებული იყო ბერძნულ-აღმოსავლური კულტურა. დამთავრდა I საუკუნეში-რომის მიერ საბერძნეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობით

**ელონგაცია** – პლანეტის ხილული კუთხური დაშორებულობა მზისგან

**ელფი** – ადამიანებისადმი კეთილად განწყობილი სული გერმანულ მითოლოგიაში

**ემბარგო** – რომელიმე ქვეყანაში რაიმე სახის საქონლის შეტანის აკრძალვა

**ემიგრანტი** – სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლებული პირი

**ემისარი** – აგენტი

**ემისია** – ქაღალდის ფულის გამოშვება

**ენდემი** – მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში

**ენეასი** – ტროელი მოქალაქე, რომელმაც ცეცხლმოკიდებული ქალაქიდან გამოიყვანა მამა ანქიზე და შვილი ასკანიუსი, იულიუსების მითიური წინაპარი

**ენეოლითი** – სპილენძ–ქვის ხანა

**ენკენისთვე** – სექტემბერი

**ენლილი** – ჰაერის ღმერთი შუმერულ მითოლოგიაში

**ენციკლიკა** - რომის პაპის მიმართვა მრევლისადმი

**ენციკლოპედია** – მეცნიერული გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია ცნობები ცოდნის ყველა ან ცალკეული დარგიდან

**ენქი** – სიბრძნისა და ხელოვნების მფარველი ღმერთი შუმერულ მითოლოგიაში

**ეოლური რელიეფი** – ქარის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი რელიეფი

**ეოსი** – გარიჟრაჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**ეპარქია** – საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული, საეპისკოპოსო

**ეპირი** – ისტორიული მხარე საბერძნეთში

**ეპიგრაფია** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ძველ წარწერებს

**ეპისკოპოსი** – ქრისტიანულ ეკლესიაში უმაღლესი სასულიერო წოდება

**ეპიტაფია** – საფლავის ქვის წარწერა

**ეპისტოლე** – წერილი

**ეპონიმი** – პირი, რომლის სახელისაგან წარმოდგება ხალხის, ადგილის და სხვა სახელწოდება

**ეპოპეა** – დიდი მოცულობის მხატვრული ნაწარმოები

**ეპოსი** – ლიტერატურის თხრობითი ჟანრი

**ეპოქა** – დროის დიდი მონაკვეთი

**ერა** – ა. მომენტი, მოვლენა, საიდანაც იწყება წელთაღრიცხვა

ბ. დედამიწის ისტორიის ყველაზე დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთი

**ერატო** – სატრფიალო პოეზიის მფარველი მუზა ბერძნულ მითოლოგიაში

**ერატოსთენე** – (დაახლ. ძვ. ე. 276-196 წწ) ბერძენი ფილოსოფოსი და გეოგრაფი. მან პირველმა გაზომა დედამიწის გარშემოწერილობა და გამოიყენა სიტყვა „გეოგრაფია“

**ერგასტერიონი** – მონების სახელოსნო ძველ საბერძნეთში

**ერთა ლიგა** – საერთაშორისო ორგანიზაცია

**ერესი** – ოფიციალური ეკლესიისაგან განდგომა

**ერეტიკოსი** – ერესის მიმდევარი

**ერისთავი** – ფეოდალური ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი საქართველოში

**ერინიები** – შურისმაძიებელი ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში

**ეროზია** – ნიადაგის ან მთის ქანების გადარეცხვა

**ერუდიცია** – განსწავლულობა, მრავალმხრივი ცოდნის ფლობა

**ერქვანი** – სახვნელი იარაღი

**ესესელი** – ფაშისტური გერმანიის სპეც. ნაწილის მოსამსახურე

**ესთეტიკა** – მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ

**ესკადრა** – სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი შენაერთი

**ესკადრილია** – სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი

**ესკორტი** – დაცვა, ბადრაგი

**ესკულაპი** – მკურნალობის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**ეტრუსკები** – ძველი იტალიის ერთ-ერთი ტომი, დიდი გავლენა მოახდინეს რომაულ კულტურაზე

**ეფენდი** – საპატიო მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში

**ეფორები** – საკონტროლო ორგანო ძველ სპარტაში

**ეფრეიტორი** – დაბალი სამხედრო წოდება

**ეფემერული** – ხანმოკლე, გადატანითი მნიშვნელობით არარეალური, მოჩვენებითი

**ექვთიმე მთაწმინდელი** – (955 – 1028 წწ) ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი

**ექო** – ერთ-ერთი ნიმფას სახელი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც დაისაჯა და მხოლოდ სხვისი ნათქვამის დაბოლოების განმეორება შეეძლო

**ექოლოტი** – ზღვის სიღრმის საზომი ხელსაწყო

**ექსორია** – სამშობლოდან გადახვეწა, ემიგრაციაში წასვლა

**ექსპედიცია** – ადამიანთა გარკვეული ჯგუფის სპეც. დავალებით გამგზავრება

**ექსპლუატაცია** – ა. სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება

ბ. სასარგებლო წიაღისეულის ან მანქანა დანადგარების გამოყენება

**ექსპორტი** – საქონლის გატანა საზღვარგარეთ გასაყიდად

**ექსპროპიაცია** – ხელისუფლების მიერ ქონების იძულებით ჩამორთმევა

**ექსტრადიცია** – უცხო სახელმწიფოსთვის დამნაშავის გადაცემა

**ექსტრემიზმი** – უკიდურესი შეხდულებებისა და ზომების მომხრეობა

**ეჯიბი** – ერთ-ერთი დიდი მოხელე ქართველი მეფის სასახლეში, მეკარე

**ეშაფოტი** – ამაღლებული ფიცარნაგი სიკვდილით დასასჯელად

## ვ

**ვაგანტები** – მოხეტიალე სტუდენტები შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, რომლებიც სახალხოდ ასრულებდნენ ეკლესიის საწინააღმდეგო ლექსებს

**„ვაგნერის კანონი“**–1935წ. აშშ კონგრესის მიერ მიღებული კანონი „შრომითი ურთიერთობების შესახებ“

**ვადა** – ხმლის, მახვილის ტარისა და პირის შეერთების ადგილი

**ვაიმარის რესპუბლიკა** – გერმანიის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა 1918–1933 წ.

**ვაიშიები** – ერთ-ერთი კასტა ინდოეთში (ძირითადად ვაჭრები და მეთემეები)

**ვალი** – ა. ირანის ვასალი ქვეყნის მმართველი
ბ. ვილაიეთის მმართველი თურქეთში

**ვაკუფი** – საჩუქრად გადაცემული ქონება მუსლიმი სასულიერო პირისათვის

**ვალუტა** – ა. ქვეყნის ფულის სისტემა
ბ. უცხო ქვეყნის ფული

**ვანდალები** – ძველი გერმანული ტომი, რომელიც V ს. შეესია რომის იმპერიას და გაანადგურა მრავალი კულტურის ძეგლი

**ვანდალიზმი** – კულტურის ძეგლთა განადგურება

**ვანდემიერი** – საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრის პირველი თვე 1793წ – 1806წ.-მდე (22-23 სექტემბრიდან 21-22 ოქტომბრამდე)

**ვანი** – ანტიკური ქალაქი მდინარე სულორის ნაპირას

**ვაჟა ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი)** – (1862 – 1915 წწ) – გამოჩენილი ქართველი პოეტი

**ვარამ გაგელი** – XIII ს–ის I ნახ. ქართველი დიდებული

**„ვარდების ომი“** – ომი ინგლისში ლანკასტერებსა და იორკებს შორის 1455-1485 წლებში

**ვარსქენ პიტიახში** – ქვემო ქართლის მმართველი V საუკუნეში

**ვარძია** – XII ს-ის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი სამხრეთ საქართველოში

**ვასალი** – ა. თავისზე უფრო მსხვილ ფეოდალზე დამოკიდებული ფეოდალი შუა საუკუნეების ევროპაში
ბ. სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული ქვეყანა

**ვასალიტეტი** – ვასალებს შორის დამოკიდებულების სისტემა. პატრონყმობა

**ვასკო და გამა** – (1469–1524 წწ.) პორტუგალიელი მოგზაური, რომელმაც აღმოაჩინა საზღვაო გზა ინდოეთისაკენ

**ვატიკანი** – კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი, რომის პაპის რეზიდენცია — ცალკე თეოკრატიული სახელმწიფო რომის ცენტრში (ტერიტორია 44 ჰა. მოსახლეობა დაახლოებით 1000 კაცი)

**ვახტანგ გორგასალი** – საქართველოს მეფე V ს-ში. გარდაიცვალა 502 ან 503 წ. სპარსულად „ვარანგ ხოსრო ტანგ"

**ვახუშტი ბატონიშვილი** – (1696–1757 წწ) ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი

**ვაჰაბიზმი** – ისლამის პოლიტიკურ-რელიგიური მოძღვრება XVIII ს. რომელიც მიზნად ისახავდა თურქთა განდევნას და არაბეთის გაერთიანებას. საუდის არაბეთის ოფიციალური რელიგია

**ვეგენერი ალფრედ** – (1880-1930წწ) გერმანელი მეტერეოლოგი, პანგეის თეორიის ავტორი

**ვედა** – ძველი ინდური რელიგიური ლიტერატურის კრებული (ძვ.წ.VI ს.)

**ვედიზმი** – ძველი ინდოეთის უძველესი რელიგია (სულების გადასახლების იდეა)

**ვეზირი** – სამეფო კარის მინისტრი აღმოსავლეთ სახელმწიფოში

**ვეზუვი** – ვულკანი სამხრეთ იტალიაში, რომლის ამოფრქვევის შედეგად 79 წელს განადგურდა სამი ქალაქი: პომპეი, ჰერკულანუმი და სტაბია

**ვენერა** – ა. სიყვარულის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში

ბ. პლანეტა

**ვენეცია** – ქალაქი იტალიაში-ცნობილია იმით, რომ ქუჩების ნაცვლად არხებითაა დაქსელილი

**„ვენი, ვიდი, ვიცი**: - მოვედი, ვნახე, დავამარცხე”. იულიუს კეისრის გამონათქვამის ლათინური ვერსია

**ვერგილიუსი** – I ს.ძველი რომაელი პოეტი, „ენეიდას” ავტორი

**ვერდიქტი** – საბოლოო გადაწყვეტილება

**ვერმახტი** – ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები

**ვერსალი** – ფრანგი მეფეების სამეფო რეზიდენცია პარიზთან ახლოს

**ვერსი** – ძველი რუსული საზომი ერთეული (1,06 კმ.)

**ვესპასიანე** – რომის იმპერატორი 69 – 79 წწ.

**„ვესტ–ინდოეთი“** – ატლანტის ოკეანის კუნძულები, რომლებიც მდებარეობენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შორის

**ვესტა** – ოჯახის, კერიის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**ვესტალი** – ვესტას ქურუმი ქალი ძველ რომში, რომელსაც ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული, პირობის დარღვევის შემთხვევაში ცოცხლად მარხავდნენ

**ვესტიბიული** – შენობაში შესასვლელი დიდი ოთახი

**ვეტერანი** – ომგადახდილი მეომარი

**ვეტო** – „ვკრძალავ“. რისამე შეჩერება, აკრძალვა

**ვექსილი** – ვალის დამადასტურებელი ქაღალდი

**ვექსილოლოგია** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც შეისწავლის დროშების წარმოშობას

**ვეჩე** – სახელმწიფო კრება ძველ ნოვგოროდში

**ვიზა** – უცხო სახელმწიფოში შესვლის ნებართვა

**ვიკინგები** – სკანდინავიელი მეომარი მეზღვაურები (VIII–XI სს)

**ვიკონტი** – აზნაურის ტიტული ევროპის ქვეყანაში

**ვილაიეთი** – მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთსა და მუსლიმანურ სახელმწიფოში

**ვიპატოსი** – ბიზანტიური ტიტული

**ვიტრაჟი** – ფერადი მინებისაგან შემდგარი სურათი ან ორნამენტი

**ვიქტორია** – გამარჯვების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**ვიშნუ** – მზის ღმერთი ინდუიზმში

**ვიცე** – რთული სიტყვის პირველი ნაწილი, აღნიშნავს მოადგილეს, შემცვლელს (მაგ. ვიცე პრემიერი)

**ვოევოდა** – ადმინისტრაციული ტერიტორიის სავოევოდოს მმართველი პოლონეთში

**ვოლტერი** – ფრანგი განმანათლებელი

**ვოლტერიანელობა** – ვოლტერის მიმდევარი

**ვულგარული** – უხეში

**ვულკანი** –ა. ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

ბ. კონუსური მთა, საიდანაც ამოიფრქვევა გავარვალებული ლავა

**ვულკანოლოგია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ვულკანების წარმოშობას, მათ მოქმედებას

# ზ

**ზადრუგა** – სამხრეთ სლავური პატრიარქალური საოჯახო თემი

**ზავი** – შეთანხმება მეომარი მხარეებს შორის საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე

**ზალპი** – რამდენიმე ზარბაზნის ან თოფის ერთდროული დაცლა

**ზარაფი** – მევახშე, ფულის დამხურდავებელი

**ზარაფხანა** – ა. შენობა, სადაც ზარაფი ფულს ახურდავებს

ბ. ფულის მოსაჭრელი შენობა

**ზეგანი** – ზღვის დონიდან 500 მ-ზე ზემოთ მდებარე ბრტყელი ზედაპირის მქონე ვაკე

**ზევსი** – უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში

**„ზემო ზღვა"** – შავ ზღვას ასე უწოდებდნენ ასურელები

**ზენიტი** – ცის სფეროს წარმოსახვითი წერტილი

ზეფირი – დასავლეთის თბილი ქარის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში

**ზვავი** – მთის მწვერვალებიდან სწრაფად დაშვებული თოვლის მასა

**ზიქურატი** – ტაძარი შუმერში

**ზლოტი** – ფულის ერთეული პოლონეთში

**ზოდიაქო** – თორმეტი თანავარსკვლავედის ერთობლიობა, რომლებიც განლაგებულია დიდი წრის (ეკლიპტიკის) გასწვრივ და რომელთა გავლითაც მოძრაობს მზე წლის განმავლობაში

**ზოოგეოგრაფია** – მეცნიერება დედამიწაზე ცხოველთა განაწილების შესახებ

**ზოოლატრია** – ცხოველთა თაყვანისცემა

**ზომიერი სარტყელი** – ეკვატორის სიმეტრიულად ტროპიკებსა და პოლარულ წრეებს შორის არსებული განათების ფართობი. შეადგენს დედამიწის დაახლოებით 52 %

**ზოომორფიზმი** – რელიგიური მსოფლმხედველობა, როდესაც ღმერთებს ცხოველების გარეგნობა აქვთ

**ზოოფიტები** – გარდამავალი უხერხემლო ცხოველები მცენარეებსა და ცხოველებს შორის

**ზოროასტრიზმი** – ცეცხლთაყვანისმცემლობა, მაზდეანობა, რომლის იდეოლოგია მიეწერება ზარატუსტრას

**ზღვა** – წყლის მასა, რომელიც მეტნაკლებად გამოყოფილია მსოფლიო ოკეანისგან

**ზღვის დონე** – ზღვის ან ოკეანის პირობითი დონე, რომელიც მიჩნეულია სიმაღლის ათვლის წერტილად

**ზღვის ხალხები** –ეგეოსის ზღვის სამხრეთით მცხოვრები ხალხები, რომლებმაც ძვ.წ. 1200 წ. გაანადგურეს ხეთების სამეფო

## თ

**თავადი** – ფეოდალი შუასაუკუნეების საქართველოში

**თაკვერი** – რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება

**თალია** – კომედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში

**თალესი** – ბერძენი ფილოსოფოსი

**თალმუდი** – ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული

**თანავარსკვლავედი** – ვარსკვლავთა ჯგუფი, რომლებადაც დაყოფილია პირობითად ვარსკვლავიანი ცა

**თანატოსი** – სიკვდილის მომვლინებელი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**თარხანი** – თავისუფალი

**თეზევსი** – ეგეოსის ძე, ათენის მეფე. მოკლა ლაბირინთში მცხოვრები ლეგენდარული მინოტავრი

**თეიზმი** – მოძღვრება, რომელიც აღიარებს ღმერთების არსებობას

**თეისტი** – თეიზმის მიმდევარი

**თემი** –ადამიანთა სოციალური წარმონაქმნი, გვარების გაერთიანება

**თემიდა** – მართმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. გამოხატავენ თვალებაკრულს ხელში სასწორით

**თემურ ლენგი** – (1336– 1405 წწ.) შუააზიელი მხედართმთავარი, რომელიც რვაჯერ შემოესია საქართველოს

**თეოგონია** – ღმერთების წარმოშობა

**თეოკრატია** – მმართველობის ფორმა, როცა ხელისუფლება ეკუთვნის სასულიერო პირს

**თეოლოგია** – მოძღვრება ღვთისა და რელიგიური დოგმატების შესახებ; ღვთისმეტყველება

**თერგდალეულები** – ქათველ ეროვნულ მოღვაწეთა დასი, რომლებმაც განათლება რუსეთში მიიღეს და XIX ს. 60-იან წლებში დაიწყეს პოლიტიკური მოღვაწეობა

**თერმები** – ა. მიწისქვეშა თბილი წყლები

ბ. აბანოები ძველ რომში

**თერმიდორი** – ფრანგული რევოლუციური კალენდრის მეთერთმეტე თვე (19-20 ივნისიდან–17-18 აგვისტომდე)

**თერმიდორული გადატრიალება** –სახელმწიფო გადატრიალება 1794 წ. 9 თერმიდორს (27 ივნისს) საფრანგეთში, რის შედეგადაც დაემხო იაკობინელთა დიქტატურა

**თერმომეტრი** – ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო

**თერმული წყარო** – წყარო, რომლის ტემპერატურა 20 ჩ-ზე ნაკლები არ არის

**თოვლი** – ფიფქების სახით მოსული ნალექი

**თორა** – ა. ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის (მოსეს ხუთწიგნეული) ებრაული სახელწოდება;

ბ. ებრაელთა სალოცავი, სინაგოგა

**„თორმეტი ტაბულის კანონები"** – ძვ. წ. V ს რომაული სამართლის ძეგლი. დაწერილი იყო თორმეტ ბრინჯაოს დაფაზე და გადმოდგმული რომის ფორუმზე

**თურქ-სელჩუკები** – თურქ-ოღუზების ერთ-ერთი ტომი, რომლებმაც სახელი მიიღეს მეთაურის სელჩუკის გვარისაგან. X საუკუნის II ნახევარში მათ შექმნეს დიდი გაერთიანება, რომელმაც უზარმაზარი ტერიტორიები დაიპყრო

**თურქოფილი** – თურქული ორიენტაციის მქონე, ყველაფერი თურქულის მოყვარული

## ი

**„იადიგარ- დაუდი”** – დავით XI-ის სამედიცინო სახელმძღვანელო

**იაკობი** – ბიბლიური პერსონაჟი, ისრაელის ტომის ერთ-ერთი პატრიარქი

**იაკობ ხუცესი** – V ს-ის II ნახ. ქართველი აგიოგრაფი. მის კალამს ეკუთვნის „შუშანიკის წამება”

**იაკობინელები** – XVIII ს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში ფრანგი რადიკალები, რომლებმაც მთავარ მიზნად დაისახეს „სიკეთისა და სამართლიანობის სამეფოს” აშენება

**იალბუზი** – ევროპის უმაღლესი მწვერვალი. 5641 მ.

**იამატო** – წმინდა იაპონური იეროგლიფები (იაპონური დამწერლობა)

**იანიჩარი** – XIV–XIX ს. ოსმალეთის პროფესიული არმია. პირველ ხანებში ადგენდნენ ტყვედ წაყვანილი და გამაჰმადიანებული ქრისტიანებისგან

**იანკი** – აშშ მკვიდრთა მეტსახელი

**იანუსი** – დასაწყისისა და დასასრულის რომაული ღვთაება. ამოისახება ორსახოვნად

**იარდი** – სიგრძის საზომი ერთეული ინგლისში

**იაზონი** – არგონავტების წინამძღოლი, რომელმაც კოლხეთის მეფე აიეტს მოჰპარა ოქროს საწმისი და გაიტაცა მისი ქალიშვილი მედეა

**იაჰვე (იახვე)** – უზენაესი ღვთაება იუდაიზმში

**იბნ** –არაბული სიტყვაა, ნიშნავს „ძე”-ს

**იბერია** –ა. ქართლის ძველი სახელწოდება
ბ. მხარე ესპანეთში

**იბერები** – ქართველური ტომები

**იგლუ** – ესკიმოსთა ქოხი, რომელიც ყინულების აგურებითაა აშენებული

**იდალგო** – აზნაურის ტიტული ესპანეთში

**იდეოლოგია** – გარკვეულ იდეათა და შეხედულებათა სისტემა

**იდეალიზმი** – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც პირველადად აღიარებს იდეას, ცნობიერებას, შემდეგ მატერიას

**იდეალისტი** – იდეალიზმის მიმდევარი

**იდები** – თვის შუა რიცხვები რომაულ კალენდარში

**იდეოგრამა** – პირობითი წერილობითი ნიშანი, რომელიც აღნიშნავს ცნებას

**იეზუიტი** – კათოლიკური ეკლესიის ყველაზე გავლენიანი საბერმონაზვნო ორდენის წევრი. დაარსა XVI ს. ეგნატე ლოიოლამ

**იერარქია** – თანამდებობათა თანამიმდევრობა უდაბლესიდან უმაღლესისაკენ

**იერიქონი** – ბიბლიური ქალაქი, რომელიც ებრაელებმა აიღეს საყვირთა მასობრივი ჩაბერვით

**იერემია** – ბიბლიური წინასწარმეტყველი, რომელმაც დაიტირა ქალაქი იერუსალიმი

**იეროგლიფი** – ხატოვანი დამწერლობის ნიშანი

**იერუსალიმი** – ისრაელის დედაქალაქი. მსოფლიოს სამი უდიდესი რელიგიის–იუდაიზმის, ქრისტიანობისა და მუსლიმანობის ცენტრი

**ივრითი** – ისრაელის სახელმწიფო ენა

**იზიდა** – ნაყოფიერებისა და დედობის ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში

**იზოთერები** – ჰაერის ერთნაირი საშუალო ტემპერატურის ადგილთა შემაერთებელი ხაზები რუქაზე

**იზოლაციონიზმი** – ა. პოლიტიკური მიმდინარეობა აშშ-ში, რომელიც თვლიდა, რომ აშშ არ უნდა ჩაბმულიყო ევროპული კონფლიქტებში

ბ. აზიის ქვეყნების (იაპონია, ჩინეთი) საგარეო პოლიტიკა, რომელიც კრძალავდა სხვა ქვეყნებთან ნებისმიერი სახის ურთიერთობას

**იზოხაზი** – თანაბარი მნიშვნელობის სიდიდის მქონე ადგილების შემაერთებელი ხაზი

**იკაროსი** – დედალოსის შვილი, რომელიც მამასთან ერთად გაფრინდა ხელოვნური ფრთებით და დაიღუპა

**იკებანა** – იაპონური დეკორატიული ხელოვნება

**იკონოგრაფია** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც შეისწავლის მითოლოგიური ან ისტორიული პირების გამოსახულებებს

**ილიადა** – ჰომეროსის პოემა. „სიმღერა ილიონზე"

**ილიონი** – ტროას ერთ-ერთი სახელი

**ილხანი** – ირანის მონღოლთა ყაენის სახელი

**ილ ღაზი** – ბაღდადის გამგებელი XII ს–ში. გაერთიანებული მუსლიმანური კოალიციის მეთაური დიდგორის ბრძოლაში

**იმამი** – მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი იმამატი – თეოკრატიული სახელმწიფო, რომელიც შექმნა შამილმა XIX ს. შუა ხანებში დაღესტანსა და ჩეჩნეთში

**ემიგრაცია** – უცხოელთა შესვლა სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად

**იმპერატორი** – ა. სამხედრო ტიტული ძველ რომში
ბ. მონარქის ტიტული

**იმპერია** – ა. სახელმწიფო, რომელსაც იმპერატორი განაგებს
ბ. ვრცელი კოლონიალური სახელმწიფო

**იმპერიალიზმი** – კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადია

**იმპიჩმენტი** – თანამდებობის პირის გადაყენების პროცედურა

**იმპორტი** – საქონლის შემოტანა სხვა ქვეყნიდან

**იმპრესიონიზმი** – XIX ს-ში მიმართულება ხელოვნებაში, რომელიც ცდილობდა მოეცა ფაქიზი სუბიექტური განცდები (სახელი მოდის კ. მანეს ნახატის სახელწოდებიდან)

**ინაუგურაცია** – პრეზიდენტის უფლებამოსილების მიღების ოფიციალური ცერემონია

**ინგილო** – ქართველი მაჰმადიანები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (თურქულად ნიშნავს ახლად მოქცეულს)

**ინდი** – ერთ-ერთი უდიდესი მდინარე ინდოეთსა და პაკისტანში, მისი სიგრძეა 3180 კმ.

**ინდიელები** – ცენტრალური ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა

**ინდიფერენტულობა** – გულგრილობა

**ინდუიზმი** – ინდური რელიგია, რომელიც შეიქმნა შუა საუკუნეებში ბუდიზმისა და ბრაჰმანიზმის შერწყმის შედეგად

**ინდულგენცია** – რომის პაპის სახელით კათოლიკური ეკლესიის მიერ გაცემული ცოდვების მიმტევებელი სიგელი

**ინდუსები** – ინდუიზმის მიმდევრები

**ინდუსტრია** – სამანქანო ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა

**ინვესტიტურა** – ა. სენიორის მიერ ტავისი ვასალისადმი მიწის ან თანამდებობის გადაცემა ცერემონიის შესრულებით

ბ. სასულიერო პირის დანიშვნა ეპისკოპოსად და მისთვის მიწის გადაცემა

**ინვესტიცია** – კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება წარმოებაში

**ინკები** – ინდიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე. დაიპყრეს ესპანელებმა 1532 წ.

**ინკვიზიცია** – XIII-XIX ს. კათოლიკური ეკლესიის სასამართლო-პოლიციური ორგანიზაცია, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ერეტიკოსებს

**ინკრუსტაცია** – ნივთის ზედაპირის მორთვა ლითონის, სადაფის ან სხვა საშუალებით

**ინკუნაბულა** – პირველი ნაბეჭდი წიგნები (1501 წლამდე)

**ინსიგნიები** – უმაღლესი ხელისუფლების დამადასტურებელი ატრიბუტები

**ინსულა** – მრავალსართულიანი სახლი რომში, რომლის ბინები გაქირავებული იყო

**ინტალიო** – ძვირფას ქვაზე ჩაღრმავებულად ამოკვეთილი გამოსახულება

**ინტეგრაცია** – ერთ მთლიანობაში გაერთიანება

**ინტელექტი** – ადამიანის აზროვნების უნარი

**ინტელექტუალი** – გონებრივად მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი

**ინტელიგენტი** – ადამიანი, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა

**ინტელიგენცია** – ინტელიგენტების სოციალური ფენა

**ინტერდიქტი** – რომის პაპის მიერ რომელიმე ქალაქისთვის ან სახელმწიფოსთვის დადებული სასჯელი (ანათემა )

**ინტერვენცია** – სამხედრო ძალით უცხო ქვეყნის საქმეებში ჩარევა

**ინტერნაციონალიზმი** – ა. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ბ. ყველა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა

**ინტერპოლი** – სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1923 წ.

**ინტრონიზაცია** – ახლად არჩეული პატრიარქის ან პაპის ტახტზე აყვანის ცერემონია

**ინტრუზია** – დედამიწის ქერქის ქანებში მაგმის შეჭრა

**ინფრასტრუქტურა** – მეურნეობის დარგების კომპლექსი, რომელიც წარმოებას ემსახურება

**ინცესტი** – სისხლის აღრევა ნათესავებს შორის

**იოანე საბანისძე** – VII ს–ის ქართველი აგიოგრაფი, მის კალამს ეკუთვნის „აბო თბილელის წამება"

**იოანისტი** – სასულიერო რაინდული ორდენის წევრები, რომელიც დააარსეს ჯვაროსნებმა პალესტინაში XII ს. დასაწყისში

**იონოსფერო** – ატმოსფეროს მაღალი ფენა, რომელიც ვრცელდება 80-90 კმ-იდან 500 კმ-მდე

**იოგა** – ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს, რომ თვითგვემით შეიძლება ეზიარო ჭეშმარიტებას

**იონიური ორდენი** –სვეტების წყობა არქიტექტურაში, რომელიც წარმოიშვა ძვ.წ. VI-Vს.საბერძნეთში

**იორქშირი** – საგრაფო ინგლისში

**იპოდრომი** – სპეციალური ადგილი ცხენთა შეჯიბრებისთვის

**იპოსტასი** – ა. ინდივიდუალურობის, რეალურად არსებულის აღნიშვნა ფილოსოფიაში

ბ. ქრისტიანულ მოძღვრებაში სამება სამი იპოსტასისაგან შედგება–მამა, ძე და სულიწმინდა

**ირანისტიკა** – მეცნიერება ირანული ენების, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის შესახებ

**ირეალური** – არარსებული

**ირიგაცია** – მიწების ხელოვლურად მორწყვა

**ირიდა** – ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. ღმერთების მაცნე

**იროკეზები** – ინდიელთა ტომი

**ისკანდერ მუნში** – XVI–XVII სს–ის ირანელი ისტორიკოსი

**ისლამი** – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია. მაჰმადიანობა

**ისოსი** – მდინარე მცირე აზიაში

**ისტორია** – მეცნიერება წარსულის შესახებ

**ისტორიკოსი** – ისტორიის სპეციალისტი

**ისტორიოგრაფია** – მეცნიერებათა სისტემა, რომელიც სწავლობს კაცობრიობის წარსულს

**ისტორიული გეოგრაფია** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომლიც შეისწავლის კაცობრიობის წარსულის გეოგრაფიას

**იუანი** – ფულის ერთეული ჩინეთში

**იუდაიზმი** – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია

**იუდეველი** – იუდაიზმის მიმდევარი

**იულიუს კეისარი** – რომის იმპერატორი (ძვ.წ.100 – 44 წწ.)

**იულიუსის კალენდარი** – წელთააღრიცხვის სისტემა, რომელიც იულიუს კეისარმა შემოიღო ძვ.წ. 46 წ. ე.წ. ძველი სტილი

**იუნესკო** – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც კურირებს განათლებას, მეცნიერებას და კულტურას 1946 წლიდან.

**იუნისეფი** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული ორგანიზაცია. ძირითადად ეხმარება ბავშვებსა და მოზარდებს

**იუნკერი** – სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე

**იუნონა** – უზენაესი ღმერთქალი რომაულ მითოლოგიაში

**იუპიტერი** – ა. უზენაესი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

ბ. მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტა

**იურთა** – მომთაბარეების გადასატანი ქოხი

**იუსტინიანე I** – (527–565 წწ.) ბიზანტიის იმპერატორი

**იუსტიცია** – სამართლიანობა, კანონიერება

**იქტიოზავრი** – ზღვის გიგანტური გადაშენებული ქვეწარმავალი 12 მ-დე სიგრძისა

**იშთარი** – ნაყოფიერებისა და სიყვარულის, ომის ქალღმერთი ასირიულ-ბაბილონურ მითოლოგიაში

# კ

**კაბალა** – ვალდებულება ძველ რუსეთში, რომლის მიხედვითაც მოვალე ვალის გადაუხდელობის შეთხვევაში მევალის ყმა ხდებოდა

**კაბალისტიკა** – ებრაელთა მისტიკურ-რელიგიური მოძღვრება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი შუა საუკუნეებში

**კაბოტაჟი** – ნაოსნობა ნაპირის სიახლოვეს, ერთი და იგივე ზღვის ნავსადგურებს შორის

**კაბუკი** – იაპონური თეატრი

**კადეტი** – სამხედრო სასწავლებლის კურსანტი

**კაენი** – ბიბლიური პერსონაჟი, ადამის ვაჟი

**კავალერია** – მსუბუქი ცხენოსანი ჯარი

**კავკასია** – გეოგრაფიული რეგიონი შავსა და კასპიის ზღვებს შორის. მისი ფართობია 440,4 ათასი კმ/2

**კავკასიონი** – მთათა სისტემა კავკასიის რეგიონში, რომელიც 1500 კმ–ზეა გადაჭიმული

**„კავკასიის ომი"** –კავკასიის ხალხთა ბრძოლა მეფის რუსეთის წინააღმდეგ XIX ს. 30–60-იან წლებში. დასრულდა 1864 წ. შამილის დატყვევებით

**კავადი** – (488–531 წწ.) სპარსეთის მეფე

**კაზემატი** – თავდაცვითი სისტემა

**კათალიკოსი** – უმაღლესი სასულიერო პირის (პატრიარქის) წოდებულება

**კათედრალური ეკლესია** – ეკლესია, რომელშიც ღვთისმსახურებას ეპისკოპოსი ასრულებს

**კათოლიციზმი** –(სიტყვიდან კათოლიკე – მსოფლიო) ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც სათავეში რომის პაპი უდგას

**კათოლიკე** – კათოლიციზმის მიმდევარი

**კაიზერი** – გერმანიის იმპერატორების ტიტული

**კაინოზოური ერა** – დედამიწის გეოლოგიური პერიოდიზაციის უკანასკნელი პერიოდი. იყოფა მესამეულ და მეოთხეულ ხანებად

**კალაპოტი** – მდინარის მიერ ჩაღრმავებული ხეობა, სადაც მდინარე მიედინება

**კალევალა** – ფინური ხალხური ეპოსი

**კალენდარი** – წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა

**კალენდები** – ყოველი თვის პირველი დღის სახელწოდება ძველ რომში

**კალვინიზმი** – პროტესტანტიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც დააარსა ჟან კალვინმა XVI ს.

**კალვინისტი** – კალვინიზმის მიმდევარი

**კალიბრი** – ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი

**კალიგრაფია** – ლამაზად წერის ხელოვნება

**კალიგრაფი** – კალიგრაფიის ოსტატი

**კალიგულა** – რომის იმპერატორი I ს-ში

**კალიოპე** – ეპიკური პოეზიისა და მჭევრმეტყველების მუზა ბერძნულ მითოლოგიაში

**კალისტო** – ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში

**კალიუმ-არგონის მეთოდი** – ვულკანური ქანების დასათარიღებელი მეთოდი

**კამეა** – ქვაზე ან ნიჟარაზე ამოტვიფრული გამოსახულება

**კამერდინერი** – პირადი მსახური მამაკაცი

**კამპანია** – ოლქი სამხრეთ იტალიაში, ტირენის ზღვის სანაპიროზე. სწორედ აქ მდებარეობდა ქალაქი პომპეი

**კანა** – ბიბლიური ქალაქი, სადაც ქრისტემ პირველი სასწაული მოახდინა–წყალი აქცია ღვინოდ

**კანდელი** – ზეთის ჩასასხმელი ეკლესიაში

**კანიბალიზმი** – კაციჭამიობა

**კანიბალი** – კანიბალიზმის მიმდევარი

**კანიონი** – ღრმა და ვიწრო ხეობა

**კანკელი** – ჩარჩოებიანი ტიხარი, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს დანარჩენი სივრცისაგან

**კანონიზაცია** – ეკლესიის მიერ ვისიმე წმინდანად გამოცხადება

**კანტი** – XVIII ს. გერმანელი ფილისოფოსი

**კანტიანელი** – კანტის მიმდევარი

**კანტონი** – შვეიცარიის ადმინისტრაციული ერთეული

**კანცლერი** – პრემიერ მინისტრი გერმანიაში

**კაპადოკია** – ისტორიული მხარე თურქეთის ტერიტორიაზე

**კაპელანი** – კათოლიკე კარის მღვდელი

**კაპეტინგები** – სამეფო დინასტია საფრანგეთში 987–1328 წლებში

**კაპიტალიზმი** – საზოგადოებრივი წყობილება, სადაც საწარმოო ძალები ეკუთვნის კაპიტალისტებს

**კაპიტალური** – საფუძვლიანი, ძირითადი

**კაპიტანი** – სამხედრო ჩინი

**კაპიტელი** – კოლონის ზედა ნაწილი არქიტექტურაში

**კაპიტოლიუმი** – ა. რომის ერთ-ერთი ბორცვთაგანი, რომელზეც აგებული იყო იუპიტერის ტაძარი
ბ. აშშ კონგრესის შენობა

**კაპიტულაცია** – ბრძოლაზე ხელის აღება, დანებება

**კაპრალი** – დაბალი სამხედრო წოდება ზოგიერთი ქვეყნის არმიაში

**კაპუცინების ორდენი** – კათოლიკე ბერების ორდენი, რომლებიც ანაფორაზე მიკერებულ კაპიუშონს ატარებდნენ

**კარაბინი** – მოკლელულიანი თოფი

**კარაბინერი** – კარბინით შეიარაღებული ჯარისკაცი

**კარაველა** – ესპანური სამანძიანი ხომალდი

**კარაკალა** – რომის იმპერატორი. სახელგანთქმული იყო მისი სახელობის თერმები

**კარატე** – უიარაღოდ დაცვის სისტემა

**კარატისტი** – კარატეს სპეციალისტი

**კარდინალი** – პაპის შემდეგ უმაღლესი ხარისხის პირი

**კარდუხები** – ქართველური ტომები

**კარეტა** – ყოველმხრივ დახურული ეტლი

**კართაგენი** – ფინიკიელთა ახალშენი. გაანადგურა რომმა

**კარლოს დიდი** – (747–814 წწ.) ფრანკთა მეფე და რომის საღვთო იმპერიის პირველი იმპერატორი

**კარმა** – ბედისწერა ძველ ინდურად

**კარმელიტების ორდენი** – კათოლიკე ბერმონაზვნების ორდენი, რომელიც დაარსდა XII ს. პალესტინაში ჯვაროსნული ომების დროს

**კაროლინგების დინასტია** – ფრანკთა სამეფო დინასტია VIII–X ს-ში

**კარსტი** – რელიეფის თავისებური ფორმები იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი შედგება ხსნადი ქანებისაგან

**კარტოგრამა** – რუკა, რომელზეც გრაფიკულად არის გამოსახული რაიმე მოვლენის სტატისტიკური მონაცემები

**კარტოგრაფი** – კარტოგრაფიის სპეციალისტი

**კარტოგრაფია** – მეცნიერება გეოგრაფიული რუკების და ატლასების შედგენის შესახებ

**კარტოგრაფიული პროექცია** – დედამიწის სფეროს სიბრტყეზე გამოსახვის მატემატიკური ხერხი

**კარტომეტრია** – კარტოგრაფიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მსხვილი გეოგრაფიული ობიექტის გაზომვის ხერხებს

**კარტუში** – გრაფიკული სამკაული, რომელშიც ჩასმულია წარწერა, გერბი ან სხვა რამ

**კასანდრა** – ტროას მეფის პრიამოსის ქალიშვილი, წინასწარმეტყველი, რომლის მისნობას არავინ იჯერებდა

**კასპიის კარი** – იგივე დარუბანდის კარი

**კასტა** – პროფესიული ან ტომობრივი ნიშნის მიხედვით შექმნილი ჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი

**კატაკომბები** – მიწისქვეშა გალერეები, მაღაროები და სხვა

**კატეხიზმო** – ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა დიალოგის სახით

**კატორღა** – პატიმრობა გადასახლებით ან მძიმე იძულებითი სამუშაო

**კეისარი** – იმპერატორების ტიტული რომში

**კენოტაფი** – აკლდამა გვამის გარეშე

**კენტავრი** – ტყის დემონი, რომელსაც ცხენის ტანი და ადამიანის გულმკერდი და თავი აქვს

**კერამიკა** – თიხის გამომწვარი ნაკეთობა

**კერამიკოსი** – უბანი ძველ ათენში

**კერბერი** – სამთავიანი ძაღლი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც მიწისქვეშა სამეფოს შესასვლელს დარაჯობს

**კერენსკი ალექსანდრე** – (1881-1970 წწ.) დროებითი მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი რუსეთში, უმაღლესი მთავარსარდალი

**კერპი** – წარმართული ღვთაების გამოსახულება

**კეჩუა** – სამხრეთამერიკელ ინდიელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი. ინკების სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა

**კვადრიგა** – ანტიკური ორთვლიანი ოთხცხენიანი ეტლი

**კვართი** – პერანგი, სამოსელი ერთგვარი

**კვარცხლბეკი** – ქანდაკების დასადგმელი შემაღლება

**კვესტორი** – ხაზინადარი ძველ რომში

**კვირინალი** – რომის ერთ-ერთი გორაკთაგანი

**კვირიტები** – რომაელი მოქალაქეები

**კვორუმი** – რაიმე კრების მონაწილეთა აუცილებელი რაოდენობა

**კვოტა** –მიღებული ნორმა, დადგენილი წილი

**კიბელა** – ნაყოფიერების ქალღმერთი ფრიგიაში

**კითარა** – ძველი ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი

**კიკლოპი** – ცალთვალა გოლიათი ბერძნულ მითოლოგიაში

**კილიკია** – ქვეყანა მცირე აზიის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში ძვ. წ. I ათასწლეულში

**კიმონო** – იაპონელების ეროვნული სამოსი

**კირკე** – აიეტის და, ჯადოქარი

**კირილიცა** – სლავური ანბანი

**კირქვა** – ორგანული წარმოშობის დანალექი ქანი

**კლარჯეთი** – საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი

**კლასიკური** – სანიმუშო, შესანიშნავი, საუკეთესო

**კლასიციზმი** – სტილი ხელოვნებაში XVII–XIX ს.

**კლერიკალიზმი** – მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს გააძლიეროს ეკლესიის გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე

**კლიენტი** – ა. მუდმივი მყიდველი

ბ. არასრულუფლებიანი მოქალაქე ძველ რომში, რომელიც დამოკიდებული იყო პატრონის მფარველობაზე

**კლიმატი** – მოცემული ადგილისთვის დამახასიათებელი ამინდი, რომელიც მეორდება წლიდან წლამდე

**კლიმატოგრაფია** – კლიმატოლოგიის ნაწილი, რომელიც აღწერს დედამიწის სხვადასხვა ნაწილის ჰავას (კლიმატს) და მის განაწილებასა და გეოგრაფიული განაწილების კანონზომიერებებს

**კლიმატოლოგია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს კლიმატს, მის განაწილებასა და გავლენას სიცოცხლეზე

**კლიმატური სარტყელი** – დედამიწის ვრცელი, ერთგვაროვანი ტერიტორია, სადაც დაახლოებით ერთნაირი ამინდი მონაცვლეობს

**კლიო** – ისტორიის მფარველი მუზა ბერძნულ მითოლოგიაში

**კლიტემნესტრა** – აგამემნონის ცოლი. ღალატით მოკლა ქმრი ეგისთესთან ერთად. მოკლა შვილმა ორესტემ

**კლოაკა** – კანალიზაცია

**კოალიცია** – ერთობლიობა, შეთანხმება

**კოლექტივიზაცია** – აგრარული რეფორმა საბჭოთა კავშირში, რომლის მიზანს წარმოადგენდა კერძო საკუთრების მოსპობა და კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბება სოფლად

**კოლექცია** – ერთგვარი საგნების კრებული

**კოლიზეუმი** – უზარმაზარი ცირკი ძვ. რომში. აშენდა ფლავიუსების დროს

**კოლონია** – ა. ახალშენი

ბ. დამორჩილებული ქვეყანა, რომელიც ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად არის ქცეული

**კოლოსი** – გიგანტური ქანდაკება ან სიდიდით განთქმული ვინმე ან რამე

**კოლუმბი ქრისტეფორე** – (1451–1506 წწ.) ამერიკის აღმომჩენი

**კოლხური თეთრი** – ვერცხლის ფული, რომელიც იჭრებოდა კოლხეთში ძვ.წ.Vს

**კომანდოსი** – შეიარაღებული რაზმები

**კომედია** – სასაცილო წარმოდგენა

**კომენდანტი** – ციხესიმაგრის ან ქალაქის გარნიზონის უფროსი

**კომერცია** – ვაჭრობა

**კომისარი** – მთავრობისაგან განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პიროვნება

**კომპარტია** – კომუნისტური პარტია

**კომპასი** – მხარეების გასარკვევი ხელსაწყო

**კომპრიდორი** – შუამავალი ვაჭარი

**კომუნა** –ადამიანების ჯგუფი, რომელთაც ერთი ქონება აქვთ, ერთად ცხოვრობენ და შრომობენ

**კომუნალური** – ქალაქის მეურნეობასთან დაკავშირებული

**კომუნარი** – პარიზის კომუნის მონაწილე

**კომუნიზმი** – უტოპიური საზოგადოებრივი წყობილება, რომლის აშენებასაც საბჭოთა კავშირი აპირებდა

**კომუნისტი** – კომუნისტური პარტიის წევრი

**კომუტაცია** – ნატურალური გადასახადების ფულად გადასახადად გადაქცევა

**კომფორტი** – კეთილმოწყობა

კონგრესი –ა. ყრილობა, თათბირი

ბ. აშშ საკანონმდებლო ორგანო

**კონგრესმენი** – აშშ საკანონმდებლო ორგანოს კონგრესის წევრი

**კონდაკი** – მოკლე საეკლესიო საგალობელი

**კონდენსაცია** – ორთქლის ან გაზის სითხედ გადაქცევის პროცესი

**კონდორი** – დიდი მტაცებელი ფრინველი სამხრეთ ამერიკაში

**კონესტაბლი** – XIV–XVI ს. საფრანგეთის არმიის მთავარსარდალი

**კონვენტი** – ა. საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც იწვევენ კონსტიტუციის მისაღებად ან შესაცვლელად

ბ. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საფრანგეთის რევოლუციის დროს

**კონვენცია** – შეთანხმება სახელმწიფოებს შორის რაიმე საკითხთან დაკავშირებით

**კონვერტირება** – ამა თუ იმ ვალუტის გადაცვლა უცხო ქვეყნის ვალუტაზე

**კონკა** – ტრამვაის წინამორბედი საქალაქო რკინიგზა, რომელშიც ცხენები იყო შებმული

**კონკისტა** – ესპანელებისა და პორტუგალიელების მიერ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის დაპყრობა. XV ს. ბოლო –XVI ს. დასაწყისი

**კონკისკადორები** – ესპანელი და პორტუგალიელი დამპყრობლები, კონკისტას მონაწილენი

**კონკორდატი** –შეთანხმება რომის პაპსა და რომელიმე სახელმწიფოს შორის ეკლესიის სტატუსზე

**კონრად III** – (1093 -1152 წწ.) გერმანიის მეფე, მონაწილეობდა II ჯვაროსნულ ლაშქრობაში

**კონსერვატიზმი** – ყოველივე ძველის დაცვა

**კონსერვაცია** – გაფუჭებისაგან, დაშლისაგან დაცვა. მაგ. სამუზეუმო ეტსპონატების

**კონსოლიდაცია** – გაერთიანება

**კონსპირაცია** – რაიმე საიდუმლოს შენახვა

**კონსტანტი კახი** – ქართველი წმინდანი, რომელიც მურვან ყრუმ აწამა

**კონსტანტინე დიდი** – აღ. რომის იმპერატორი 306 – 337 წწ.

**კონსტანტინეპოლი** – ბიზანტიის დედაქალაქი 330 წლიდან

**კონსტატაცია** – რაიმეს ფაქტობრივი დადგენა, დამოწმება

**კონსტიტუცია** – სახელმწიფოს ძირითადი კანონი

**კონსტიტუციური მონარქია** – სახელმწიფო წყობილება, რომლის დროსაც მონარქის ხელისუფლება კონსტიტუციითაა შეზღუდული

**კონსტიტუციური რესპუბლიკა** – სახელმწიფო წყობილება, რომლის მთავარი კანონია კონსტიტუცია და რომლის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები აირჩევა განსაზღვრული დროით

**კონსული** – ა. თანამდებობის პირი, რომელიც იცავს ქვეყნის ინტერესებს სხვა ქვეყანაში

ბ. უმაღლესი თანამდებობის პირი ძვ. რომში

**კონტინენტი** – ხმელეთის დიდი ნაწილი, რომელიც წყლითაა შემოზღუდული, მატერიკი

**კონტინენტური ჰავა** – ჰავა, რომელიც ყალიბდება ოკეანეებიდან და ზღვებიდან დაშორებულ ტერიტორიებზე

**კონტრაბანდა** – საქონლის ფარულად, უკანონოდ გადატანა სახელმწიფო საზღვარზე

**კონტრაბანდისტი** – პირი, რომელიც კონტრაბანდას ეწევა

**კონტრაქტი** – წერილობითი შეთანხმება

**კონტრიბუცია** – ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული ახდევინებს დამარცხებულ მხარეს

**კონტრევოლუცია** – რევოლუციის საწინააღმდეგო მოძრაობა

**კონფედერაცია** – საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან სახელმწიფოთა კავშირი

**კონფესია** – აღმსარებლობა

**კონფიდენციალური** – საიდუმლო

**კონფისკაცია** – ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ

**კონფლიქტი** – უთანხმოება, განხეთქილება

**კონფრონტაცია** – დაპირისპირება

**კონფუცი** – იგივე კუნ-ძი, ძველი ჩინელი ფილოსოფოსი. ძვ.წ. 551–479

**კონფუციანელობა** – ძველი ჩინური იდეურ ფილოსოფიური მოძღვრება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა კონფუციმ

**კონქი** – ეკლესიის კამარა

**კონცერნი** – მონოპოლიის ერთ-ერთი სახე

**კონცეფცია** – შეხედულებათა სისტემა

**კოოპერატივი** – შრომის ორგანიზაციის თავისებური ფორმა, როცა მეწილეები ერთად შრომობენ

**კოორდინატი** – სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს წერტილის მდებარეობას სიბრტყეზე ან სივრცეში

**კოპალა** – ერთ-ერთი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში

**კორდოვას სახალიფო** – არაბთა დაპყრობების შედეგად ჩამოყალიბებული სახელმწიფო ესპანეთში

**კორდელიერები** – კათოლიკური მონაზვნური ორდენის ფრანცისკელების განშტოება

**კორდილიები** – მთათა სისტემა

**კორდონი** – რაიმეს დასაცავად რაზმის განლაგება

**კორეატიდები** – სვეტები ქალის ფორმით

**კორიდა** – ხარების ბრძოლა

**კორინთული ორდერი** – ერთ-ერთი არქიტექტურული ორდერი. გამოირჩევა პილასტრების გადატვირთულობით

**კორიფე** – მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე

**კორონაცია** – მეფედ კურთხევა

**კორპორაცია** – პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ადამიანების ჯგუფი

**კორსეტი** – ქალის სარტყელი

**კორტეჟი** – საზეიმო პროცესია

**კორტესი** – ა. წარმომადგენლობითი ორგანო ესპანეთში

ბ. ესპანელი აზნაური, რომელმაც დაიპყრო ინკების ქვეყანა 1519 წ.

**კორუფცია** – თანამდებობის პირთა მოსყიდვა

**კოსმოგონია** – სამყაროს წარმოშობა

**კოსმოგრაფია** – სამყაროს აღწერილობა

**კოსმოდრომი** – ადგილი, საიდანაც უშვებენ ხომალდებს კოსმოსში

**კოსმოპოლიტიზმი** – იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფადობას

**კოსმოპოლიტი** – კოსმოპოლიტიზმის მიმდევარი

**კოსმოსი** – მთლიანი სამყარო

**კოსტიოლი** – კათოლიკური ტაძარი პოლონეთში

**კოჰორტა** – რომაული ქვეითი ჯარის ნაწილი; შეადგენდა ლეგიონის მეათედს

**კრანიოლოგია** – ანთროპოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს თავის ქალის აგებულებას

**კრატერი** – ჩაღრმავება ვულკანის თავზე, საიდანაც ლავა ამოიფრქვევა

**კრედიტი** – სესხი

**კრედო** – მრწამსი, მსოფლმხედველობა

**კრეზე** – ლიდიის მეფე, ზღაპრული სიმდიდრის პატრონი

**კრეისერი** –დიდი სამხედრო ხომალდი

**კრემაცია** – მიცვალებულის დაწვა, ფერფლადქცევა

**კრემატორიუმი** – კრემაციისთვის მიწყობილი შენობა

**კრემლი** – ქალაქის ციტადელი რუსეთში

**კრეოლი** – ევროპელისა და ინდიელის შერეული ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში

**კრეტა-მიკენის კულტურა** – ეგეოსური კულტურა–კუნძულ კრეტასა და ეგეოსის ზღვის აუზში არსებული კულტურა ძვ.წ. III-II ათასწლეულში

**კრიზისი** – მკვეთრი ცვლილება უარყოფითისაკენ, მძიმე გარდამავალ პერიოდში

**კრიმინოლოგია** – მოძღვრება დანაშაულის შესახებ

**კრიმინალი** – დამნაშავე

**კრიპტიები** – ჰილოტების სადამსჯელო ოპერაციები სპარტაში

**კრიტიკული რეალიზმი** –კრიტიკის შემცველი რეალობის ასახვა ხელოვნებაში

**კრიშნა** – ინდუიზმის ღვთაება

**კრომანიონელი ადამიანი** – გვიანი პალეოლითის ადამიანი, რომელიც არსებითად განსხვავდება ნეანდერტალელისაგან

**კრონოსი** – ტიტანი, ზევსის მამა ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც ყლაპავდა საკუთარ შვილებს. ისი ძალაუფლება დაამხო ზევსმა

**კრონპრინცი** – გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული

**კუბერტენი პიერ** – (1863–1937 წწ.)მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების დროშისა და სიმბოლოს ავტორი

**კუბიზმი** – მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც რეალურ საგნებს გამოხატავს გეომეტრიული ფიგურებით

**კუკლუქს-კლანი** – ფარული რასისტული ორგანიზაცია აშშ-ში

**კულაკი** – სხვისი შრომით გამდიდრებული გლეხი

**კულტი** – რელიგიური მსახურება ზებუნებრივი ძალისადმი

**კულტურა** – საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა

**კულტურული** – კულტურის მატარებელი

**კუმისი** – ა. ცხენის რძე

ბ. სოფელი ქვემო ქართლში

**კუნსტკამერა** – იშვიათი საგნების სათავსო

**კუნძული** – ხმელეთის ნაწილი, რომელიც ყველა მხრიდან წყლითაა შემოზღუდული

**კუპიდონი** – სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**კუპიურა** – ფასიანი ქაღალდის ნომინალი

**კურანტი** – კედლის ძველებური საათი

**კურაპალატი** – ბიზანტიური სამხედრო ტიტული

**კურია** – ა. რომის პაპის ხელისუფლების ცენტრალურ დაწესებულებათა ერთობლიობა, კანცელარია

ბ. რამდენიმე პატრიციული გვარის გაერთიანება ძველ რომში

**კურტიზანი** – მსუბუქი ყოფაქცევის ქალი

**კურფიურსტი** – გერმანელი მთავარი, რომელიც მონაწილეობას იღებდა იმპერატორის არჩევაში

**კუსტარული** – შინ დამზადებული რამ, ხელით ნაწარმი

# ლ

**ლაბირინთი** – დედალოსის აგებული სასახლე კუნძულ კრეტაზე, რომელსაც მრავალრიცხოვანი დახლართული შესასვლელ-გამოსასვლელი ჰქონდა

**ლაბრადორი** – ნახევარკუნძული ჩრდ. ამერიკაში

**ლაგაში** – ძველი შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფო

**ლაგუნა** – ზღვის ყურე

**ლავა** – ვულკანიდან ამოფრქვეული გამდნარი მასა

**ლაზები** – დასავლეთ ქართველური ტომები

**ლაზიკა** – ეგრისის ბერძნული სახელწოდება

**ლათინები** – მოსახლეობა, რომელიც ცენტრალური იტალიის პროვინცია ლაციუმში ცხოვრობდნენ

**ლაინერი** – ხომალდი

**ლამაიზმი** – ბუდიზმის სახესხვაობა ტიბეტსა და მონღოლეთში

**ლამა** – ა. ლამაისტი ბერი

ბ. ძვირფასბეწვიანი ცხოველი სამხრეთ ამერიკაში

**ლანტაგი** – მხარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გერმანულენოვან ქვეყნებში

**ლანდშაფტი** – რაიმე ადგილის საერთო ხედი

**ლაკედემონი** - ქალაქ სპარტის მეორე სახელი

**ლაოები** – სამეფო მონები

**ლაოკოონი** – აპოლონის ქურუმი ტროაში, რომელმაც სცადა წასულიყო ღმერთების ნების წინააღმდეგ, რის გამოც დაახრჩვეს გველებმა თავის ორ ვაჟთან ერთად

**ლაომედონტი** – ტროას მეფე, პრიამოსის მამა

**ლაპიდარული წარწერა** – ქვაზე შესრულებული წარწერა

**ლატენის კულტურა** – კელტური კულტურა (I ათასწლ. II ნახ.)

**ლატიფუნდია** – მსხვილი კარძო ადგილ-მამული

**ლაციუმი** – მხარე ცანტრალურ იტალიაში

**ლახვარი** – ტარიანი ლითონის მახვილი

**ლეგალური** – კანონით დაშვებული

**ლეგატი** – ა. რომის პაპის ელჩი

ბ. თანამდებობის პირი ძველ რომში

**ლეგენდა** – ხალხური გადმოცემა

**ლეგიონი** – მსხვილი საჯარისო შენაერთი ძველ რომში (3000 მძიმედ, 120 მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი და 300 მხედარი)

**ლეგიონერი** – ლეგიონის ჯარისკაცი

**ლეგისტები** – იურისტები შუა საუკუნეებში, რომლებიც ემხრობოდნენ მეფის ხელისუფლებას

**ლეგიტიმაცია** – რაღაცის დაკანონება

**ლეგიტიმური** – კანონით აღიარებული

**ლედა** – სპარტის მეფის მეუღლე, ელენეს დედა

**ლედი** – ქალბატონი დიდ ბრიტანეთში

**ლევანტი** – ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ქვეყნების საერთო სახელწოდება

**ლევიათანი** – ზღვის უზარმაზარი ურჩხული

**ლევირატი** – წესი, რომლითაც უშვილო ქვრივი უნდა მისთხოვდეს თავის მაზლს

**ლეთე** – მიწისქვეშა სამყაროს მდინარე

**ლეიბორისტი** – მუშათა პარტიის წევრი

**ლეიტენანტი** – ოფიცერი

**ლენგი** – კოჭლი ტაჯიკურად

**ლენი –** ა. სამემკვიდრო ადგილი-მამული, რომელსაც ფეოდალი იღებდა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ

ბ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შვეციაში

**ლენინი (ულიანოვი) ვლადიმერი** – (1870-1924 წწ.), რუსი პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი, საბჭოთა კავშირის დამაარსებელი

**ლეონტი მროველი** – XI საუკუნის ქართველი მოღვაწე

**ლეტო** – არტემიდესა და აპოლონის დედა ბერძნულ მითოლოგიაში

**ლეღმა** – თოვლის სწრაფი დნობა უეცარი დათბობის შედეგად

**ლექსიკოგრაფია** – ლექსიკონების შედგენის თეორია და პრაქტიკა

**ლექსიკოლოგი** – ლექსიკოგრაფიის სპეციალისტი

**ლიბერალიზმი** – მიმდინარეობა, რომლის მიზანია საზოგადოების თავისუფლება

**ლიბერალი** – ლიბერალიზმის მიმდევარი

**ლიბიდო** – სურვილი

**ლიგა** – საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება

**ლიდერი** – მეთაური

**ლიდია** – მცირე აზიის დასავლეთ ოლქში მდებარე ქვეყანა

**ლიე** – სიგრძის საზომი ფრანგული ერთეული (4,5 კმ.)

**ლივრი** – ძველებური ფრანგული ვერცხლის ფული

**ლითოს** – ქვა ბერძნულად

**ლითოსფერო** – დედამიწის მტკიცე გარსი, დედამიწის ქერქი

**ლიკვიდაცია** – რაიმეს შეწყვეტა, აღკვეთა, გაუქმება

**ლიკვიდატორი** – პირი, რომელიც ლიკვიდაციას ახდენს

**ლიკოპოდიუმი** – ერთგვარი ბალახოვანი მცენარე

**ლიკურგე** – სპარტის ლეგენდარული მეფე, კანონმდებელი

**ლიმნოლოგია** – ტბების შემსწავლელი მეცნიერება

**ლიმნოლოგი** – ლიმნოლოგიის სპეციალისტი

**ლიმესი** – რომის იმპერიის საზღვარზე საფორტიფიკაციო ნაგებობების სისტემა

**ლინგვისტიკა** – ენათმეცნიერება

**ლინგვისტი** – ლინგვისტიკის სპეციალისტი

**ლინჩის წესი** – გაუსამართლებლად დასჯა (რასისტ ჩარლზ ლინჩის სახელიდან)

**ლირა** – ა. ფულის ერთეული იტალიაში
ბ. ბერძნული სიმებიანი საკრავი

**ლირიკა** – ლიტერატურის დარგი, რომელიც ლექსად გადმოსცემს ავტორის გრძნობებს

**ლირიკოსი** – პოეტი

**ლიტანია** – საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან

**ლიტერატურა** – ამა თუ იმ ხალხის წერილობით ნაწარმოებთა ერთობლიობა

**ლიტურგია** – ქრისტიანული მღვდელმსახურება, წირვა

**ლიქტორი** – უმაღლესი თანამდებობის პირის მცველი ძველ რომში

**ლიცეუმი** – საშუალო სასწავლებელი

**ლოგიკა** – მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ

**ლოგოგრაფოსები** – ძვ. წ. VI-V ს. ისტორიული პროზის ბერძენი ავტორები

**ლოგოსი** – სიტყვა, მოძღვრება

**ლოიალური** – ერთგული, კეთილგანწყობილი

**ლოკაუტი** – საწარმოთა დახურვა და მუშათა მასობრივი დათხოვნის პროცესი

**ლოკომოცია** – გადაადგილება

**ლომბარდი** – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს სესხს რაიმე ნივთის სანაცვლოდ

**ლორდი** – უმაღლესი თავად-აზნაურთა ტიტული ინგლისში

**ლუთერანობა** – პროტესტანტული სარწმუნოება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მარტინ ლუთერმა XVI ს.

**ლუკა** – ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე, სახარების ერთ-ერთი ავტორი

**ლუკიანე** – II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი

**ლუკულუსი** – თავისი სიმდიდრით ცნობილი ძვ, წ. I ს-ის რომაელი სარდალი

**ლუმპენპროლეტარიატი** – დეკლასირებული ელემენტები

**ლუნა** – მთვარის რომაული ღმერთქალი

**ლუპერკალიები** – მწყემსების დამცველი ღვთაებების საპატივცემულოდ გამართული ზეიმები ძველ რომში

**ლურსმული დამწერლობა** – დამწერლობის სახე, სადაც გრაფიკული გამოსახულებანი ლურსმანს წააგავს. გავრცელებული იყო შუამდინარეთში, ურარტუში და სხვაგან

**ლუსტრაცია** – ქონების ან რაიმეს პერიოდული აღწერა

**ლუციფერი** – ა. ჯოჯოხეთის მეუფე
ბ. სინათლის მომტანი ბერძნულ მითო -
ლოგიაში

## მ

**მა –** მცირეაზიელების ღმერთქალი, ღმერთების დედა

**მაარები** – ვულკანური წარმოშობის ძაბრისებური ჩაღრმავებები, რომლებიც შეიქმნა დედამიწაზე აირების ამოფრქვევის შედეგად. ხშირად ივსება წყლით და წარმოიშობა ტბები

**მაგელანი ფერნანდო** – (1480 – 1521 წწ.) პირველი მოგზაური დედამიწის გარშემო

**მაგია** – ჯადოქრობა, მისნობა

**მაგისტრი** – ბაკალავრის მომდევნო სამეცნიერო ხარისხი

**მაგისტრალი** – ძირითადი, მთავარი ხაზი

**მაგისტროსი** – ა. ბიზანტიური ტიტული

ბ. სახელმწიფო თანამდებობის პირი ძველ რომში

**მაგმა** – ვულკანური მასა

**მაგმური ქანები** – ვულკანის მოქმედების შედეგად ამოფრქვეული ქანები

**მაგნატი** – მსხვილი კაპიტალი

**მაგნიტუდა** – მიწისძვრის პირობითი რაოდენობრივი მახასიათებელი

**მაგნიტური პოლუსები** – წერტილები, სადაც მაგნიტური დახრა 90 გრადუსს ქმნის

**მადლენის კულტურა** – პალეოლითის ხანის კულტურა ევროპაში (ლა-მადლენის გამოქვაბულის მიხედვით)

**მადანი** – ბუნებრივი მინერალური ნივთიერება, რომელიც შეიცავს ძვირფას ან სასარგებლო ლითონებს

**მადონა** – ღვთისმშობლის კათოლიკური სახელწოდება

**მავზოლეუმი** – დიდი არქიტექტურული ნაგებობა საფლავზე

**მავზოლი** – ჰალიკარნასის მეფე ძვ.წ .IVს, რომელსაც მეუღლემ საფლავზე აღუმართა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება. აქედან მოდის მავზოლეუმი

**მავრიტანია** – ჩრდ. აფრიკის მუსლიმანური ქვეყნების (ეგვიპტის გამოკლებით) საერთო სახელი

**მავრი** – დასავლეთ ევროპასა ( პირინეის ნახევარკუნძული) და ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები არაბების სახელწოდება

**მავრიტანული სტილი** – არქიტექტურული სტილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ისრისებური თაღები და მრავალმხრივი ორნამენტი

**მაზდეანობა** – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მეფის რუსეთში

**მათე ურჰაეცი** – XII ს. I ნახევრის სომეხი ისტორიკოსი ქ. ედესადან

**მათუსალა** – ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც 969 წ. იცხოვრა

**მათუსალას ხნის** – ხატოვანი გამოთქმა. იტყვიან ძალიან მხცოვან ადამიანზე

**მაიას ტომი** – ცენტრალურ ამერიკაში მცხოვრები ინდიელები

**მაიორი** – უფროსი, ოფიცრის ჩინი

**მაიორატი** – მემკვიდრეობითობის პრინციპი, რომლითაც ქონება უფროს ვაჟიშვილზე გადადის

**მაისი** – სიმინდის სახელწოდება ინდიელებთან

**მაკარტიზმი** – უკიდურესი ანტიკომუნიზმი

**მაკიაველი ნიკოლო** – XV-XVI ს. იტალიელი მოღვაწე

**მაკიაველიზმი** – პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მიზანი ამართლებს საშუალებას (მაკიაველის სახელის მიხედვით)

**მაკლერი** – შუამავალი, მომრიგებელი სავაჭრო საქმიანობაში

**მაკრონები** – ქართველური ტომი

**მაკროკეფალი** – ადამიანი, რომელსაც დიდი ან უკან წაგრძელებული თავი აქვს

**მაკროკლიმატი** – დედამიწის ზედაპირის დიდი სივრცეების კლიმატი

**მაკროლითები** – ნეოლითურ ხანაში – მსხვილი, უხეშად ჩამოტეხილი ქვის იარაღები

**მაკრორელიეფი** – რელიეფის დიდი ფორმები, რაც განსაზღვრავს დედამიწის ზედაპირის აგებულების საერთო ხარისხს

**მალაკნები** – სექტანტური მოძრაობა რუსულ ეკლესიაში

**მალი** – მონღოლური სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, მოსავლის 2\3

**მამასახლისი** – ა. სოფლის თავკაცი
ბ. თემის მეთაური ანტიკურ საქართველოში

**მამლუქი** – თურქი და კავკასიელი ტყვე-მონებისაგან შემდგარი ეგვიპტის სულთნის პირადი გვარდიის ჯარისკაცი (მართავდნენ ეგვიპტეს 1250– 1811 წწ.)

**მამონა** – სიმდიდრის ღვთაება

**მამონტი** – სპილოს მსგავსი გადაშენებული ცხოველი

**მამფალი** – ერთ-ერთი ტიტული შუა საუკუნეების საქართველოში

**მანანა** – ბიბლიური საკვები, რომელიც ღმერთმა მოუვლინა უდაბნოში მოხეტიალე ებრაელებს

**მანდატი** – რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი

**მანდატური** – წესრიგის დამცველი შუა საუკუნეების საქართველოში

**მანდეიზმი** – რელიგია, რომელიც წარმოიშვა მესოპოტამიაში ჩვენი წელთააღრიცხვის დასაწყისში. მასში შეერთებულია ქრისტიანობის, იუდაიზმის, ზოროასტრიზმის და ძველი ბაბილონური რელიგიის ელემენტები

**მანები** – გარდაცვლილ წინაპართა სულები რომაულ მითოლოგიაში

**მანევრი** – საჯარისო ფორმირების გადაადგილება

**მანიპული** – საჯარისო შენაერთი ძვ. რომაულ არმიაში. შეადგენდა ორ ცენტურიას ანუ 200 კაცს

**მანიფესტი** – წერილობითი მიმართვა

**მანიფესტაცია** – მასობრივი მსვლელობა ქუჩაში სოლიდარობის ან პროტესტის ნიშნად

**მანიქეველობა** – III ს-ის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელშიც შერეული იყო ქრისტიანობის და მაზდეანობის ელემენტები

**მანტია** – ა. დედამიწის გარსი, რომელიც მოქცეულია ლითოსფეროსა და დედამიწის ბირთვს შორის
ბ. მოსასხამი

**მანუსკრიპტი** – ძველი ხელნაწერი

**მანუფაქტურა** – საწარმო, სადაც მიმდინარეობს დანაწილებული ხელით შრომა

**მაოიზმი** – მაო ძე-დუნის (1893–1976) სახელის მიხედვით-ჩინეთის სახელმწიფოებრივი მოძღვრება

**მარათონი** – სოფელი ძველ საბერძნეთში, საიდანაც ათენში სირბილით მოვიდა სპარსელებზე გამარჯვების მაცნე ძვ.წ. 490წ.

**მარათონული რბენა** – სირბილი 42 კმ 195 მეტრზე

**მარდუქი** – ბაბილონის მფარველი ღმერთი, უზენაესი ღვთაება

**მარზპანი**–ირანის შაჰის მოხელე, ქართლის მმართველი VI ს.

**მართლმადიდებლობა** –ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა ბიზანტიაში და გავრცელდა საქართველოში, რუსეთსა და სხვა ქვეყანაში

**მარკიზი** – თავადაზნაურთა ტიტული დასავლეთ ევროპაში

**მარკიზა** – მარკიზის ცოლი ან ქალიშვილი

**მარკო-პოლო** – (1254 – 1324 წწ.) იტალიელი მოგზაური, რომელმაც იმოგზაურა მონღოლეთსა და ჩინეთში

**მარადიორი** – პირი, რომელიც ფრონტზე მოკლულებსა და დაჭრილებს ძარცვავს

**მარსი** – ა. ომის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

ბ. მზის სისტემის ერთ-ერთი პლანეტა

**მარსელიოზა** – ფრანგული რევოლუციური სიმღერა. შეიქმნა 1792 წ.

**მარქსიზმ - ლენინიზმი** – მოძღვრება საზოგადოებისა და ბუნების განვითარების კანონთა შესახებ, რომელსაც სათავე დაუდეს მარქსმა და ლენინმა

**მარჯნის კუნძულები** – მარჯნების პოლიპებისაგან წარმოშობილი კუნძულები

**მარშალი** – სამხედრო წოდება

**მასისი** – იგივე არარატი

**მასმედია** – კომუნიკაციის მასობრივი საშუალებები (გაზეთი, ტელევიზია, რადიომაუწყებლობა. . . )

**მასონიზმი** – რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც შეიქმნა XVIII ს. ინგლისში და გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც

**მასშტაბი** – რუკაზე, გეგმაზე, ან ნახაზზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზებით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან

**მატადორი** – ხარების ბრძოლის მთავარი მონაწილე

**მატიანე** – ისტორია

**მატერიალური** – ნივთიერი, რეალური

**მატრიარქატი** – დედამთავრული გვარი

**მატრონა** – ქალბატონი ძველ რომში

**მაფია** – საიდუმლო ორგანიზაცია იტალიაში

**მახვილოსანთა ორდენი** – სასულიერო რაინდული ორდენი, რომელიც დაარსდა 1202 წელს

**მაღრიბი** – აფრიკის რეგიონი, რომელშიც შედის ტუნისი, ალჟირი, მაროკო, ლიბია, მავრიტანია და სხვა

**მაჰაბჰარატა** – ძველი ინდური ეპოსი, იქმნებოდა ძვ. წთ. II-Iათასწლეულებში

**მაჰარაჯა** – მთავრის უმაღლესი ტიტული ინდოეთში

**მაჰმადიანობა** – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიათაგანი. დაარსდა VII საუკუნეში მუჰამედის მიერ არაბეთში, (ისლამი )

**მაჰმადიანი** – მაჰმადიანობის მიმდევარი

**მდინარის შენაკადი** – მთავარ მდინარეზე შედარებით მოკლე და წყალმარჩხი მდინარე, რომელიც უერთდება მთავარ მდინარეს

**მდინარის შესართავი** – ადგილი, სადაც მდინარე უერთდება სხვა მდინარეს, ტბას ან ზღვას

**მდინარის წლიური ჩამონადენი** – მოცემულ კვეთში ერთი წლის განმავლობაში გავლილი წყლის რაოდენობა

**მეგალითი** – დიდი ქვებისაგან აგებული აკლდამა

**მედიატორი** – მომრიგებელი

**მედიევისტიკა** – ისტორიული მეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს დასავლეთ ევროპის ისტორიას შუა საუკუნეებში

**მედიუმი** – პირი, რომელიც გარდაცვლილთა სულებთან ამყარებს ურთიერთობას

**მედეა** – კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილი, რომელიც დაეხმარა არგონავტებს გაეტაცათ კოლხეთიდან ოქროს საწმისი

**მედინა** – მაჰმადიანთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე

**მედრესე** – მაჰმადიანთა უმაღლესი ან საშუალო სასწავლებელი

**მეზალიანსი** – სოციალურად უთანასწორო პირთა ქორწინება

**მეზოზოური ერა** – დედამიწის გეოლოგიური პერიოდიზაციის მეოთხე ერა

**მეზოლითი** – შუა ქვის ხანა

**მეზოსფერო** – ატმოსფეროს ფენა 50 –დან 80 კმ-მდე

**მეთუნეობა** – თიხის ჭურჭლის დამზადების ხელოვნება

**მელანინი** – პიგმენტი, რომელიც განსაზღვრავს კანის შეფერილობას

**მემორანდუმი** – დიპლომატიური დოკუმენტი

**მემფისი** – ეგვიპტის ძველი დედაქალაქი

**მენელაოსი** – სპარტის მეფე, მშვენიერი ელენეს ქმარი. ტროას ომის მონაწილე

**მენტალობა** – აზროვნებასთან კავშირში

**მეიძი** – იმპერატორ მიცუჰიტოს მმართველობის ხანა (ჩინურად „განათლებული" )

**მენშევიზმი** – რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი მიმდინარეობა

**მენშევიკი** – მენშევიზმის მიმდევარი

**მერი** – ქალაქის მმართველი, თავი

**მერიდიანი** – გლობუსზე პოლუსიდან პოლუსამდე და ეკვატორის მართობული კუთხით მდებარე წრეხაზი

**მერგერები** – დანალექი ქანები, რომლებიც გამოიყენება ძირითადად ცემენტის მრეწველობაში

**მერკური** – ვაჭრობის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**მეროვინგები** – საფრანგეთის პირველი სამეფო დინასტია ( V –VIII სს)

**მესალინა** – რომის იმპერატორ კლავდიუსის მეუღლე

**მესია** – მხსნელი

**მესოპოტამია** – შუამდინარეთი, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზი

**მესხია შოთა** – (1916-1972 წწ) ცნობილი ქართველი ისტორიკოსი

**მეტამორფოზა** – სახეცვლილება

**მეტანია** – ლოცვის დროს მუხლის მოდრეკა და წელში ღრმად მოხრა

**მეტაფიზიკა** – ა. შემეცნების მეთოდი, რომელიც მოვლენებს განიხილავს ერთმანეთისაგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად

ბ. იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც განიხილავს ცდისმიღმურ მოვლენებს (არისტოტელეს ფილოსოფიურ თხზულებების მიხედვით)

**მეტაფრასი** – რედაქტირებული საეკლესიო ლიტერატურული ნაწარმოები, ძირითადად ჰაგიოგრაფიული ხასიათისა

**მეტექი** – ათენსა და ძველი საბერძნეთის სხვა ქალაქებში უცხო ქვეყნებიდან ჩასახლებულები, უცხოტომელის სინონიმი

**მეტეორი** – კოსმოსური წარმოშობის გავარვარებული სხეული, რომელიც სწრაფად მოძრაობს ატმოსფეროში

**მეტეორიტი** – დედამიწაზე ჩამოვარდნილი რკინის ან ქვის კოსმოსური წარმოშობის სხეული

**მეტეორა** – ქრისტიანთა ერთ-ერთი წმინდა ადგილი საბერძნეთში

**მეტეოროლოგია** – ა. მეცნიერება დედამიწის ატმოსფეროს შესახებ

ბ. მოძღვრება ამინდისა და მისი წინასწარი გამოცნობის შესახებ

**მეტისი** – ინდიელისა და ევროპეიდული რასის წარმომადგენლის შერეული ქორწინების შედეგად გაჩენილი ადამიანი

**მეტროლოგია** – მეცნიერება ზომა-წონის შესახებ

**მეტროპოლია** – ძველ საბერძნეთში ქალაქი, რომელმაც უცხო ქვეყანაში კოლონია (ახალშენი) დაარსა, (ნიშნავს დედაქალაქს). იხმარება კოლონიების მფლობელი სახელმწიფოს აღსანიშნავად

**მეფისტოფელი** – ბოროტი სული, დემონი ძველ გერმანულ ლეგენდაში

**მეფისნაცვალი** – რუსეთის იმპერატორის მიერ განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პირი

**მეჩეთი** – მუსლიმთა სამლოცველო

**მეცენატი** – მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი (წარმოდგება მდიდარი რომაელის სახელიდან)

**მეჭურჭლეთუხუცესი** – ფინანსთა მინისტრი ძველ საქართველოში

**მეჯლისი** – ა. დიდი წვეულება

ბ. პარლამენტი ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში

**მეჰმედ II** – (1432-1481 წწ ) თურქეთის სულთანი, რომელმაც 1453 წელს აიღო კონსტანტინეპოლი

**მზის სისტემა** – პლანეტათა სისტემა, რომლის ცენტრში მოთავსებულია მზე და მის ირგვლივ მოძრაობს 9 პლანეტა თანამგზავრებითურთ

**მთა** – დედამიწის ზედაპირიდან მკვეთრი ამაღლება

**მიგრაცია** – ადამიანების გადასახლება ერთი ადგილიდან მეორეზე

**მიდასი** – ფრიგიელთა ლეგენდარული მეფე, ზღაპრული სიმდიდრის პატრონი

**მიზანთროპი** – ადამიანი, რომელიც გაურბის საზოგადოებას

**მიზგითი** – იგივეა, რაც მეჩეთი

**მითი** – თქმულება

**მითოლოგია** – მითების ერთობლიობა

**მითრა** – მზის, სინათლის, სიკეთის ღმერთი ძველი ირანის, ინდოეთის და სხვა აღმოსავლეთის ხალხებში

**მიკადო** – იაპონიის იმპერატორთა ტიტული

**მიკენი** – ძველბერძნული ქალაქი

**მიკროლითები** – პირველყოფილი ადამაინების ქვის პატარა იარაღები

**მილედი** – მიმართვა დიდგვაროვანი გათხოვილი ქალისადმი ინგლისში

**მილიტარიზაცია** – გამალებული შეიარაღება, როცა ქვეყნის ეკონომიკა გადასულია იარაღის მასობრივ შეძენასა და დამზადებაზე

**მილორდი** – მიმართვა არისტოკრატი კაცისადმი ინგლისში

**მინარეთი** – მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუეძინი მოუხმობს მლოცველებს

**მინერალი** – ერთგვაროვანი ქიმიური შემადგენლობის და ფიზიკური თვისებების ბუნებრივი წარმონაქმნი

**მინერალური წყარო** – წყალი, რომელშიც გახსნილია მნიშვნელოვანი რაოდენობის ხსნადი მარილები

**მინერვა** – სიბრძნის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**მინიატურა** – პატარა ფერადი სურათი ან მოხატული მთავარი ასო ძველ ხელნაწერში

**მინისტრი** – მთავრობის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს ამა თუ იმ სამინისტროს (უწყებას)

**მინორატი** – მემკვიდრეობის უფლება შუასაუკუნეებში, როცა ქონება გადადიოდა უმცროსზე

**მინოსი** – კუნძულ კრეტის ლეგენდარული მეფე

**მინოტავრი** – ურჩხული, რომელსაც ადამიანის ტანი და ხარის თავი ჰქონდა. მოკლა თეზევსმა

**მიოცენი** – დედამიწის ისტორიის მესამეული პერიოდის ერთ-ერთი დიდი პერიოდი (25–20 მილიონიდან 6 მლ. წლამდე ძვ. წთ. )

**მისის** – მიმართვა გათხოვილი ქალისადმი ინგლისსა და აშშ-ში

**მისტერ** – მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისსა და აშშ-ში

**მისტიკა** – რწმენა, რომლითაც შეიძლება კავშირის დამყარება საიქიოსთან

**მისტრალი** – ძლიერი და ცივი ჩრდილო-დასავლეთის ქარი

**მიტრა** – უმაღლესი სასულიერო პირის თავსარქმელი

**მიტრიპოლიტი** – ეპისკოპოსის უმაღლესი წოდება

**მიურიდი** – მუსლიმი, რომელიც ვალდებულია სძულდეს ყველა არამუსლიმი

**მიქცევა-მოქცევა** – წყლის დონის პერიოდული დაწევ-ამოწევა ოკეანესა და ზღვაში, რომელიც დამოკიდებულია მთვარის და მზის მიზიდულობაზე

**მიწისძვრა** – დედამიწის ქერქსა და მანტიის ზედა ნაწილში მიმდინარე რყევები, რომლებიც გამოწვეულია მათი გადაადგილების შედეგად

**მიწისძვრის მაგნიტუდა** – მიწისძვრის ეპიცენტრში გამოყოფილი ენერგიის რაოდენობის მაჩვენებელი

**მნემოსინე** – მუზების დედა ბერძნულ მითოლოგიაში

**მოგვი** – მაზდეანური რელიგიის ქურუმი

**მოდერნიზმი** – თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რამ, არატრადიციული

**მოირები** – ბედისწერის ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში

**მოლა** – რელიგიური კულტის მსახური მუსლიმურ რელიგიაში

**მომოსი** – დაცინვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაშიო

**მონარქი** – სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი

**მონარქია** – მმართველობის ფორმა, როცა ქვეყანას განაგებს მონარქი

**მონარქისტი** – მონარქიის ერთგული, მიმდევარი

**მონოგამია** – ქორწინების ფორმა, როცა ერთ მამაკაცს ჰყავს ერთი ცოლი და პირიქით

**მონოგლაციალიზმი** – ჰიპოთეზა ევროპის, აზიის და ჩრდილოეთ ამერიკის ერთჯერადი გამყინვარების შესახებ

**ონოგრამა** – ორი ან რამდენიმე ასოსგან შემდგარი ნიშანი

**მონოგრაფია** – ვრცელი მეცნიერული ნაშრომი

**მონოთეიზმი** – რელიგია, რომელიც ერთ ღმერთს აღიარებს

**მონოლითი** – მთლიანი ქვის ლოდი

**მონოლოგი** – ერთი ადამიანის ვრცელი სიტყვა

**მონოპოლია** – წარმოების ან გაყიდვის ერთპიროვნული უფლება

**მონოპოლისტი** – პირი, რომელიც მონოპოლიას ფლობს

**მონოცენტრიზმი** – მიმდინარეობა, რომელიც აღიარებს ანთროპოგენეზის ერთ ადგილას მიმდინარეობას

**მონოფიზიტობა** – ქრისტიანული მიმდინარეობა, რომელიც აღიარებს ქრისტეს ერთ ბუნებას

**მონოფიზიტი** – მონოფიზიტობის მიმდევარი

**მონუმენტი** – მასშტაბური არქიტექტურული ან სკულპტურული ნაგებობა

**მორატორიუმი** – საშინაო და საგარეო ვალდებულებათა გადადება მთავრობის მიერ რაიმე საგანგებო მდგომარეობის გამო

**მორგანი ჰენრი** – XIX ს. ამერიკელი ეთნოგრაფი

**მორზეს ანბანი** – ასოებით გადასაცემი სპეციალური ნიშნების ერთობლიობა წერტილებისა და ტირეების სახით. ამერიკელი გამომგონებლის მორზეს (1791-1872წწ) სახელის მიხედვით

**მორმონები** – რელიგიური სექტის მიმდევრები, რომლებიც აღიარებენ პოლითეიზმისა და ქრისტიანობის სინთეზს

**მოჰიკანები** – ჩრდილოეთამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომი, რომელიც აღარ არსებობს

**მსოფლიო ოკეანე** – წყლის ერთიანი უზარმაზარი სივრცე, რომელსაც უკავია დედამიწის ზედაპირის 71 %

**მუეძინი** – მოლა, რომელიც მინარეთიდან მოუწოდებს მლოცველებს

**მუზა** – ქალღმერთი, რომელიც მფარველობს ხელოვნების რომელიმე დარგს

**მუზეუმი** – შენობა, რომელშიც ინახება და გამოიფინება იშვიათი საგნები

**მულატი** – ზანგისა და თეთრკანიანის შერეული ქორწინების შედეგად გაჩენილი ადამიანი

**მუმია** – გვამი, რომელსაც სპეციალური ბალზამირება აქვს გაკეთებული

**მუმიფიცირება** – გვამის მუმიად გადაქცევა

**მუნიციპალიტეტი** – ქალაქის ან სოფლის ადგილობრივი მმართველობა

**მუნიციპიები** – ქალაქები ძველ რომში, რომლებსაც თვითმმართველობა ჰქონდათ

**მუსლიმანი** – (არაბულად მინდობილი ) იგივეა, რაც მაჰმადიანი

**მუსავატი** – კონტრევოლუციურ–ნაციონალისტური პარტია აზერბაიჯანში

**მუსავატელი** – მუსავატთა პარტიის წევრი

**მუსონი** – პერიოდული ქარები, რომლებიც იცვლიან მიმართულებას სეზონების მიხედვით

**მუსტანგი** – გაველურებული ცხენი

**მუსტაფა ნაიმა** – XVII ს. თურქი ისტორიკოსი

**მუსტიეური კულტურა** – აშელის კულტურის მომდევნო კულტურა პალეოლითის ხანაში (ლე მუსტიეს გამოქვაბულის მიხედვით)

**მუშკეტი** – ხელის მძიმე ცეცხლსასროლი იარაღი

**მუშქები** – მესხების ბიბლიური სახელწოდება

**მუჯაჰედები** – სარწმუნოებისათვის მებრძოლნი, წამებულნი მუსლიმურ რელიგიაში

**მყინვარი** – ატმოსფერული წარმოშობის ყინულის მასა. უკავია ხმელეთის ზედაპირის 11 % და შეიცავს მტკნარი წყლის უზარმაზარ მარაგს ( დაახლოებით 30 მლნ. 3/კმ)

# ნ

**ნაბათი** – დიდი დოლი, რომელსაც სცემენ რაღაც საგანგებო შემთხვევის დროს

**ნადავლი** – ომში ნაშოვნი ქონება

**ნადელი** – მიწის პატარა ნაკვეთი მეფის რუსეთში

**ნადირი** – ცის სფეროს წარმოსახვითი წერტილი, რომელიც მოთავსებულია ჰორიზონტის ქვეშ, ზენიტის პირდაპირ

**ნავარქოსი** – ფლოტის სარდალი ძველ საბერძნეთში

**ნავი** – ა. ბაზილიკის გრძივი ნაწილი, რომელიც გამოყოფილია სვეტებით

ბ. წყლის მცირე ხომალდი

**ნავიგაცია** – გემთა მიმოსვლა, ნაოსნობა

**ნაიბი** – ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულის უფროსი ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში

**ნაკრძალი** – ტერიტორია, სადაც ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნებულია მთელი ბუნებრივი კომპლექსი

**ნამაზი** – მუსლიმთა ხუთჯერადი ლოცვა დღეში

**ნაპოლეონ ბონაპარტე** – (1769–1821 წწ.) საფრანგეთის იმპერატორი XVIII–XIX სს.

**ნარატიული** – თხრობითი

**ნართების ეპოსი** – ჩრდილოკავკასიელი ხალხების (ოსების, აფხაზების. . ) საგმირო ეპოსი

**ნაროდნიკები** – ხალხოსნები

**ნარცისი** – ა. საკუთარ თავზე შეყვარებული ადამიანი
ბ. ყვავილი

**ნასტაკისი** – ანტიკური ქალაქი შიდა ქართლში

**ნატო** (– ჩრდილოატლანტიკური კავშირი. შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს. მისი შტაბ-ბინა არის ბრიუსელში

**ნაცია** – ერი

**ნაციონალიზაცია** – კერძო საკუთრების გასახელმწი -
ფოებრიობა

**ნაციონალ-უკლონისტები** – ქართველი ბოლშევიკების ნაწილი, რომელთაც არ სურდათ სამოკავშირეო სახელმწიფოში საქართველოს გაერთიანება

**ნახევარკუნძული** – წყლის სივრცეში შეჭრილი ხმელეთის ნაწილი

**ნახევარსფერო** – დედამიწის სფერული ზედაპირის ორი ნახევარი. გამოყოფენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებს, რომლებსაც ეკვატორი და აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებს, რომლებსაც ნულოვანი და 180 გრადუსიანი მერიდიანი ყოფს შუაზე

**ნეანდარტალელი ადამიანი** – თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპარი (გერმანიის ქ. დიუსელდორფის მახლობლად ხეობა ნეანდერტალის მიხედვით. აღმოაჩინეს 1856წ.)

**ნეგროიდული რასა** – შავკანიანთა რასა

**ნეგუსი** – ეთიოპიის მეფეთა ტიტული (XIX–XXსს.)

**ნევა** – მდინარე რუსეთში. მასზე არის გაშენებული სანკტ პეტერბურგი

**ნეიტრალიტეტი** – ჩაურევლობის პოლიტიკა

**ნეკროპოლი** – სასაფლაო, სამარხი

**ნემესიდა** – შურისძიების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**ნეოანთროპი** – ახალი ადამიანი

**ნეოგეა** – ხმელეთის ზოოგეოგრაფიული დანაყოფი, რომელიც მოიცავს სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკას

**ნეოლითი** – ახალი ქვის ხანა

**ნეოპლატონიზმი** – ანტიკური ფილოსოფიის იდეალისტური მიმართულება (III–VI სს.)

**ნეპოტიზმი** – თანამდებობის პირების მიერ ნათესავების მფარველობა, ხელშეწყობა

**ნეპტუნი** – ზღვის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**ნერეიდები** – ზღვის ფერიები ბერძნულ მითოლოგიაში

**ნერონი** – რომის იმპერატორი 54-68 წლებში

**ნესტორი** – ძველი საბერძნეთის ქალაქის პილოსის ლეგენდარული მეფე

**ნესტორიანელობა**– ქრისტიანული სექტა – წარმოიშვა V ს.

**ნექტარი** – ღმერთების სასმელი ბერძნულ მითოლოგიაში

**ნიადაგმცოდნეობა** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ნიადაგის წარმოშობასა და განვითარებას

**ნიკე** – გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**ნიმფები** – ბუნებისა და სხვადასხვა ძალების ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში

**ნილოსი** – მდინარე აფრიკაში

**ნილოსის ნობათი** – ასე უწოდეს ეგვიპტეს ძველმა ბერძნებმა

**ნინგირსუ** – შუმერული ქალაქის ლაგაშის ღვთაება

**ნირვანა** – უდიდესი ნეტარება ბუდისტურ რელიგიაში

**ნისლი** – ჰაერში წყლის ორთქლის შესქელება წვრილი წვეთების სახით

**ნიუტონი ისააკ** – ინგლისელი ფიზიკოსი 1643-1727 წწ.

**ნიში** – შეღრმავებული ადგილი კედელში

**ნიშცე** – გერმანელი ფილოსოფოსი (XIX ს.)

**ნიჰილიზმი** – ყველაფრის ხელაღებით უარყოფა

**ნიჰილისტი** – ნიჰილიზმის მიმდევარი

**ნო** – იაპონური თეატრი შუასაუკუნეებში

**ნობელი** – შვედი გამომგონებელი და მრეწველი (1833-1896 წწ.)

**ნობელის პრემია** – ფულადი ჯილდო, რომელსაც აკუთვნებენ განსაკუთრებული დამსახურებისათვის. დააწესა ნობელმა

**ნობილიტეტი** – პატრიციებისა და პლებეების ზედაფენა ძველ რომში

**ნოე** – ბიბლიური პერსონაჟი, ადამის მეათე შთამომავალი, რომლის დროსაც უფალმა კაცობრიობას მოუვლინა წარღვნა

**ნოინი** – მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი

**ნომი** – ოლქი ძველ ეგვიპტეში

**ნომარქოსი** – ნომის მმართველი

**ნომადები** – მომთაბარე ტომების ზოგადი სახელი

**ნომინალი** – რისამე ღირებულება, რომელიც გამოსახულია ფასიან ქაღალდზე

**ნონსესი** – უაზრობა

**ნორმანები** – ჩრდილოგერმანელი ტომების სახელწოდება. აიგივებენ ვიკინგებთან

**ნოსტალგია** – შინ დაბრუნების სევდა

**ნოსტრადამუსი** – ფრანგი ასტროლოგი და წინასწარმეტყველი (1505-1566წწ.)

**ნოტა** – ერთი ქვეყნის წერილობითი მიმართვა მეორე ქვეყნისადმი

**ნუმა პომპილიუსი** – რომის ლეგენდარული მეფე, რომელსაც მრავალი დამსახურება მიეწერება ძველი რომის ისტორიაში

**ნუმიზმატიკა** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც შეისწავლის მონეტებს

**ნუმიზმატი** – ნუმიზმატიკის სპეციალისტი

**ნუმიტორი** – ლათინური ქალაქის ალბა-ლონგას მითიური მეფე, ენეასის შთამომავალი

## ო

**ოაზისი** – ადგილი უდაბნოში, სადაც არის წყალი და მცენარეულობა

**ობელისკი** – ქვის ძეგლი, რომელიც წარმოადგენს კუთხოვან, ზევითკენ თანდათანობით გაწვრილებულ სვეტს

**ობერშტურმანფიურერი** – ოფიცრის წოდება ფაშისტური გერმანიის არმიაში

**ობიექტური** – მიუკერძოებელი

**ობლიგაცია** – ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოგებას პროცენტის სახით იძლევა

**ობსერვატორია** – შენობა, საიდანაც ხდება ვარსკვლავებზე დაკვირვება

**ობსიდიანი** – ვულკანური წარმოშობის მინა

**ოდა** – ა. საზეიმო ლირიკული ლექსი ძველ საბერძნეთში, რომელსაც გუნდი ასრულებდა

ბ. სახოტბო ლექსი

გ. ხის საცხოვრებელი სახლი დასავლეთ საქართველოში

**ოდეონი** – მუსიკალური წარმოდგენებისთვის განკუთვნილი შენობა ძველ საბერძნეთში

**ოდიოზური** – არასასურველი

**ოდისეა** – ჰომეროსის პოემა

**ოდისევსი** – „ოდისეას“ მთავარი გმირი, კუნძულ ითაკას მეფე, პენელოპას ქმარი

**ოდიში** – სამეგრელოს ძველი სახელწოდება

**ოდონტოლითი** – ზოგი განმარხული ცხოველის სახელწოდება

**ოვაცია** – აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე ტაშით და შეძახილით

**ოზაკომი** – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის რუსული აბრევიატურა (1917 წ.მარტი – 1917 წ. ნოემბერი)

**ოიდიპოსი** – ქ. თებეს მეფე ბერძნულ მითოლოგიაში

**ოიკუმენა** – სამყაროს დასახლებული ნაწილი

**ოინოქოე** – ღვინის ჩამოსასხმელი ბერძნული ჭურჭელი

**ოკეანე** – ა. წყლის დიდი სივრცე, რომელიც კონტინენტებს შორისაა მოქცეული. გამოყოფენ ოთხ ოკეანეს: წყნარი, ატლანტის, ინდოეთის და ჩრდილოყინულოვანი

ბ. ურანოსისა და გეას შვილი, წყლის სტიქიის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**ოკეანის დინებები** – წყლის მასების გადაადგილება ოკეანეებსა და ზღვებში დიდი ნაკადების სახით

**ოკეანოგრაფია** – ოკეანეებისა და ზღვების შემსწავლელი მეცნიერება

**ოკეანოლოგია** – იგივეა, რაც ოკეანოგრაფია

**ოკეანური ღრმული** – ოკეანის ფსკერზე 6000 მ-ზე ღრმად მდებარე ქვაბული

**ოკრუგი** – ავტონომიური ტერიტორიული ერთეულის ერთ-ერთი ფორმა

**ოკულტიზმი** – მისტიკურ მოძღვრებათა საერთო სახელწოდება

**ოკუპაცია** – რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის შეიარაღებული გზით დაკავება

**ოკუპანტი** – დამპყრობელი, ოკუპაციის მომწყობი

**ოლდუვაის კულტურა** – ქვედაპალეოლითის ხანის არქეოლოგიური კულტურა აფრიკაში

**ოლიგარქია** – ა. მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა
ბ. მმართველობის ფორმა ქალაქ სპარტაში

**ოლიგარქი** – ოლიგარქიის წარმომადგენელი

**ოლიმპი** – მთა საბერძნეთში, რომელზეც ღმერთები იკრიბებოდნენ

**ოლიმპიადა** – სპორტული შეჯიბრებები ძველ საბერძნეთში, რომლებიც ნიმართებოდა ქალაქ ოლიმპიაში ოთხწელიწადში

**ომბუდსმენი** – სახალხო დამცველი

**ომნიბუსი** – ცხენშებმული მრავალადგილიანი ეტლი

**ონომასტიკა** – საკუთარ სახელთა შემსწავლელი მეცნიერება

**„ოპეკ"-ი** – ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის ინგლისურენოვანი სახელწოდების აბრევიატურა

**„ოპიუმის ომები"** – ინგლის-ჩინეთის ომები XIX ს–ში

**ოპოზიცია** – ვიღაციის წინააღმდეგ მოქმედება

**ოპოზიციონერი** – ოპოზიციის წარმომადგენელი

**ოპორტუნიზმი** – მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომელიც ქადაგებს ბრძოლაში რევოლუციურ საშუალებებზე უარის თქმას

**ოპორტუნისტი** – ოპორტუნიზმის წარმომადგენელი

**ოპრიჩნინა** – ივანე მრისხანეს მიერ განხორციელებული საშინაო პოლიტიკა, მიმართული ურჩი ბოიარების ასალაგმად

**ოპტიმიზმი** – იმედიანი განწყობა

**ოპტიმისტი** – ოპტიმიზმით გამსჭვალული ადამიანი

**ორაკული** – წინასწარმეტყველი

**ორატორი** – მჭევრმეტყველი

**ორბიტა** – პლანეტების სამოძრაო გზა

**ორგია** – თავაშვებული ქეიფი, დროსტარება

**ორდენი** – სხვადასხვა ხარისხის ნიშანი, რომლითაც ხელისუფლება აჯილდოებს რაიმე დამსახურებისათვის

**ორდერი** – ბრძანების ლეგიტიმური ფორმა, რომელიც რაღაცის უფლებას იძლევა

**ორდინალური** – ჩვეულებრივი

**ორეადები** – მთის ნიმფები ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში

**ორესტე** – აგამემნონის ვაჟი, რომელმაც შურისძიების მიზნით მოკლა საკუთარი დედა კლიტემნესტრა

**ორთოდოქსი** – რაიმე მოძღვრების განუხრალად მიმდევარი, ერთგული

**ორიენტალისტი** – აღმოსავლეთმცოდნე

**ორიონი** – ა. თანავარსკვლავედი

ბ. გოლიათი ბერძნულ მითოლოგიაში

**ორლესური** – ორმხრივ გალესილი მახვილი

**ორმუზდი** – სიკეთისა და სინათლის ღვთაება ძველ სპარსულ რელიგიაში

**ორნამენტი** – მხატვრული ჩუქურთმა

**ოროგენეზი** – მთათა წარმოქმნის პროცესი

**ოროგრაფია** – ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ზედაპირის რელიეფს

**ორონიმიკა** – ტოპონიმიკის ნაწილი, რომელიც მთათა სახელებს სწავლობს

**ორფევსი** – ლეგენდარული მომღერალი ბერძნულ მითოლოგიაში

**ორფიკოსები** – რელიგიურ-მისტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები ძველ საბერძნეთში

**ორქესტრა** – სცენა ანტიკურ სამყაროში, რომელზეც გამოდიოდნენ ქორო ან მსახიობები

**ოსანა** – სახოტბო შეძახილი (დიდება)

**ოსირისი** – მოკვდავი და გაცოცხლებადი მთვარისა და ნილოსის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში

**ოსტრაკიზმო** – წესი ძველ ათენში, როდესაც კენჭისყრით განდევნიდნენ ამა თუ იმ მოქალაქეს

**ოსტრაკოს** – თიხის ფირფიტა, რომელზეც ოსტრაკიზმოს დროს მოქალაქეები აწერდნენ არასასურველი პიროვნების სახელს ძველ საბერძნეთში

**ოტომანები** – ოსმალების ევროპული სახელწოდება

**ოუენი** – უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელი (1771 –1858წწ.)

**ოუენიზმი** – მიმდინარეობა უტოპიურ სოციალიზმში

**ოფისი** – კანტორა, სამმართველო

**ოფიციოზი** – მთავრობაზე დამოკიდებული

**ოქროს საწმისი** – ოქროს ვერძის ტყავი, რომელიც ინახებოდა კოლხეთში, აიეტის სამეფოში. მოტყუებით მოიტაცეს არგონავტებმა

**ოქროს ურდო** – ჩრდილოეთ მონღოლური სახელმწიფო

**ოხრანკა** – საიდუმლო პოლიცია მეფის რუსეთში

## პ

**პადრე** – კათოლიკე მღვდელი

**პათოსი** – აღფრთოვანება

**პაი** – საერთო საქმის რაიმე წილი

**პალადა** – ქალღმერთ ათენას ერთ-ერთი ეპითეტი

**პალეოაზიური ხალხები** – წარმოშობით და ენით განსხვავებული ჩრდილოეთის მცირე ხალხების სახელწოდება

**პალეანთროპი** – ძველი ადამიანი

**პალეოგენი** – კაიონოზური ერის პირველი პერიოდი

**პალეოგეოგრაფია** – დედამიწის ზედაპირზე არსებული ფიზიკო–გეოგრაფიული პირობების წარმოშობის შემსწავლელი მეცნიერება

**პალეოგრაფია** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც შეისწავლის დამწერლობის წარმოშობა–განვითარების პროცესს

**პალეოვულკანოლოგია** – გეოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ვულკანების მოქმედებას წარსულში

**პალეოზავრი** – ნამარხი უზარმაზარი ხვლიკი

**პალეოაზიური ერა** – დედამიწის გეოლოგიური ისტორიის ერა, რომელიც წინ უსწრებდა მეზოზოურ ერას

**პალეოკლიმატოლოგია** – უძველესი კლიმატის შემსწავლელი მეცნიერება

**პალეოლითი** – ძველი ქვის ხანა

**პალეოლოგოსები** – უკანასკნელი დინასტია ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე 1259-1453 წწ.

**პალეონტოლოგია** – მეცნიერება გადაშენებულ მცენარეთა და ცხოველთა შესახებ

**პალეოცენი** – ყველაზე ძველი ერა

**პალესტინა** – ქანაანის სამხრეთ ნაწილის ბერძნული სახელწოდება

**პალესტრა** – მოზარდი ვაჟების სპორტული მომზადების სკოლა ძველ საბერძნეთში

**პალიმფსესტი** – ხელნაწერი, რომელზეც ძველი ტექსტი გადაფხეკილია და ახალია დაწერილი

**პალმირა** – ქალაქი სირიის უდაბნოში, რომელმაც ძლიერების ზენიტს I-III ს–ში მიაღწია. მისი დედოფალი ზენობია რომის იმპერიასაც კი უწევდა წინააღმდეგობას

**„პალუნდრა“** – შეძახილი „ფრთხილად“

**პამპა** – ველის სახელწოდება ამერიკის ზომიერ სარტყელში

**პამპერო** – პამპიდან მონაბერი ცივი ქარი

**პამფილია** – ძველი ისტორიული ოლქი მცირე აზიის სამხრეთში

**პამფლეტი** – სარკაზმით გამსჭვალული პუბლიცისტური ნაწარმოები

**პანი** – ა. მიმართვა მამაკაცისადმი პოლონეთში

ბ. საქონლისა და მწყემსების მფარველი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**პანაცეა** – უებარი საშუალება, რომელიც ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს

**პანგეა** – მთელი დედამიწა, კონტინენტებად დაუყოფელი, რომელიც 200 მლ. წლის წინ გარემოცული იყო მთლიანი მსოფლიო ოკეანით

**პანდემია** – ეპიდემია, რომელიც მოედება დიდ დასახლებულ ტერიტორიას

**პანდორა** – პირველი მოკვდავი ქალი, რომელმაც გახსნა უბედურებით სავსე ყუთი

**პანეგირიკი** – გადაჭარბებული ქება–დიდება

**პანთალასა** – იგივეა რაც პანგეა

**პანთეიზმი** – რელიგიურ–ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ღმერთს აიგივებს ბუნებასთან

**პანთეონი** – ა. ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი

ბ. სასაფლაო ან აკლდამა, სადაც გამოჩენილ ადამიანებს ასაფლავებენ

**პანიკა** – უეცარი შიში, თავზარი

**პაპირუსი** – ა. ტროპიკული ლერწამი

ბ. ამ ლერწმისგან დამზადებული საწერი მასალა

**პაპიროლოგია** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც პაპირუსებს სწავლობს

**პაპუასები** – წყნარი ოკეანის ზოგი კუნძულის ( ახალი გვინეა, მელანეზია ) მოსახლეობის კრებსითი სახელი

**პარადი** – ჯარების საზეიმო დათვალიერება

**პარალელები** – ეკვატორის პარალელურად გლობუსზე ან რუკაზე გავლებული წარმოსახვითი ხაზები

**პარანთროპი** – ადამიანის მსგავსი განამარხი მაიმუნი

**პართენონი** – ათენას მთავარი ტაძარი ათენში ძვ. წ. V ს. ( დაასრულეს ძვ. წ. 432 წ)

**პართია** – ისტორიული ოლქი კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით

**პარიზის საზავო კონფერენცია** – 1919 წ. გამართული კონფერენცია პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების მონაწილეობით

**პარისი** – ტროელი უფლისწული, რომელმაც მოიტაცა ელენე

**პარიტეტი** – თანასწორობა

**პარლამენტი** – არჩევითი საკანონმდებლო ორგანო

**პარლამენტარი** – პარლამენტის წევრი

**პარნასი** – მთა საბერძნეთში, რომელზეც აპოლონი და მუზები ცხოვრობენ

**პარტიზანი** – შეიარაღებული ბრძოლის მონაწილე, რომელიც მტრისაგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე აგრძელებს წინააღმდეგობის გაწევას

**პარტიკულარიზმი** – სახელმწიფოს ზოგი ნაწილის სწრაფვა განცალკევებისაკენ საერთო ინტერესების საზიანოდ

**პასატი** – ტროპიკული ქარი, რომელიც სუბტროპიკული სარტყელებიდან ეკვატორისკენ ქრის

**პასიფაე** – მინოსის ცოლი, მინოტავრისა და არიადნეს დედა ბერძნულ მითოლოგიაში

**პასტორი** – პროტესტანტი მღვდელი

**პატრი** – მოძღვარი საფრანგეთში, მღვდელი

**პარტიარქი** – ა. მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი

ბ. მამამთავარი

**პატრიარქატი** – მატრიარქატის მომდევნო პერიოდი პირველყოფილ საზოგადოებაში

**პატრიოტი** – სამშობლოს მოყვარული ადამიანი

**პატრიციები** – რომის უძველესი მოსახლეობის შთამომავლები

**პატროკლე** – აქილევსის მეგობარი, ტროას ომის გმირი, რომელიც ჰექტორმა მოკლა

**პატრონატი** – მფარველობის სისტემა ( ვასალიტეტი) – პატრონყმობა მფარველობის სისტემა ფეოდალურ საქართველოში

**პაუპერიზაცია** – მშრომელთა მასობრივი გაღატაკება

**პაქტი** – საერთაშორისო ხელშეკრულება

**პაციფიზმი** – ყოველგვარი ომების საწინააღმდეგო მოძრაობა

**პაჭანიკები** – თურქული წარმომავლობის ხალხი

**პეგასი** – ფრთოსანი ცხენი ბერძნულ მითოლოგიაში

**პელასგები** – საბერძნეთის უძველესი მოსახლეობა

**პელიასი** – იასონის ბიძა, რომელმაც გამოგზავნა იასონი ოქროს საწმისის წასაღებად

**პელოპონესის ომები** – 27 წლიანი ომები ათენსა და სპარტას შორის (ძვ. წ. 431 – 404 წწ.)

**პენელოპა** – ოდისევსის ცოლი, რომელიც 20 წელი ერთგულად ელოდა მეუღლეს

**პეპლოსი** – ქალის ნაოჭებაყრილი სამოსი ძველ საბერძნეთსა და რომში

**პერი** – თავად-აზნაურთა უმაღლესი წოდება ევროპაში

**პერგამენტი** – ხბოს ან ბატკნის ტყავი, რომელსაც საწერად იყენებენ

**პერგამონი** – ელინისტური ქალაქ-სახელმწიფო მცირე აზიაში

**პერიეკები** – ზოგიერთი პოლისის არასრულფასოვანი მოსახლეობა ძველ საბერძნეთში

**პერიფერია** – ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული დასახლება

**პეროზი** – (495–484 წწ.) ირანის შაჰი

**პერსევსი** – ა. მითიური გმირი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც მოკლა გორგონა მედუზა და იხსნა ანდრომედა

ბ. ერთ-ერთი თანავარსკვლავედი

**პერსეპოლისი** – აქემენიანთა სპარსეთის ერთ-ერთი დედაქალაქი

**პერპერა** – ოქროს ფული

**პესიმიზმი** – უიმედობა

**პეტიცია** – წერილობითი თხოვნა ხელისუფლებისადმი

**პეტრა** – ელინისტური ქალაქი

**პეტრაშევსკელები** – XIX ს. რუსეთის დემოკრატი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც ცდილობდა ბატონყმური რუსეთის გარდაქმნას

**პეტრე (იგივე სიმონი)** – ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული

**პეტრე დიდი** – (1672-1725 წწ.) რუსეთის პირველი იმპერატორი

**პეტროგლიფები** – ქვაზე ამოკვეთილი გამოსახულებანი

**პეტროგრადი (იგივე სანკტ პეტერბურგი)** – რუსეთის ძველი დედაქალაქი

**პეტროგრაფია** – გეოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ქანების შემადგენლობას და წარმოშობას

**პექტორალი** – გულსაკიდი

**პიასტრი** – ლითონის ფული ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში

**პიგმალიონი** – კვიპროსის ლეგენდარული მეფე, რომელსაც ქანდაკება ისე შეუყვარდა, რომ აფროდიტემ ის გაუცოცხლა და პიგმალიონმა ცოლად შეირთო

**პიედესტალი** – ძეგლის ან სვეტის სადგამი

**პითაგორა** – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მატემატიკოსი (ძვ. წ. VI ს. )

**პითეკანთროპი** – უძველესი მაიმუნადამიანი

**პითია** – მისანი ქალი ქ. დელფოში

**პილიგრიმი** – წმინდა ადგილის მომლოცველი

**პინაკოთეკა** – სურათების საცავი

**პირამიდა** – უზარმაზარი ქვის აკლდამა, რომელსაც აგებდნენ ძველ ეგვიპტეში ფარაონებისა და მისი ოჯახის წევრებისთვის

**პიროსი** – ეპირის მეფე (ძვ. წ. 319 – 273 წწ.)ცნობილია იმით, რომ გამარჯვება მოიპოვა უდიდესი მსხვერპლის ფასად

**პიტიახში** – განაპირა პროვინციის მმართველი ძველ სპარსეთში

**პიქტოგრამა** – პირობითი ნიშანი, ნახატი

**პლანეტა** – ციური სხეული, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს

**პლანტაცია** – დიდ ფართობზე გაშენებული სასოფლო–სამეურნეო კულტურები

**პლასტი** – ფენა, შრე

**პლანეტა** – მზის გარშემო მოძრავი ციური სხეული, რომელსაც საკუთარი ნათება არ გააჩნია და მზის სინათლით ნათდება

**პლანიმეტრი** – ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება რუკაზე ტერიტორიის ფართობის გასაზომად

**პლანო კარპინი** – XIII ს-ის იტალიელი მოგზაური და დიპლომატი

**პლანქტონი** – წყლის მცირე ზომის ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც გადაადგილდებიან წყლის დინებასთან ერთად

**პლანშეტი** – ტერიტორიის ასაგეგმი დაფა

**პლატონი** – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. 427 – 347 წწ.)

**პლაქტონები** – მოძრავი კლდეები ( სცილა და ქარიბდა ), რომლებიც დარაჯობდნენ იტალიასა და სიცილიას შორის მდებარე სრუტეს

**პლაჟი** – წყლის მოსილული სანაპირო

**პლებეი** – დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ძველ რომში

**პლებისციტი** – საერთო–სახალხო კენჭისყრა რაიმე ზოგადსახელმწიფოებრივი საკითხის გადასაჭრელად

**პლეისტოცენი** – დედამიწის ისტორიის მეოთხეული პერიოდის შუა ეპოქა

**პლენუმი** – არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა

**პლიოცენი** – დედამიწის ისტორიის მესამეული პერიოდის ეპოქა. მოსდევს მიოცენს

**პლურალიზმი** – მრავალი შეხედულების არსებობა

**პლუტარქე** – (46-120 წწ.) ბერძენი ბიოგრაფოსი, „პარალელური ბიოგრაფიების" ავტორი

**პლუტონი** – ა. საიქიოს მბრძანებელი ბერძნულ მითოლოგიაში

ბ. ერთ-ერთი პლანეტა

**პო** – მდინარე იტალიაში (იგივე პადუსი)

**პოლარული** – პოლუსთან დაკავშირებული

**პოლარული დღე** – პერიოდი, როდესაც მზე პოლარულ განედებში არ ჩამოდის ჰორიზონტის ხაზზე

**პოლარული ღამე** – პერიოდი, როდესაც მზე პოლარულ განედებში არ ამოდის ჰორიზონტამდე

**პოლარული ციალი** – ატმოსფეროს მაღალი ფენების ნათება

**პოლემიკა** – პაექრობა

**პოლიბიოსი** – ბერძენი ისტორიკოსი (ძვ. წ. 205-123 წწ.)

**პოლიგამია** – ქორწინების ფორმა, როცა ერთდროულად რამდენიმე მეუღლეა დაშვებული

**პოლიგლოტი** – მრავალი ენების მცოდნე

**პოლითეიზმი** – მრავალღმერთიანობა

**პოლიმნია** – ლირიკული პოეზისაა და ჰიმნების მუზა ბერძნულ მითოლოგიაში

**პოლისი** – ქალაქი-სახელმწიფო ძველ საბერძნეთში

**პოლიტოლოგია** – მეცნიება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციასა და ცხოვრებას

**პოლიქრომია** – მრავალი ფერის გამოყენება ხუროთმოძღვრებასა და ქანდაკებაში

**პოლიცენტრიზმი** – მოძღვრება ანტროპოგენეზის პროცესის მრავალ ადგილას ერთდროულად დაწყების შესახებ

**პოლიცია** – ძალოვანი სტრუქტურა, რომლის ამოცანაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

**პოლკი** – დამოუკიდებელი საჯარისო ერთეული

**პოლკოვნიკი** – ოფიცრის მაღალი ჩინი

**პოლუსი** – დედამიწის ბრუნვის წარმოსახვითი ღერძის მიერ დედამიწის ზედაპირის გადაკვეთის წერტილი

**პომპეი** – ქალაქი იტალიაში, კომპანიაში, რომელიც 79 წლის 24 აგვისტოს განადგურდა ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად

**პონტიფიკი** – ქურუმთა უმაღლესი კოლეგიის წევრი ძველ რომში

**პონტიფიკატი** – რომის პაპის მმართველობის პერიოდი

**პორუჩიკი** – ოფიცრის ჩინი მეფის რუსეთში

**პორტო-ფრანკო** – ღია ნავსადგური

**პორფირი** – წითელი ფერის მოსასხამი (სამეფო ძალაუფლების სიმბოლო), ძოწეული

**პორცელანი** – ფაიფური

**პოსეიდონი** – ძღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, ზევსის ძმა

**პროსესორი** – მიწის ნაკვეთის მოიჯარე

**პოსტამენტი** – კვარცხლბეკი, ამაღლებული ადგილი ქანდაკების ან სვეტის დასადგმელად

**პოსტსკრიპტუმი** – მინაწერი წერილის ბოლოს

**პრაგმატიზმი** – პრაქტიკულად სასარგებლო

**პრაგმატიკოსი** – პრაგმატიზმის მიმდევარი

**პრადო** – სამხატვრო მუზეუმი მადრიდში

**პრეამბულა** – რაიმე მნიშვნელოვანი წერილობითი დოკუმენტის შესავალი

**პრეზიდენტი** – ზოგიერთი სახელმწიფოს არჩეული მეთაური

**პრეზიდიუმი** – არჩევითი ორგანო

**პრეისტორია** – საზოგადოების განვითარებისუძველესი ხანა, რომლის შესახებაც წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია

**პრეკარია** – მიწით სარგებლობა შუასაუკუნეების ევროპაში

**პრეს–ატაშე** – დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელი

**პრესვიტერი** – პროტესტანტი მღვდელი

**პრესვიტერიანელი** – პროტესტანტული სარწმუნოების წარმომადგენელი, რომელიც არ ცნობს ეპისკოპოსის ხელისუფლებას

**პრესკონფერენცია** – სახელმწიფო, პოლიტიკური ან სხვა მოღვაწის შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან

**პრესრელიზი** – ოფიციალური ორგანოს ან პირის მიერ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადაცემული განცხადება

**პრეტენდენტი** – პირი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს რამეზე

**პრეტორი** – კონსულის ან დიქტატორის ტიტული, რომელიც უმაღლესი სასამართლოს ფუნქცია ჰქონდა შეთვისებული

**პრეტორიანელები** – იმპერატორის პირადი გვარდია ძველ რომში

**პრიამოსი** – ტროას უკანასკნელი მეფე

**პრივილეგია** – განსაკუთრებული უფლება

**პრიკაზი** – სახელმწიფო მმართველობის ორგანო მეფის რუსეთში

**პრიმატები** – ძუძუმწოვართა რაზმი, რომელშიც შედის მაიმუნი და ადამიანი

**პრინცი** – სამეფო სახლის წევრის ან მთავრის ტიტული, უფლისწული

**პრინცესა** – მეფის ქალიშვილი ან პრინცის მეუღლის ტიტული

**პრინციპატი** – რომის იმპერიის ისტორიის პირველი ეტაპი

**პროგრესი** – წინსვლა, განვითარება

**პროვინდეციალიზმი** – რელიგიურ-იდეალისტური შეხედულება, რომელიც აღიარებს განგების ძალას

**პროვინცია** –ა. დედაქალაქს დაშორებული დასახლება

ბ. ტერიტორიულ ადმინისტრაციული ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში

**პროზელიტი** – სარწმუნოებაშეცვლილი პირი

**პროზერპინა** – საიქიოს ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**პროკლამაცია** – სააგიტაციო ფურცელი

**პროკონსული** – პროვინციის მმართველი ძველ რომში

**პროკოფი კესარიელი** – VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი

**პროკრუსტეს სარეცელი** – ყაჩაღის საწოლი, რომელზეც შეპყრობილ ხალხს სიკვდილით სჯიდა

**პროკურატორი** – გადასახადის ამკრეფი და პროვინციის მოხელე რომის იმპერიაში

**პროლეტარი** – არაფრისმქონე, ღატაკი ადამიანი ძველ რომში

**პროლეტარიატი** – მუშათა კლასი კაპიტალისტურ საზოგადოებაში

**პროლოგი** – დასაწყისი, შესავალი

**პრომეთე** – ტიტანი, რომელმაც ოლიმპოს მთიდან ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა. იგი ზევსმა დასაჯა და მთაზე მიაჯაჭვა

**პროპილეუმი** – ღია სვეტების კოლონა შენობის შესასვლელში

**პროსკრიფცია** – კანონგარეშედ გამოცხადებულ პირთა სიები ძველ რომში

**პროტესტანტობა** – კათოლიკური ეკლესიის წიაღში აღმოცენებული სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის (კალვინიზმი, ლუთერანობა) საერთო სახელი

**პროცესია** – ხალხის მასობრივი მსვლელობა

**პტოლემეოსი** – ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი. ელინისტური ეგვიპტის დამაარსებელი და პირველი მეფე ძვ. წ. 305 წლიდან

**პტოლემეუსი** – (დაახ. 100-170 წწ) ეგვიპტელი გეოგრაფი და ასტრონომი, რომელმაც შექმნა გრადუსთა ბადის ადრეული სისტემა და შეადგინა ბევრი რუკა

**პუბლიკა** – ხალხი ლათინურად

**პუნიკური ომები** – ომები ძველ რომსა და კართაგენს შორის

**პუტჩი**–შეთქმულება სახელმწიფოს ხელისუფლების დასამხობად

**პუშკინი ალექსანდრე** – (1799-1837 წწ.) გენიალური რუსი პოეტი და მწერალი

**პუშტუ** – ავღანელთა ენა

## ჟ

**ჟაკერია** – საფრანგეთის გლეხთა აჯანყება 1358 წ.

**ჟამთააღმწერელი** – XIV ს. უცნობი ქართველი მემატიანე

**ჟანდამერია** – ევროპის ზოგიერთი ქვეყნის პოლიცია

**ჟირონდა** – საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია დეპარტამენტ ჟირონდის სახელის მიხედვით

**ჟორდანია ნოე** – (1869–1953 წწ.) ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში

## რ

**რა** –მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში

**რაბათი** – ხელოსნებით დასახლებული უბნები აზიის ქალაქებში

**რაბინი** – იუდეველთა კულტის მსახური

**რადა** – ა. სახალხო კრება ძველ რუსეთში

ბ. უკრაინის პარლამენტი

**რადამანტი** – მიწისქვეშა სამყაროს მოსამართლე ბერძნულ მითოლოგიაში

**რადიაცია** – მზის მიერ გამოსხივებული სითბო და სინათლე

**რადიკალური** – ძირეული, საფუძვლიანი

**რაზნოჩინელები** – XIX ს. რუსი ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული

**რაიმონდ ტულუზელი** – I ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე

**რაინდი** – მძიმედ აღჭურვილი მხედარი შუა საუკუნეებში. მოგვიანებით იქცა ვაჟკაცობის, გამბედაობის და პატიოსნების სიმბოლოდ

**რაიხი** – გერმანიის სახელმწიფო, იმპერია

**რაიხსტაგი** – გერმანიის პარლამენტი

**რანჩო** – ფერმა, კარ–მიდამოიანი სახლი ამერიკაში

**რასა** – საერთო წარმოშობის მქონე ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელსაც საერთო ნიშან-თვისებები ახასიათებთ

**რატიფიკაცია** – რაიმე ხელშეკრულების დამტკიცება

**რატუშა** – ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობა

რაფსოდი – მოხეტიალე მუსიკოსი ძველ საბერძნეთში

**რაყამი** – სიგელი

**რაჯა** – ტომის მეთაური ინდოეთში

**რეა** – კრონოსის ცოლი, ღმერთების დედა

**რეა სილვია** – რომის დამაარსებლების რომულუსისა და რემუსის დედა

**რეაბილიტაცია** – უსამართლოდ დასჯილის გამართლება

**რეაქციონერი** – პროგრესის მტერი

**რეგალია** – რაიმე ხელისუფლების დამადასტურებელი ნიშნები ( გვირგვინი, სკიპტრა, ტახტი. . )

**რეგიონი** – ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ან სხვა საზღვრებით შემოფარგლული სივრცე

**რეგრესი** – უკუსვლა, დაქვეითება

**რეესტრი** – სია

**რევანში** – სამაგიეროს გადახდა

**რევერსი** – ლითონის ფულის ან მედლის უკანა მხარე

**რევკომი** – რევოლუციური კომიტეტი

**რევოლუცია** – საზოგადოებრივ – პოლიტიუკური ურთიე
რთობების ძირფესვიანი ცვლილება

**რეზიდენტი** – დაზვერვის საიდუმლო აგენტი

**რეზერვაცია** – ტერიტორია, სადაც იძულებით ცხოვრობს მოსახლეობა

**რეკონკისტა**–პირინეის ნახევარკუნძულის არაბებისაგან განმათავისუფლებელი ბრძოლა

**რეკრუტი** – არმიაში გაწვეული ჯარისკაცი

**რელიგია** – ფილოსოფიურ-იდეური მსოფლმხედველობა, რომელიც აღიარებს ზებუნებრივი ძალის არსებობას

**რელიეფი** – დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა უსწორმასწორობის ერთობლიობა

**რელიკვია** – საგანი, რომელსაც მფლობელისთვის დიდი ფასი აქვს

**რელიქტური** – უძველესი გადმონაშთი ნივთი ან ორგანიზმი

**რენეგატი** – განდგომილი

**რენესანსი** – უდიდესი კულტურული აღმავლობა შუა საუკუნეების ევროპაში, აღორძინება

**რენტა** – რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა რაიმე კაპიტალი

**რეპატრიაცია** – ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნება

**რეპრესია** – სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული დასასჯელი ზომა

**რეპტილია** – ქვეწარმავალი, რომელიც წყალშიც ცხოვრობს და ხმელეთზეც

**რეჟიმი** – ცხოვრების ან სახელმწიფოს მმართველობის წესი

**რესკრიპტი** – მეფის მიერ გამოქვეყნებული წერილი ქვეშევრდომებისადმი

**რესპექტაბელური** – ღირსეული

**რესპუბლიკა** – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, როდესაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს არჩევითი პრგანო

**რესპუბლიკელი** – რესპუბლიკური წყობილების მომხრე

**რესტავრაცია** – აღდგენა

**რეფერენდუმი** – საყოველთაო სახალხო გამოკითხვა

**რეფორმა** – გარდაქმნა, რაიმე სიახლის დანერგვა

**რეფორმაცია** – XVI ს. დასავლეთ ევროპაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ

**რიტერი კარლ** – (1779-1859 წწ) გერმანელი გეოგრაფი. „დედამიწის გეოგრაფიის“ ავტორი

**რიფი** – წყალქვეშა კლდე

**რიჩარდ ლომგული** – (1159-1199 წწ) ინგლისის მეფე, რომელიც მონაწილეობდა III ჯვაროსნულ ომში

**რიქშა** – მსუბუქი ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც ადამიანია შებმული

**როზეტის ქვა** – სამენოვანწარწერიანი (ტრილინგვა) ქვა, რომლის საშუალებითაც მოხერხდა ეგვიპტური იეროგლიფების ამოკითხვა

**როდოსის კოლოსი** – მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება, პოსეიდონის უზარმაზარი ქანდაკება კუნძულ როდოსზე

**როიალიზმი** – მეფის ხელისუფლების ერთგულება

**როკოკო** – არქიტექტურული და დეკორატიული სტილი, რომელიც წარმოიშვა XVIII ს. საფრანგეთში

**რომანტიზმი** – XIX ს. ევროპაში წარმოშობილი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც წინა პლანზე აყენებდა პიროვნების ინტერესებსა და გრძნობებს

**რომი** – ქალაქი აპენინის ნახევარკუნძულზე, რომელიც მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. დაარსდა ძვ. წ. 775 წ. თანამედროვე იტალიის დედაქალაქი

**როტონდა** – გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა

**რუბიკონი** – მდინარე გალიაში, რომელიც გადალახა კეისარმა ძვ. წ. 49 წ. სენატის აკრძალვის მიუხედავად, რითიც დაიწყო სამოქალაქო ომები

**რუდიმენტი** – უფუნქციო

**რუისი** – ისტორიული სოფელი შიდა ქართლში, თანამედროვე ქარელის რაიონში, სადაც მიმდინარეობდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სხდომები 1104 წელს

**რუპია** – ფულის ერთეული ინდოეთსა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში

**რუსიფიკატორი** – რუსეთის პოლიტიკის მომხრე

**რუსუდანი** – საქართველოს მეფე 1223-1245 წლებში. თამარ მეფის ქალიშვილი

# ს

**სააბატო** – დიდი სამონასტრო ტერიტორიული ერთეული დასავლეთ ევროპაში

**საამირო** – ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეული არაბთა სახალიფოში

**სააჯო კარი** – სასამართლო ორგანო ფეოდალურ საქართველოში

**საბადო** – სასარგებლო წიაღისეულის მარაგი დედამიწაზე

**საბაოთი** – ღმერთ იაჰვეს ერთ-ერთი ეპითეტი იუდაიზმში

**საბოტაჟი** – რაიმე საქმიანობის ჩასაფუშად წინასწარ გამიზნული საქმიანობა

**საგა** – ძველი თქმულება, ლეგენდა

**სადემარკაციო ხაზი** – გამყოფი ხაზი, საზღვარი

**სადროშო** – სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალურ საქართველოში

**სადუკეველები** – რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა იუდაიზმში (ძვ. წ.IIს ახ. წ. I ს. )

**სავანა** – მცენარეებით დაფარული ვრცელი ვაკე

**საიამე ბეგარა** – საგზაო სადგურების მომსახურების მონღოლური გადასახადი

**საკე** – იაპონური ბრინჯის არაყი

**საკრალური** – რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული

**სალადინი (სალაჰ ად დინი )** – ( 1138-1193 წწ.) ეგვიპტის სულთანი

**სამაროვანი** – სასაფლაო

**სამეზობლო თემი** – არასისხლით მონათესავე გვარების გაერთიანება

**სამთა კავშირი** – სამხედრო ბლოკი, რომელშიც შედიოდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია. შეიქმნა 1882 წ.

**„სამოციანელები”** – ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა დასი XIX ს. 60-იან ი წლებიდან. „თერგდალეულები”,

**სამოქალაქო ომი** – შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოს შიგნით

**სამოციქულო ეკლესია** – ავტოკეფალური ეკლესია, რომელიც დააარსა ქრისტეს ერთ-ერთმა მოციქულმა

**სამრევლო** – ეკლესიის მრევლისთვის განკუთვნილი

**სამუმი** – უდაბნოსთვის დამახასიათებელი ცხელი და მშრალი ქარი

**სამურაი** – პრივილიგირებული სამხედრო ფენის წარმომადგენელი ფეოდალურ იაპონიაში

**სამყაროს გეოცენტრული სისტემა** – სამყაროს მოდელი, როდესაც სამყაროს ცენტრში იმყოფება დედამიწა და მის გარშემო ბრუნავს მზე და სხვა პლანეტები

**სამხედრო საბჭო** – ხელისუფლების ორგანო საქართველოში 1992 წ. იანვრიდან მარტამდე

**სან** – ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში

**სანდალი** – უქუსლო ფეხსაცმელი, რომელიც ფეხზე თასმებით მაგრდება ( გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთსა და რომში)

**სანდინისტური მთავრობა** – სოციალისტური პარტიზანული მოძრაობა ნიკარაგუაში

**სანსკრიტი** – ძველი ინდური სამწერლო ენა

**სანჯაყი** – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოსმალეთში

**სარბაზი** – ირანელი და ავღანელი ჯარისკაცი

**სარგის თმოგველი** – XII-XIII ს-ის ქართველი სახელმწიფო მოღვაწე

**სარი** – ქალის სამოსი ინდოეთში

**სარკინოზი** – არაბი, (ქართულში–მაჰმადიანი ზოგადად)

**სარკოფაგი** – ქვის კუბო

**საროსი** – მზისა და მთვარის დაბნელების განმეორადობის პერიოდი ერთი და იგივე თანმიმდევრობით

**სასანიდები** – სამეფო დინასტია ირანში III–VII სს–ში

**სასარტყელო დრო** – დროის ათვლის საერთაშორისო სისტემა, რომლის მიხედვითაც დედამიწის ზედაპირი 24 სასაათე ზონადაა დაყოფილი

**სატანა** – ავი სული, ეშმაკი

**სატიაგრაჰა** – ინდოელი ხალხის მშვიდობიანი ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ. დაუმორჩილებლობის პოლიტიკა

**სატირი** – ღმერთ დიონისეს მხლებელი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში

**სატრაპია** – პროვინცია ძველ სპარსეთში

**სატრაპი** – სატრაპიის მმართველი

**სატურნი** – ა. მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

ბ. მზის სისტემის ერთ-ერთი პლანეტა

**სატურნალიები** – სახალხო ზეიმები ძველ რომში, რომელიც მიძღვნილი იყო სატურნის პატივსაცემად

**საურავი** – გადასახადი

**საქსები** – გერმანული ტომები, რომელთა ნაწილი V–VIII ს-ში ბრიტანეთში გადასახლდა

**საწყისი მერიდიანი** – გრინვიჩის (ლონდონის მახლობლად) ობსერვატორიაზე გამავალი ნულოვანი მერიდიანი, საიდანაც ხდება მერიდიანების ათვლა

**საღვთო კავშირი** – სამხედრო კავშირი, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, ავსტრია და პრუსია. შეიქმნა 1815 წ.

**სახალხო კომისართა საბჭო** – საბჭოთა საქართველოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო

**სახალხო ტრიბუნი** – პლებეების ინტერესების დამცველი მოხელე ძველ რომში

**სახარება** – ბიბლიის ნაწილი ( ახალი აღთქმის ოთხი წიგნი იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ), ოთხწიგნეული

**სახელმწიფო სათათბირო** – არჩევითი ორგანო მეფის რუსეთში

**სახლთუხუცესი** – სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების გამგებელი ფეოდალურ საქართველოში

**სეგრეგაცია** – ადამიანების დაყოფა და განსხვავებული მოპყრობა რასის, რელიგიის ან სქესის ნიშნით

**სევასტოსი** – ბიზანტიური სამხედრო ტიტული

**სეიდი** – მუჰამედის შთამომავლების ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში

**სეიმი** – საკანონმდებლო ორგანო პოლონეთსა და ფინეთში

**სეისმოგრაფი** – დედამიწის ქერქის რყევების გასაზომი ხელსაწყო

**სეისმოლოგია** – გეოფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის რყევებს

**სეისმოლოგი** – სეისმოლოგიის სპეციალისტი

**სეკულარიზაცია** – საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად

**სელენოგრაფია** – მთვარის ზედაპირის აღწერა

**სელენოლოგი** – სელენოგრაფიის სპეციალისტი

**სელჩუკთა სახელმწიფო** – თურქული სახელმწიფო მცირე აზიაში, რომელიც დაარსა სელჩუკთა საგვარეულომ

**სემინარია** – სასულიერო სასწავლებელი

**სემირამიდას ბაღები** – მსოფლიოს ერთ-ერთი შვიდი საოცრებათაგანი, „დაკიდებული ბაღები“ ბაბილონში, რომლებიც ასირიის ლეგენდარულ დედოფალს სემირამიდას აუშენა მეუღლემ

**სემიტები** – ხალხი, რომლებიც სემიტურ ენებზე ლაპარაკობს. ბიბლიური სემის შთამომავლები

**სემიტური ენები** – მონათესავე ენები, რომლებიც გავრცელებული იყო წინა აზიის, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ნაწილში, ასურული, ბაბილონური, არამეული, ფინიკიური, არაბული, სირიული, ებრაული და სხვა

**სემიტოლოგია** – სემიტური ენებისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერება

**სენატი** – ა. ხელისუფლების უმაღლესი სახელმწიფო ორგანო ძველ რომში

ბ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა ზოგიერთ ქვეყანაში ( აშშ, ბელგია. . . )

**სენატორი** – სენატის წევრი

**სენიორი** – მსხვილი მემამულე შუა საუკუნეების ევროპაში

**სენიორ** – ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი ესპანურენოვან ქვეყნებში

**სენიორა** – ზრდილობიანი მიმართვა ქალისადმი ესპანურენოვან ქვეყნებში

**სენიორიტა** – ზრდილობიანი მიმართვა გასათხოვარი ქალისადმი ესპანურენოვან ქვეყნებში

**სენსიმონიზმი** – უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა

**სენტავო** – ხურდა ფული ზოგიერთ ქვეყანაში

**სეპარატიზმი** – გამოყოფისკენ, განცალკევებისკენ, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა

**სეპარატული ზავი** – საომარ ვითარებაში კოალიციაში მყოფი სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგესთან დადებული ზავი მოკავშირეთა თანხმობის გარეშე

**სენ-გოტარდის გვირაბი** – 15 კმ. სიგრძის გვირაბი ალპების მთებში

**სერ** – ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისურენოვან ქვეყნებში

**სერაპისი** – ელინისტური ეგვიპტის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება

**სერასქერი** – არმიის მთავარსარდალი ოსმალეთის არმიაში

**სერაფიმი** – უმაღლესი ხარისხის ანგელოზი ქრისტიანულ რელიგიაში

**სერჟანტი** – დაბალი ჩინის სამხედრო მოსამსახურე

**სესტერციუსი** – ძველი რომაული მონეტა

**სეტი (იგივე სეთი)** – ერთ-ერთი ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში, ოსირისის ძმა და მკვლელი

**სეტყვა** – ატმოსფერული ნალექი, რომელიც მოდის ყინულის მცირე ნატეხების სახით

**სეფარადები** – ებრაელები, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიაში და სხვაგან

**სეფიანები** – ყიზილბაშთა ( წითელთავიანები ) სამეფო დინასტია

**სექტა** – რელიგიური ჯგუფი, რომელიც არ აღიარებს ეკლესიის დოგმატიკას

**სექტანტი** – სექტის წევრი

**სვასტიკა** – სწორკუთხად მოხრილი ბოლოების მქონე ჯვარი, რომელიც გვხვდება ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ორნამენტებსა და მხატვრულ დეკორში; ნიშნავს მუდმივად მოძრავ სამყაროს (ფაშისტებმა გამოიყენეს ემბლემად)

**სიბა** – საფორტიფიკაციო სიმაგრეების მონღოლური სისტემა

**სიბილა** – წინასწარმეტყველი ქალის ზოგადი სახელი ძველ რომში

**სიდონი** – ფინიკიის ისტორიული ქალაქი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

**სიზიფეს შრომა** – დაუსრულებელი, მძიმე შრომა (კორინთოს მითოლოგიური მეფის სახელიდან, რომელიც ღმერთებმა დასაჯეს–მას მაღალ მთაზე უნდა აეგორებინა მძიმე ქვა, რომელიც მწვერვალზე ატანისთანავე უკან გორდებოდა )

**სითბური ბალანსი** – დედამიწის ზედაპირზე შემოსული და გასული ენერგიების თანაფარდობა

**სიკლი** – ფულისა და წონის ერთეული ძველ აღმოსავლეთში

**სიკოფანთი** – ჯაშუშის ზოგადი სახელი ძველ საბერძნეთში

**სილაბური დამწერლობა** – დამწერლობის სახე, რომელშიც ცალკე ნიშანი გამოხატავს მარცვალს და არა ბგერას

**სილურული პერიოდი** – დედამიწის გეოლოგიური ისტორიის პალეოზოური ერის მესამე პერიოდი

**სიმაქია** – სამხედრო კავშირი ცალკეულ პოლისთა შორის ძველ საბერძნეთში

**სიმბოლიზმი** – მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში

**სიმბოლო** – საგანი, ნიშანი, მოქმედება. . . რაც მიჩნეულია რაიმეს პირობით ნიშნად

**სიმონია** – თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა

**სინას მთა** – მთა სინას უდაბნოში, სადაც მოსეს ებოძა ათი მცნება

**სინაგოგა** – სალოცავი სახლი იუდაურ რელიგიაში

**სინანთროპი** – უძველესი ადამიანი, რომლის ნაშთები იპოვეს ჩინეთში

**სინდიკატი** – რამდენიმე ბანკის დროებითი გაერთიანება მსხვილი ოპერაციის განსახორციელებლად

**სინედრიონი** – უხუცესთა საბჭო იუდეაში

**სინიორ** – ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი იტალიაში

**სინიორა** – ზრდილობიანი მიმართვა ქალისადმი იტალიაში

**სინიორინა** – ზრდილობიანი მიმართვა გაუთხოვარი ქალისადმი იტალიაში

**სინკრეტიზმი** – ერთიანად, შერწყმულად არსებობა

**სინოდი** – ა. კოლეგიალური ორგანო რუსეთის ეკლესიაში

ბ. სათათბირო ორგანო სრულიად რუსეთის პატრიარქთან და სრულიად საქართველოს პატრიარქთან

გ. საერო და სასულიერო პირთა კრება პროტესტანტულ ეკლესიაში

**სინოლოგია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ჩინურ კულტურას, ხელოვნებას, ისტორიას და სხვა

**სინოპტიკა** – მეცნიერება ამინდის წინასწარი გამოცნობის შესახებ

**სინოპტიკოსი** – სპეციალისტი, რომელიც ამინდის წინასწარ პროგნოზს იძლევა, მეტეოროლოგი

**სინტოიზმი** – იაპონელთა ყველაზე ძველი რელიგია

**სინხუა** – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საინფორმაციო ბიურო

**სიოგუნი** – მხედართმთავარი იაპონიაში

**სიონიზმი** – ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც ჩამოყალიბდა 1897 წ. ქ. ბაზელში, და რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიოს ყველა ებრაელის პალესტინაში გადასახლებას და ებრაული სახელმწიფოს შექმნას

**სირ** – მეფისადმი მიმართვა საფრანგეთში

**სირია** – ქვეყანა დასავლეთ აზიაში

**სირინოზი** – ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში,,რომელსაც თევზის ბოლო და ქალის თავი ჰქონდა. მომხიბვლელი ხმით იტყუებდა და ღუპავდა მეზღვაურებს

**სირიუსი** – ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი

**სიროკო** – თბილი და მშრალი ქარი, რომელიც ქრის ხმელთაშუა ზღვაზე

**სირტაკი** – ბერძნული ნაციონალური ცეკვა

**სისიტიები** – სავალდებულო, საერთო პურის ჭამა ძველ საბერძნეთში

**სიტი** – ქალაქი, ცენტრი

**სიუზერენი** – მსხვილი ფეოდალი შუა საუკუნეების ევროპაში, რომელსაც ჰყავდა თავისი ვასალები და სარგებლობდა ერთპიროვნული უფლებით

**სიურრეალიზმი** – მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელიც შემოქმედების წყაროდ აღიარებს ქვეცნობიერებას

**სიფაები** – ევროპელების მიერ დაქირავებული ადგილობრივი ჯარისკაცები ინდოეთში

**სიცილია** – კუნძული ხმელთაშუა ზღვაში

**სიქიზმი** – ერთ-ერთი ინდური რელიგია, წარმოიშვა XVI ს-ში პენჯაბში, როგორც ინდუიზმის სექტა

**სკანდინავია** – ევროპის უდიდესი ნახევარკუნძული (ფართობი 800 ათასი კმ/2)

**სკვითები** – აზიიდან მოსული ხალხი, რომლებიც მომთაბარეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსეთის ტერიტორიაზე. ძვ. წ. IV ს–ში მათ ჩამოაყალიბეს სკვითების სამეფო

**სკიპტრა** – მეფის ხელისუფლების ერთ-ერთი სიმბოლო, კვერთხი

**სკლიაროსი ბარდას** – X ს-ის ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც აუჯანყდა იმპერატორ ბასილის

**სმერჩი** – დამანგრეველი ქარბორბალა

**სოგდიანა** – ისტორიული ოლქი შუა აზიაში

**სოდომი და გომორი** – ბიბლიური ქალაქები, რომლებიც ღმერთმა დასაჯა ცოდვების გამო

**სოლდო** – იტალიური ფული

**სოლონი** – ძველი საბერძნეთის კანონმდებელი, არქონტი ძვ. წ. 594 წლიდან

**სოფიზმი** – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ჩაისახა ძველ საბერძნეთში ძვ. წ. V–IV სს–ში

**სოფისტი** – სოფიზმის მიმდევარი

**სოციალ-დემოკრატია** – პოლიტიკური მიმდინარეობა

**სოციალიზმი** – საზოგადოებრივი მიმდინარეობა, რომელიც ქადაგებს სოციალურ თანასწორობას

**სოციოლოგია** – მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ

**სპარტა** – ქალაქ-სახელმწიფო პელოპონესის ნახევარკუნძულზე

**სპარტაკი** – მონათა აჯანყების ბელადი რომში ძვ. წ. I ს–ში

**სპასპეტი** – მხედართმთავარი

**სპელეოლოგია** – მეცნიერება გამოქვაბულებისა და მღვიმეების შესახებ

**სპელეოლოგი** – სპელეოლოგიის სპეციალისტი

**სპერი** – ძველი ქართული პროვინცია

**სპიკერი** – მეთაური

**სპირიტიზმი** – რწმენა, რომ შეიძლება მიცვალებულთა სულების გამოძახება მათთან ურთიერთობის დასამყარებლად

**სრუტე** – წყლის ვიწრო ზოლი, რომელსაც ესაზღვრება კონტინენტის ან კუნძულის ნაპირი

**სტაგნაცია** – ერთ ადგილას გაჩერება

**სტალაგმიტი** – კირიანი წყლის წვეთებისაგან გაჩენილი ზემოთ მიმართული კონუსისებური სვეტად აღმართული შვერილი გამოქვაბულში

**სტალაქტიტი** – კირიანი წყლის წვეთებისაგან გაჩენილი ქვემოთ მიმართული კონუსისებური სვეტად ჩამოგრძელებული შვერილი გამოქვაბულში

**სტალინი** – (1879–1953წწ.) იოსებ ჯუღაშვილის ზედწოდება. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი

**სტამბოლი** – ისტორიული კონსტანტინეპოლი

**სტანიცა** – კაზაკთა სოფელი

**სტაროაბრიადები** –(ძველი ტრადიციების მიმდევრები) ქრისტიანული სექტა რუსეთში

**სტაროვერები** – (ძველი რწმენის მიმდევრები ქრისტიანული სექტა რუსეთში

**სტატუს ქვო** – მდგომარეობა, რომელიც იყო რაღაც მოვლენამდე

**სტატერი** – წონისა და ფულის ერთეული ძველ სამყაროში

**სტატუა** – ქანდაკება

**სტელა** – ქვის ფილა, რომელზეც გამოსახულება ან წარწერაა მოთავსებული

**სტეპი** – ზომიერი სარტყლის ბუნებრივი ზონები, რომლებიც დაფარულია ბალახეულით

**სტერლინგი** – ინგლისური ფულის ერთეული

**სტიგმა** – მონის სხეულზე გაკეთებული დამღა ძველ საბერძნეთში

**სტიქია** – ა. ბუნების მძლავრი მოვლენა, დამანგრეველი ძალა

ბ. ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი (ჰაერი, წყალი, მიწა ან ცეცხლი)

**სტიქსი** – მიწისქვეშეთის მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში

**სტოიციზმი** – ფილოსოფიური მიმდინარეობა, წარმოიშვა ძველ საბერძნეთში ძვ.წ. IV ს-ია ბოლოს

**სტოიკოსი** – სტოიციზმის მიმდევარი

**სტოლოპინის აგრარული რეფორმა** – 1906-1910 წლებში რუსეთში მიმდინარე რეფორმა, რომლითაც გლეხს შეეძლო მიწის დაკანონება

**სტრაბონი** – ძველი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი (ძვ.წ. 64–ახ.წ. 20წწ.) . მის კალამს ეკუთვნის „გეოგრაფია“

**სტრატეგია** – რაიმე პროცესის წარმართვის ხელოვნება

**სტრატიგრაფია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ქანების დაშრევებას და დედამიწის ქერქის ფენების წარმოშობის საკითხს

**სტრატოსფერო** – ატმოსფეროს ზედა ფენა

**სუბმარინი** – წყალქვეშა ნავი

**სუბორდინაცია** – თანამდებობრივი დამოკიდებულება, იერარქია

**სუბრეგიონი** – შედარებით მცირე ისტორიულ –გეოგრაფიული რეგიონი, ქვერეგიონი

**სუბსიდია** – თანხა, რომლითაც სახელმწიფო დახმარებას უწევს ვინმეს

**სუბსტრატი** – რაიმე მოვლენათა საერთო საფუძველი

**სუბტროპიკები** – დედამიწის სფეროს ორი ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონა, რომლებიც ჩრდილოეთითა და სამხრეთით აკრავს ტროპიკებს

**სუვერენიტეტი** – დამოუკიდებლობა

**სუზა** – აქემენიდების უძველესი ქალაქი

**სუკი** – უშიშროების კომიტეტის აბრავიატურა სსრკ–ში

**სულთანი** – მეფის ტიტული ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში

**სუმბატ დავითის ძე** – XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი

**სუნა** – „წმინდა თქმულება“ მუსლიმურ რელიგიაში, რომელიც მიეწერება მუჰამედს

**სუნიტები** – ისლამის მიმდინარეობა, რომელიც ყურანთან ერთად აღიარებს სუნასაც

**სურა** – ყურანის ცალკეული თავი ( სულ არის 114 სურა)

**სუფიზმი** – ასკეტური მიმდინარეობა ისლამში, წარმოიშვა VIIIს-ში

**სუფია** – დარვიში, განდეგილი

**სფინქსი** – ა. ლომისტანიანი და ქალისთავიანი არსება ბერძნულ მითოლოგიაში

ბ. უზარმაზარი ქვის ფიგურების (ადამიანის სახის მქონე ლომების) ზოგადი გამოსახულება

**სფრაგისტიკა** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ბეჭდებს

**სქიზმა** – განხეთქილება

**სქოლასტიკა** – შუა საუკუნეებში გაბატონებული ფილოსოფიური მიმდინარეობა

**სცილა და ქარიბდა** – პლანქტონები

# ტ

**ტაბელი** – რაიმე ცხრილი ან დაფა

**ტაბორი** – მომთაბარე ბოშათა ჯგუფი

**ტაბუ** – ვკრძალავ, რაიმეს აკრძალვა

**ტაიგა** – ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში

**ტაიპინები** – გლეხთა ომის მონაწილეები ჩინეთში 1851-1864 წწ.

**ტაიფუნი** – გამანადგურებელი ქარიშხალი

**ტალანტი** – ა. განსაკუთრებული ნიჭი
ბ. საზომი ერთეული ძველად
( დაახლოებით 26 კგ.)

**ტალერი** – ძველებური გერმანული ვარცხლის ფული

**ტალიონის პრინციპი** – სასჯელის ზომა, რომელიც გულისხმობს „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“

**ტამპლიერები** – ერთ-ერთი კათოლიკური ბერ-მონაზვნური ორდენის წარმომადგენლები შუა საუკუნეების ევროპაში

**ტამტამი** – დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი

**ტანაისი** – მდინარე დონის ძველი სახელი

**ტანტალოსი** – ლიდიის მეფე, რომელიც ღმერთებმა დასაჯეს მარადიული შიმშილითა და წყურვილით

**ტაო-კლარჯეთი** – ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

**ტაოხები** – ქართველური ტომები

**ტარანი** – კედლის სანგრევი საბრძოლო მანქანა

**ტაუერი** – სამეფო ციხე-დარბაზი ინგლისში. აგებულია XVI–XVII სს-ში

**ტაფონომია** – პალეონტოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს განათხარი ორგანიზმების ადგილსამყოფელს

**ტბა** – ღრმული ხმელეთზე, რომელიც წყლითაა ამოვსებული

**ტევტონები** – ძველი გერმანული ტომები

**ტევტონთა ორდენი** – რაინდთა ორდენი შუა საუკუნეებში

**ტელესკოპი** – ციურ სხეულებზე დასაკვირვებელი ხელსაწყო

**ტელემაქე** – ოდისევსის შვილი

**ტემენოსი** – მიწის ნაკვეთი ძველ საბერძნეთში

**ტემპერატურის ამპლიტუდა** – სხვაობა დღე-ღამის უდიდეს ტემპერატურებს შორის

**ტენოჩტიტლანი** – აცტეკების დედაქალაქი, თანამედროვე მეხიკო

**ტერაკოტა** – გამომწვარი თიხა

**ტერიტორიული წყლები** – სახელმწიფოს მოსაზღვრე წყლების რესურსი, რომელსაც აკონტროლებს მოცემული სახელმწიფო

**ტერორი** – ფიზიკური ძალადობა მოწინააღმდეგის წინააღმდეგ

**ტერტერა** – სომეხი მღვდელი

**ტეტრარქია** – ოთხთა მმართველობა

**ტერფსიხორა** – ცეკვისა და გუნდური გალობის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში

**ტექტონიკა** – გეოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ქანების განლაგებას და სტრუქტურას

**ტიან** – ზრდილობიანი მიმართვა ქალისადმი იაპონიაში

**ტიანანმინი** – პეკინის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი

**ტიარა** – ა. სამეფო თავსაბური ძველ აღმოსავლეთში
ბ. რომის პაპის გვირგვინი

**ტიბრი** – მდინარე იტალიაში,რომელზეც გაშენებულია ქალაქი რომი

**ტიპიკონი** – საეკლესიო წესების კრებული

**ტირადა** – პათოსით წარმოთქმული მონოლოგი

**ტირანი** – ა. მმართველი, რომელიც ძალადობით მართავს ქვეყანას

ბ. პოლისის ერთპიროვნული მმართველი

**ტირანია** – ძალადობაზე დამყარებული მმართველობის ფორმა

**ტიტანები** – ურანოსისა და გეას შვილები ბერძნულ მითოლოგიაში, რომლებიც შეებრძოლნენ ღმერთებს

**ტიტული** – წოდება

**ტიფონი** – გეასა და ტარტაროსის უმცროსი ვაჟი, ცეცხლისმფრქვეველი ასთავიანი გველეშაპი, რომელიც დაამარცხა ზევსმა და დააფარა ზემოდან ეტნას მთა

**ტოგა** – გრძელი თეთრი რომაული სამოსი

**ტოლერანტი** – მომთმენი, შემწყნარებელი

**ტომაჰავკი** – ჩრდილოეთამერიკელ ინდიელთა საბრძოლო იარაღი

**ტოპოგრაფია** – გეოდეზიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ზედაპირს

**ტოპონიმი** – გეოგრაფიული ადგილის სახელი

**ტოპონიმიკა** – ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს გეოგრაფიული ადგილების სახელებს

**ტორნადო** – დამანგრეველი ძალის მქონე ქარი

**ტორფი** – მკვდარი მცენარეული მასით წარმოქმნილი მკვრივი მასა

**ტოტალიტარული** – რეჟიმი, რომელიც ძალადობაზეა დაფუძნებული

**ტოტემი** – ცხოველი, ფრინველი ან მცენარე, რომელიც საერთო წინაპრად მიაჩნდათ და პატივს სცემდნენ

**ტოტემიზმი** – უძველესი რელიგიური ფორმა, როცა სწამთ, რომ ადამიანთა ჯგუფს საერთო წინაპარი ჰყავს ცხოველის, ფრინველის ან იშვიათად მცენარის სახით

**ტრადიცია** – ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული წესი, ადათი

**ტრანსფერი** – ფასიანი ქაღალდების ან რაიმეს გაცვლა

**ტრაპეზი** – ა. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში
ბ. სადილი, ნადიმი

**ტრაპიზონი** – ისტორიული ქალაქი თურქეთის ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპიროზე

**„ტრასეკა"** – ევროპა-კავკასიის სატრანსპორტო დერეფანი

ტრაქტატი – ხელშეკრულება

**ტრედუნიონი** – პროფკავშირების სახელი ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყნებში

**ტრიადა** – სამეული

**ტრიბა** – ტომობრივ-ტერიტორიული ერთეული ძველ რომში

**ტრიბუნა** – ამაღლებული ადგილი ორატორისათვის

**ტრიბუნი** – თანამდებობა ძველ რომში

**ტრიბუნალი** – საგანგებო სასამართლო

**ტრიერი** – სამ იარუსად განლაგებული ნიჩბებით აღჭურვილი ხომალდი

**ტრიკლინიუმი** – სასადილო ოთახი ძველ რომში

**ტრიპტიქი** – სამად მოკეცილი ხატი

**ტრირემი** – იგივეა, რაც ტრიერი

**ტრიტონი** – ზღვის ერთ-ერთი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში

**ტრიუმვირატი** – სამთა კავშირი

**ტრიუმფი** – საზეიმო შეხვედრა, რომელსაც ძველ რომში უმართავდნენ ბრძოლაში გამარჯვებულ სარდალს და მის ჯარს

**ტრიუმფატორი** – გამარჯვებული სარდალი, რომელსაც ზეიმით ხვდებოდნენ

**ტროა** – ძველი ქალაქი მცირე აზიაში (ილიონი)

**ტროას ცხენი** – ხის ცხენი, რომელიც გახდა ქალაქის დაცემის მიზეზი

**ტროპარი** – სალოცავი გალობა მართლმადიდებელ ეკლესიაში

**ტროპიკები** – ეკვატორის პარალელური, მისგან ჩრდილოეთითა და სამხრეთით დაშორებული ორი წარმოსახვითი წრე დედამიწის ზედაპირზე

**ტროპოსფერო** – დედამიწის ატმოსფეროს ზედა ნაწილი

**ტროფეი** – გამარჯვებულის მიერ ომში მოპოვებული სამხედრო ქონება

**ტროცკიზმი** – მენშევიზმის ნაირსახეობა

**ტუნდრა** – არქტიკული სარტყლის სამხრეთი ზონა, უტყეო სივრცე მარადიული ყინულით

**ტუნიკა** – ძველი რომაელების სამოსი, რომელსაც ტოგის ქვეშ იცვამდნენ

**ტურიზმი** – მოგზაურობა ამა თუ იმ მხარის, ქვეყნის გაცნობის მიზნით

## უ

**უაზნო** – უგვარო, დაბალი სოციალური ფენა

**უბე** – ოკეანის, ზღვის ან ტბის ნაწილი, რომელიც ხმელეთშია შეჭრილი

**უდაბნო** – ვრცელი ტერიტორია, რომელზეც ჰავის სიმშრალის გამო არ არის მცენარეული საფარი

**უზურპატორი** – პირი, რომელმაც ძალით მიითვისა ხელისუფლება

**უზურპაცია** – ხელისუფლების მითვისება

**უთნაფიშთიმი** – გილგამეშის ეპოსის პერსონაჟი

**ულტიმატუმი** – კატეგორიული მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელია დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა

**ულუ** – მონღოლურად უფროსი

**ულუმბო** – იგივე ოლიმპოს მთა

**ულუსი** – მონღოლების ან თურქი მომთაბარე ტომების ბანაკი ან ტერიტორიული ერთეული

**უმა** – ქალაქი ძველ შუმერში

**უნია** – გაერთიანება, კავშირი

**უნიატები** – საეკლესიო უნიის მიმდევრები

**უნივერსიტეტი** – უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც აქვს ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები

**უნიკუმი** – ძალიან იშვიათი რამ

**უნიტარული** – მთლიანი, ერთიანი

**უნიფორმა** – სპეც. ტანსაცმელი

**უნცია** – წონის ერთეული ძველ რომში

**ურანია** – ა. ასტრონომიის მფარველი მუზა ბერძნულ მითოლოგიაში

ბ. აფროდიტეს ეპითეტი

**ურანოსი** – ცის ღმერთი, გეას შვილი ბერძნული მითოლოგიაში

**ურარტუ** – სახელმწიფო ამიერკავკასიაში ძვ. წ. IX–VI სს.

**ურბან II** – რომის პაპი, რომლმაც მოუწოდა ევროპელ ქრისტიანებს ჯვაროსნული ომებისაკენ

**ურბანიზაცია** – მოსახლეობის თავმოყრა მსხვილ ქალაქებში სამრეწველო საწარმოებში დასაქმების მიზნით

**უტილიტარიზმი** – მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის მორალის საფუძვლად უდევს რაიმე სარგებლიანობის პრინციპი

**ურდო** – თურქულ–მონღოლური სამხედრო ბანაკი

**უტოპია** – განუხორციელებელი, ფანტასტიკური

**უტოპიური** – რეალურ საფუძველს მოკლებულ შეხედულებაზე დაყრდნობილი

**უტრირება** – გაზვიადება

**უღელტეხილი** – მოპირდაპირე მხარის დამაკავშირებელი ქედის შედარებით დაბალი ნაწილი

**უძლეველი არმადა** – ესპანელთა საზღვაო ფლოტი XVI ს.

# ფ

**ფადიშაჰი** – მონარქის ტიტული აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში

**ფაეტონი** – მზის ღმერთის, ჰელიოსის ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში

**ფავნუსი** – ნაყოფიერების, მინდვრებისა და ტყეების მფარველი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

**ფავორიტი** – მფარველი – კეთილგანწყობილი

**ფაიანსი** – მინერალური მასა, რომლისგანაც ჭურჭელს ამზადებდნენ, ქაშანური

**ფაზისი** – ა. ბერძნული ახალშენი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე თანამედროვე ფოთთან ახლოს

ბ. მდინარე რიონის ძველი სახელწოდება

**ფაკირი** – მოხეტიალე მუსლიმი ბერი

**ფალანგა** – ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა ძველ საბერძნეთში დაიხვეწა ფილიპე II მაკედონელმა ძვ. წ. IV ს–ში

**ფალერისტიკა** – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ორდენებს, სამხედრო ჯილდოებს და სხვა

**ფალსიფიცირებული** – ყალბი

**ფანატიკოსი** – რაიმე რწმენით უაღრესად გატაცებული ადამიანი

**ფარავანი** – ტბა ჯავახეთში

**ფარაონი** – ძველი ეგვიპტის მეფეთა ტიტული

**ფარანჯა** – წამოსასხამი, რომელსაც მუსლიმი ქალები ატარებდნენ

**ფატალური** – გარდაუვალი, საბედისწერო

**ფაუნა** – ცხოველთა სამყარო

**ფაუნისტიკა** – ზოოგეოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის ცხოველთა სახეობების გავრცელებას დედამიწაზე

**ფაუსტი** – გერმანული მითოლოგიური გმირი, რომელმაც კავშირი შეკრა ეშმაკთან, რათა მისგან მიეღო ცოდნა და ამქვეყნიური სიმდიდრე

**ფაქსიმილე** – ხელნაწერის, ხელმოწერის ზუსტი პირი, რომელიც დამოწმებულია

**ფაქტორია** – უცხოელი ვაჭრების ახალშენი სხვა ქვეყანაში

**ფაშა** – უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო პირის ტიტული ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში, საფაშოს გამგებელი

**ფაშიზმი** – რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ქადაგებს რასიზმს, შოვინიზმს

**ფაშისტი** – ფაშიზმის მომხრე

**ფედერალური** – რამდენიმე თანასწორუფლებიანი სახელმწიფოსგან შემდგარი კავშირი

**ფედერატები** – ძველი რომის მოკავშირეები

**ფელაჰი** – მკვიდრი გლეხი ეგვიპტეში

**ფელდმარშალი** – გენერლის უმაღლესი ჩინი

**ფენიქსი** – მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი მითიური ფრინველი

**ფეოდი** – მემკვიდრეობითი ადგილ-მამული, რომელსაც სამხედრო ან სხვა სამსახურის გამო ჰქონდა მიღებული ვასალს სენიორისგან შუა საუკუნეების ევროპაში

**ფეოდალიზმი** – საზოგადოებრივი წყობილება, რომლის დროსაც ფეოდალს ეკუთვნის წარმოების საშუალებები

**ფერია** – ზღაპრული არსება

**ფერმა** – კერძო სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი

**ფერმერი** – ფერმის მფლობელი

**ფეტიში** – უსულო საგანი, რომელსაც მიაწერენ ზებუნებრივ, მაგიურ ძალას

**ფეტიშიზმი** – ერთ-ერთი უძველესი რელიგიური ფორმა, რომლის დროსაც თაყვანს სცემენ უსულო საგნებს

**ფეციალები** – ქურუმთა კოლეგიის წევრები ძველ რომში

**ფეჰლევი** – ირანის ერთ-ერთი სამეფო დინასტია

**ფიასკო** – სრული მარცხი

**ფიდე** – საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია. დაარსდა 1924 წ.

**ფიესტა** – ზეიმი ესპანურენოვან ქვეყნებში

**ფიზიკური გეოგრაფია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბუნებრივ მოვლენებსა და პროცესებს

**ფიზიოლოგია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალ ორგანიზმებს

**ფილანთროპი** – ქველმოქმედი

**ფილატელისტიკა** – საფოსტო მარკების შეგროვება

**ფილატელისტი** – პირი, ვინც ფილატელისტიკას მისდევს

**ფილე** – ტომი ძველ საბერძნეთში. შედგებოდა სამი ფრატრიისაგან

**ფილეები** – ტომთა გაერთიანებები ძველ საბერძნეთში

**ფილიგრანი** – საიუველირო ნაწარმზე შესრულებული ორნამენტი

**ფილიპე II** – (ძვ.წ. 382-336 წწ.) მაკედონიის მეფე, ალექსანდრე დიდის მამა

**ფილიპიკა** – მკაცრი, მამხილებელი სიტყვა

**ფილოლოგია** – ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერება

**ფილოლოგი** – ფილოლოგიის სპეციალისტი

**ფილოსოფია** – მოძღვრება ბუნების, ადამიანთა საზოგადოების განვითარებისა და აზროვნების უზოგადესი **კანონების შესახებ**

**ფილოსოფოსი** – ფილოსოფიის სპეციალისტი

**ფინიკია** – ქვეყანა ძველ აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

**ფიონი** – თბილი, მშრალი ქარი, რომელიც მთიან რეგიონებს ახასიათებს

**ფირმანი** – ზოგიერთი მაჰმადიანური ქვეყნის მმართველის ბრძანებულება

**ფისკალური** – სახაზინო

**ფიურერი** – ბელადი გერმანულად

**ფიფა** – ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია. დაარსდა 1904 წ.

**ფლაგმანი** – სამხედრო ესკადრის ყველაზე დიდი და საუკეთესო ხომალდი, რომელზეც იმყოფება სარდალი

**ფლაგშტოკი** – ძელი, რომელზეც მაგრდება ალამი

**ფლანგი** – ა. ძირითად კორპუსს მიშენებული მცირე ზომის შენობა

ბ. სამხედრო დაჯგუფება ფრონტის ხაზე

**ფლორა** – მცენარეულობა

**ფლორინი** – ოქროს ან ვერცხლის ფული შუა საუკუნეების ფლორენციაში

**ფლოტი** – ხომალდების ერთობლიობა

**ფლუგერი** – ქარის მიმართულების საზომი ხელსაწყო

**ფოლიანტი** – ძველი დროის დიდი წიგნი

**ფოლკლორი** – ხალხური ზეპირსიტყვიერება

**ფოლკლორისტიკა** – მეცნიერება ფოლკლორის შესახებ

**ფოლორცი** – ქვაფენილი ძველ ქართულში

**ფონოთეკა** – ხმის ჩანაწერების საცავი

**ფორმაცია** – განვითარების ხანგრძლივი სტადია

**ფორპოსტი** – მოწინავე პოზიცია

**ფორტიფიკაცია** – მეცნიერება სამხედრო საინჟინრო ნაგებობათა შესახებ

**ფორტუნა** – ბედ-იღბლის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში

**ფორუმი** – მოედანი ძველ რომში, სადაც იმართებოდა სახალხო კრებები და სხვა თავყრილობები

**ფოტოთეკა** – ფოტოდოკუმენტების საცავი, არქივი

**ფოტოსინტეზი** – მცენარეული უჯრედების მიერ ორგანული ნივთიერების გამოყოფის პროცესი მზის ენერგიის ხარჯზე

**ფოტოსფერო** – მზის ატმოსფეროს ქვედა ფენა, რომელიც ქმნის მზის ხილულ კაშკაშა ზედაპირს

**ფრანკები** – ძველი გერმანული ტომები, რომლებმაც V–VI საუკუნეებში დაიპყრეს თითქმის მთელი გალია და შექმნეს სახელმწიფო, რომელმაც 843 წლამდე იარსება

**ფრანკო** – ესპანელ ფაშისტთა ბელადი

**ფრანცისკანელები** – ერთ-ერთი კათოლიკური ბერმონაზვნური ორდენის წევრები. ორდენი შეიქმნა XIII ს.–ში იტალიაში

**ფრატრია** – რამდენიმე გვარის გაერთიანება ძველ საბერძნეთში

**ფრაქცია** – პოლიტიკური პარტიის ან პარლამენტის შიგნით არსებული დაჯგუფება

**ფრეგატი** – საზღვაო ხომალდი

**ფრეილინა** – დედოფლის თანმხლები გაუთხოვარი ქალი სამეფო კარზე

**ფრესკა** – სველ ბათქაშზე შესრულებული ფერადი ნახატი

**ფრიზი** – არქიტექტურული დეტალი

**ფრიმერი** – საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრის მიხედვით წლის მესამე თვე (21-23 ნოემბრიდან 20-22 დეკემბრამდე)

**ფრიქსე** – ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში. აიეტის სიძე

**ფროიდი ზიგმუნდ** – ავსტრიელი ექიმი და ფსიქოლოგი (1856-1939 წწ), ფროიდიზმის ფუძემდებელი

**ფროიდიზმი** – მოძღვრება , რომელიც ადამიანის ქცევის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს ბიოლოგიურ ინსტიქტებს

**ფროილაინ** – გაუთხოვარი ქალისადმი მიმართვა გერმანულენოვან ქვეყნებში

**ფრონტი** – საომარი მოქმედების არე

**ფსალმუნი** – რელიგიური საგალობელი

**ფსევდო** – ცრუ. ყალბი

**ფსიქე** – ადამიანის სულის განსახიერება ბერძნულ მითოლოგიაში

**ფსიქოლოგია** – მეცნიერება ადამიანის ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერების შესახებ

**ფსიქოლოგი** – ფსიქოლოგიის სპეციალისტი

**ფუნდამენტი** – შენობის საძირკველი

**ფურია** – შურისძიების ღმერთქალი რომაულ მითოლოგიაში

**ფურორი** – საჯარო წარმატება

**ფუტი** – სიგრძის საზომი ერთეული ინგლისში ( 30,5 სმ )

**ფხოვი** – ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება

# ქ

**ქააბა** – მუსლიმთა უმთავრესი სალოცავი არაბეთის ნახევარკუნძულზე, ქ. მექაში

**ქალკედონიტობა** – დიოფიზიტობა. ქ. ქალკედონის საეკლესიო კრების მიხედვით

**ქალკიოპე** – აიეტის ქალიშვილი, მედეას და. ფრიქსეს მეუღლე

**ქამი** – ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი

**ქამიტური ენები** – აფრიკაში გავრცელებული ენების ჯგუფი ( ბერბერების, კოპტების, ძველი ეგვიპტელების და სხვა)

**ქანაანელები** – ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები სემიტი ტომები

**ქანი** – სხვადასხვა მინერალებისაგან შემდგარი მასა

**ქაოსი** – უსასრულო სივრცე, უწესრიგობა, რომლისაგანაც წარმოიშვა ყველაფერი არსებული ბერძნული მითოლოგიის მიხედვით

**ქარბუქი** – ჰაერის ცივი მასების შემოჭრით გამოწვეული ძლიერი ქარი

**ქარვასლა** – ვაჭართა ან მოქარავნეთა ღამის გასათევი ან სავაჭრო ადგილი

**ქარი** – ჰაერის მასების ჰორიზონტალური გადაადგილება

**„ქართლის ცხოვრება"** – ქართულ საისტორიო თხზულებათა კრებული

**ქარიტები** – სილამაზისა და მხიარულების სამი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**ქარონი** – მენავე ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც მიწისქვეშა მდინარე სტიქსზე გადაყავდა მიცვალებულთა სულები

**ქარტია** – სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი

**ქვანახშირი** – მცენარეული წარმოშობის სათბობის სახეობა, რომელიც შეიცავს 70-95 %-მდე ნახშირბადს

**ქიმერა** – ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული ბერძნულ მითოლოგიაში

**ქირომანტია** – ხელისგულების მიხედვით მკითხაობა

**ქირომანტი** – პირი, რომელიც ქირომანტიას მისდევს

**ქიტონი** – სამოსი ძველ საბერძნეთში. წარმოადგენდა გრძელ სელის ან მატყლის პერანგს

**ქიფური** – მონანიების დღესასწაული ებრაელებთან

**ქნესეთი** – ისრაელის პარლამენტის სახელწოდება

**ქორალი** – კათოლიკეთა და პროტესტანტთა რელიგიური საგალობელი

**ქორეპისკოპოსი** – მთავარი ეპისკოპოსის თანაშემწე

**ქორო** – მომღერალთა გუნდი

**ქორონიკონი** – წელთაღრიცხვის სისტემა, რომელიც საქართველოში იყო მიღებული შუა საუკუნეებში. ქართული ქორონიკონი ანუ ერთი მოქცევა შეიცავს 532 წელს

**ქრესტომათია** – სახელმძღვანელო, რომელშიც შეტანილია ლიტერატურული ან მეცნიერული მეცნიერული თხზულებები ან ნაწყვეტები ამ თხზულებიდან

**ქრიზე** – აპოლონის ქურუმი „ილიადაში"

**ქრიზეიდა** – ქრიზეს ქალიშვილი

**ქრონისტი** – ქრონიკის შემდგენელი

**ქრონიკა** – მატიანე

**ქრონოსი** – დროის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში

**ქრონოლოგია** – მეცნიერება დროის გაზომვის შესახებ

**ქსენონი** – საავადმყოფო შუა საუკუნეების საქართველოში

**ქსენოფილია** – უცხოურის და უცხოელების გადამეტებული სიყვარული

**ქსენოფობია** – უცხოურის და უცხოელების გადამეტებული სიძულვილი

**ქსენძი** – კათოლიკე მღვდელი პოლონეთში

**ქულბაქი** – კეთილმოწყობილი სავაჭრო უბანი

**ქურუმი** – კულტის მსახური

**ქშატრიები** – სამხედრო არისტოკრატია ძველ ინდოეთში

## ღ

**ღაზნევიდები** – ავღანური სამხედრო დინასტია X–XII სს

**ღალა** – მარცვლეულის გადასახადი

**ღამე** – დრო, რომლის განმავლობაში მზე იმყოფება ჰორიზონტის ქვემოთ

**ღართისკარი** –ძველი მცხეთის ერთ-ერთი უბანი და კარიბჭე

**ღელვა** – ტალღების მოძრაობა ზღვაში ან ოკეანეში

**ღვარცოფი** – კოკისპირული წვიმის ან თოვლის უეცარი დნობით გამოწვეული ტალახისა და ქვების ნარევი

**ღრუბელი** – ატმოსფეროს მნიშვნელოვან სიმაღლეზე დაგროვილი წყლის უწვრილესი წვეთები

## ყ

**ყადი** – მუსლიმი მსაჯული

**ყაენი** – მონარქის ტიტული მონღოლეთში

**ყაზარმა** – სამხედრო ნაწილის საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა

**ყარაყორუმი** – ძველი მონღოლური სახელმწიფოს დედაქალაქი. 1220 წელს დაარსა ჩინგიზ ხანმა

**ყაფჩერი** – მონღოლური გადასახადი პირუტყვის სულადობაზე

**ყაჯარები** – ირანის სამეფო დინასტია XVIII– XX სს

**ყივჩაღები** – თურქული მოდგმის ტომი. სახლობდნენ რუსეთის სტეპებში, მდინარე ვოლგიდან მდინარე დნეპრამდე

**ყიზილბაშები** – „წითელთავიანები” . თურქ მომთაბარეთა ტომები მცირე აზიასა და აზერბაიჯანში. ქართულ ისტორიულ წყაროებში ყიზილბაშებად მოიხსენიებიან ირანელი მეომრები

**ყირიმის კონფერენცია** – 1945წ. 4-11 თებერვალს ყირიმში გამართული დიდი სამეულის (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) შეხვედრა

**ყირიმის ომი** – 1853-1856 წ. რუსეთ-თურქეთის ომი

**ყიფიანი დიმიტრი** – (1814 – 1887 წწ). XIX საუკუნის ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი

**ყიშლაყი** – შუა აზიური სოფელი

**ყობანის კულტურა** – გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა ცენტრალურ კავკასიაში

**ყორღანი** – საფლავზე გაკეთებული მაღალი ბორცვი

**ყრილობა** – დიდი კრება

**ყუბილაი** – (1214 -1294 წწ.) მონღოლი ყაენი. ჩინგიზ ხანის შვილიშვილი

**ყულარაღასი** – შაჰის გვარდიის უფროსი

**ყუმი** – ისტორიული ქალაქი ირანში, რომელიც ითვლება ქვეყნის რელიგიურ დედაქალაქად. აქ დამარხულნი არიან როსტომ ხანი (1632-1658 წ) და ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1675)

**ყურანი** – მუსლიმთა წმინდა წიგნი, რომელიც შედგება 114 სურისგან, მასში გადმოცემულია მუსლიმური რელიგიის დოგმები, სამართალი

**ყურე** – ოკეანის, ზღვის ან ტბის ხმელეთში შეჭრილი ნაწილი

**ყურულთაი** – კრება მონღოლურად

## შ

**შავი ქვა** – ისლამის ერთ-ერთი უწმინდესი რელიკვია, რომელიც ინახება ქააბის ტაძარში

**შავბატკნიანები** – მომთაბარე თურქმენული ტომები

**შავშეთი** – საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა

**შაითანი** – ავი სული, ეშმაკი მუსლიმურ მითოლოგიაში

**შამანი** – ჯადოქარი, ექიმბაში

**შამაში** – მზის ღმერთი აქადურ რელიგიასა და მითოლოგიაში

**შამპოლიონი ფრანსუა** – ფრანგი ინჟინერი, რომელმაც გაშიფრა ეგვიპტური იეროგლიფები

**შამქორი** – ისტორიული ქალაქი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე

**შამქორის ბრძოლა** – ისტორიული ბრძოლა 1195 წელს, რომელშიც ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს აბუ ბექრის ჯარზე

**შაპიტო** – კარავი, რომელშიც საცირკო წარმოდგენა იმართება

**შარვანი (შირვანი)** – ისტორიული ქვეყანა აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში

**შარიათი** – მუსლიმური სამართლის რელიგიურ და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა

**შარიფი** – მუჰამედის შთამომავალთა საპატიო წოდება

**შარლატანი** – მატყუარა, თვითმარქვია

**შატბერდი** – IX ს-ის II ნახევრის ქართული მონასტერი კლარჯეთში. დაარსა გრიგოლ ხანძთელმა

**შაქი** – ქალაქი აზერბაიჯანში. XVIII–XIX სს-ში ფეოდალური სახელმწიფო

**შაჰადა** – მუსლიმური რწმენის აღიარება

**შაჰინ-შაჰი** – ირანის შაჰის ტიტული

**შაჰსეი-ვაჰსეი** – მუსლიმი შიიტების რელიგიური ცერემონია, თვითგვემა. ამ დროს მონაწილეები თავსა და **ტანზე ხმალს ან ლახტს იცემენ**

**შამილი** – ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმი ხალხების წინამძღოლიმეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში 1834-**1859 წწ.**

**შედადიდნები** – ფეოდალური დინასტია ირანსა და სომხეთში X-XII სს.

**შედევრი** – სანიმუშო ნაწარმოები, ხელოვნების უდიდესი მიღწევა

**შევალიე** – თავადაზნაურული წოდება შუა საუკუნეების საფრანგეთში

**შეიხი** – ა. გვარის მეთაური, სოფლის მამასახლისი არაბულ ქვეყნებში

ბ. მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო პირი

**შეკელი** – ა. წონისა და ფულის ერთეული ძველ აღმოსავლეთში

ბ. ისრაელის ფულის ერთეული

**შელფი** – კონტინენტის წყალქვეშა გაგრძელება 200 მ-მდე რადიუსში

**შერიფი** – სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციების შემსრულებელი თანამდებობის პირი აშშ-სა და ინგლისში

**შვიდწლიანი ომი** – ომი ავსტრია-რუსეთ-საფრანგეთსა და ინგლის-პრუსიას შორის 1756-1763 წწ.

**შიდა ზღვა** – კონტინენტის ნაპირას ან შედარებით დიდი ზღვის სივრცეში მდებარე ზღვები, რომელთაც არ აქვთ მკაფიოდ გამოყოფილი საზღვრები

**შივა** – ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება

**შიიზმი** – ისლამის მიმართულება, რომელიც ალი ტალიბსა და მის შთამომავლებს მუჰამედის ერთადერთ სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევს

**შიიტი** – შიიზმის მიმდევარი

**შილინგი** – ფულის ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში

**შიო** – VI ს-ის საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი მამა, შიომღვიმის მონასტრის დამაარსებელი

**შლიახტა** – პოლონეთის წვრილი აზნაურობა

**შოვინიზმი** – უკიდურესი ნაციონალიზმი

**შპილი** – მაღალი პირამიდის ან კონუსის ფორმის სვეტი შენობის თავზე

**შპიონი** – ჯაშუში

**შტაბი** – ჯარის მართვის ცენტრი

**შტაბს კაპიტანი** – ოფიცრის ჩინი მეფის რუსეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში

**შტანდარტი** – სახელმწიფოს მეთაურის ალამი

**შტანდარტერფიურერი** – სამხედრო ჩინი ფაშისტურ გერმანიაში

**შტატი** – ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში

**შტორმი** – ქარიშხალიზ ღვაზე

**შტუცერი** – ძველებური თოფი

**შუა საუკუნეების ისტორია** – მსოფლიო ისტორიის პერიოდი V–XV სს.

**შუდრა** – უმდაბლესი კასტა ინდოეთში

**შუმერები** – სამხრეთ შუამდინარეთის უძველესი მოსახლეობა

## ჩ

**ჩალვადარი** – ცხენების გამქირავებელი

**ჩალმა** – ქსოვილის გრძელი ნაჭერი, რომელსაც მუსლიმი მამაკაცები თავზე იხვევენ გარკვეული წესით

**ჩარტიზმი** – მუშათა რევოლუციური მოძრაობა ინგლისში XIX ს. 30-40-იან წლებში

**ჩატურანგა** – ძველი ინდური თამაში, ჭადრაკის წინამორბედი. წარმოიშვა ძვ. წ. V ს-ში

**ჩაჩქანი** – ლითონის საბრძოლო თავსაბურავი

**ჩენი** – სიგრძის ინგლისური საზომი ერთეული ( 20,1 მ.)

**ჩერვონეცი** – ოქროს ფული მეფის რუსეთში

**ჩერქეზები** – ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ხალხი

**ჩინგის ყაენი (თემუჩინი)** – (1162-1227წწ.)ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი, სახელოვანი მხედართმთავარი

**ჩინი** – ხარისხი, ტიტული, წოდება

**ჩინეთის დიდი კედელი** – ჩინური არქიტექტურის ერთ-ერთი საოცრება

**ჩინკვეჩენტო** – იტალიური რენესანსის უდიდესი აყვავებისა და კრიზისის ხანა XVI ს.

**ჩინოვნიკი** – მოხელე, თანამდებობის პირი

**ჩიჩერონე** – გიდი იტალიაში

**ჩრდილოეთის ომი** – რუსეთის ომი შვედეთთან ბალტიის ზღვაზე გასასვლელად (1700-1721წწ.)

**ჩომპები** – მატყლის საქსოვი მანუფაქტურის დაქირავებული მუშები ფლორენციაში (ცნობილია ჩომპების 1378 წ. აჯანყება)

**ჩხეიძე სეხნია** – XVIII ს-ის I ნახევრის ქართველი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ცხოვრება მეფეთა"

# ც

